ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

მეს

ეკონომიკისა და სამართლის სერია

4.1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

# ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА

4. 1992

თბილისი
ТБИЛИСИ

**სარედაქციო კოლეგია:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуния А. Л. (редактор), Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1992, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14
ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 28.1.1993; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.1993; შეკვ. № 85; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,45; სააღრიცხვოსაგამომცემლო თაბახი 7,29; ტირაჟი 750;

ფასი 2 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ეკონომიკა

ნ. არევაძე, ვ. მიშინა, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასტარტო პოზიციები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში . . . 5
ე. მექვაბიშვილი, უცხოური კაპიტალის როლი საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში . . . . . . . 12
დ. დისამიძე, აგრარული ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე . . . . . 21
ა. ჩანტლაძე, თბილისის საქალაქო მეურნეობა (1910-1920 წწ.) . . . . . 29
უ. სამადაშვილი, მეწარმეობისა და მენეჯმენტის სწორად გაგებისათვის . . . . 38
ს. პავლიაშვილი, საქართველოს მრეწველობის საქონელმოცულობა მისი ინტენსიფიკაციის პირობებში . . . . . . . . 49
რ. აბესაძე, სახალხო მეურნეობის ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის საკითხისათვის 56
პ. ლაბაძე, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების ძირითადი მიმართულებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში 61
ბ. ბელაშვილი, ტრადიციული მეცხვარეობა აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მიწათმოქმედების პირობებში . . . . . . . 68
ა. ბერიძე, სამუშაო ძალის მოძრაობა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე 77

## სამართალი

ვ. ნაჭყებია, დანაშაულისა და სასჯელის ცნებათა თანაფარდობის პრობლემა და სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი . . . . . . 87
ლე ვან კამი, პიროვნების უფლებათა, თავისუფლებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი ვიეტნამის სისხლის სამართლის მიხედვით კოდიფიკაციამდე (1945—1985 წწ). . . . . . . 98

თენგიზ ხოშტარიას ხსოვნას . . . . . . . 106

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## ЭКОНОМИКА

**Н. Аревадзе, В. Мишина**, Стартовые позиции социально-экономического развития республики в период перехода к рыночной экономике . . . 5

**Э. Г. Меквабишвили**, Роль иностранного капитала в формировани рыночной экономики в Грузии . . . . . . . . . . . 12

**Д. С. Диасамидзе**, Аграрная экономика на современном этапе . . . 21

**А. Э. Чантладзе**, Городское хозяйство Тбилиси (1910—1920 гг.) . . . 29

**У. И. Самадашвили**, О правильном понимании предпринимательства и менеджмента . . . . . . . . . . . . . . 38

**С. П. Павлиашвили**, Материалоемкость промышленного производства Грузии в условиях его интенсификации . . . . . . . . 49

**Р. Б. Абесадзе**, К вопросу энергоэкологической обеспеченности народного хозяйства . . . . . . . . . . . . . 56

**К. А. Лабадзе**, Основные направления эффективного использования оборотных средств в снабженческо-сбытовых организациях в условиях рыночной экоаномики . . . . . . . . . . . 61

**Г. Г. Гелашвили**, Овцеводство в горном земледелии в восточном Кавкасиони 68

**А. Беридзе**, Движение рабочей силы на разных этапах общественного развития 77

## ПРАВО

**Г. И. Начкебия**, Проблема соотношения понятий преступления и наказания и предмет науки уголовного права . . . . . . . . 87

**Ле Ван Кам**, О преступлениях против личности, прав, свобод и собственности граждан по вьетнамскому уголовному праву до кодификации (1945—1985 гг.) . . . . . . . . . . . . . 98

Памяти Тенгиза Хоштария . . . . . . . . . . . 106

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ეკონომიკა

ნ. არევაძე, ვ. მიშინა

## რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასტარტო პოზიციები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ საკითხების კვლევა, რომელიც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ეხება, რამეთუ ქვეყანა მკაცრი ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში იმყოფება, რომლის დამანგრეველი ძალები ჯერჯერობით მხოლოდ იზრდება და უახლოეს პერიოდში ნაკლებად სავარაუდოა მისი პოზიციების შესუსტება, არადა არსებული კრიზისი შემთხვევით მოვლენად სრულიადაც არ შეიძლება ჩაითვალოს, საქმე ისაა რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რესპუბლიკის განვითარებაში შეიმჩნეოდა სტრუქტურული ხასიათის დისპროპორციები, რომელიც შემდგომ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ტრადიციული სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ ყოფილი სსრ კავშირის რეგიონებთან. ეკონომიკა მოიშალა და გაპარტახდა, სულ უფრო ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, მატულობს დისბალანსი და დეფიციტი, იზრდება უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა, მაგრამ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია კრიზისის სიღრმე, მასშტაბები და მოქმედებების პერიოდი. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელიც მრავალი მეცნიერის ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ კრიზისები — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად მსოფლიო მეურნეობისათვის ამდენად საქართველო გამონაკლისი არ არის. იმისათვის რომ განვსაზღვროთ კრიზისული დეფორმაციები და ამის საფუძველზე გარდაქმნების მიმართულება, ჩვენს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ნაციონალური შემოსავლის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალური სფეროს განვითარების ტემპები 1976-1991 წლების პერიოდში. კონკრეტული მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ თუ 1976-1980 წლებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი 6,9% იყო, ნაციონალური შემოსავლის 7,5%; მრეწველობის პროდუქციის 7,0%; სოფლის მეურნეობის პროდუქციის 4,4%, მომდევნო 1982—1986 წლებში შესაბამისად 4,75, 4,75; 4,0, 2,5%, ხოლო 1986-1990 წლებში — 0,1; —0,8; 0,4 და — 1,85%. მაშასადამე ეს იმის მაჩვენებელია, რომ კრიზისული სიტუაცია, რომელიც წარმოების ზრდის ტემპების შემცირებით გამოიხატა, ჯერ კიდევ 1981-1985 წლებში გახდა შესამჩნევი, რომელიც 1989 წლიდან საქართველოში კრიზისის დადგომაში გამოიხატა, ხოლო მომდევნო 1990, 1991 წლებში და 1992 წლის განვლილ თვეებში კიდევ უფრო გაღრმავდა. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ჩვენთან ეკონომიკური და სოციალური პროგრამების რეალიზაციის ტემპების დაცემა ყველაზე უფრო შესამჩნევი იყო.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობა მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით არის განპირობებული, მათგან უმეტესობა წინა წლებში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს წარმოების ღრმა სტრუქტურული დეფორმაციები სამომხმარებლო კომპლექსის უკიდურესი ჩამორჩენილობის პირობებში სიმძლავრითა და ტექნიკური მდგომარეობით; წარმოების ზრდის ფონდტევადი ტიპი ხელის შრომის მაღალი ხვედრითი წილისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინერციული განვითარების პირობებში; საწარმოო რესურსების გამოყენების დაბალი ეფექტიანობა, განვითარების ექსტენსიური ფაქტორების მოქმედების გააქტიურებით, სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის დაბალი ეფექტიანობა, შიგარესპუბლიკური რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების არათანაბარი დონე. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის განვითარების სპეციფიკაც, რომლისათვისაც დამახასიათებელია ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, უნიკალური სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის არსებობა; სოფლისმეურნეობრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებს, სპეციალური ზონების, მიკრო ზონების, რაიონების საწარმოო ფორმირება, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების თავისებური დარგობრივი სტრუქტურით, წარმოების კონცენტრაციის დონითა და ეფექტიანობით; საკმარისი შრომითი რესურსების არსებობა; შეზღუდული არაკომპლექსური მინერალურ-სანედლეულო ბაზა. ყველაფერმა ამან განაპირობა მრეწველობის უპირატესად გადამამუშავებელი დარგების განვითარება, რომლებიც ძირითადად მოიხმარენ შემოზიდულ ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს და ორიენტირებულნი არიან ძირითადად წარმოებული პროდუქციის გაზიდვაზე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ის, რომ ერთობლივად მოქმედებს სტრუქტურული, სამრეწველო და სოფლისმეურნეობრივი კრიზისები, რომლებსაც თან ერთვის ფასების მზარდი, ნახტომისებური ზრდა ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე. ფასების ზრდას შრომის საგნებზე ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ კრიზისის დადგომამდე, რომელიც სულ უფრო მკვეთრად ვლინდება მის მკვეთრ მატებაში კრიზისის პერიოდში. ჯერ კიდევ არავის შეუძლია თქვას, გველოდება თუ არა ახალი „საფასო შოკი“. სავარაუდოა, რომ ეს საშიშროება ჯერაც წინ გვაქვს, რაც ალბათ კიდევ უფრო გაზრდის კრიზისის დამანგრეველ ძალებს და გაახანგრძლივებს კრიზისულ ციკლს, კრიზისი, როგორც ვხედავთ, უკვე მეოთხე წელია მზარდი ტემპით მიმდინარეობს.

აღნიშნული კრიზისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეკონომიკურ განვითარებაში ჩამოყალიბებული სტრუქტურული ხასიათის დისპროპორციებით დაიწყო, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმით, რომ იზრდებოდა წარმოების საშუალებათა წარმოების, ანუ 1 ქვედანაყოფის წარმოების ხვედრითი წილი და მასშტაბები, სამომხმარებლო დარგებისა და მომსახურების სფეროს დარგების საზიანოდ, პარალელურად მოქმედებდა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა მასიური მორალური დაძველება უკვე დიდი ხნის განმავლობაში წარმოებული პროდუქციისა, საწარმოო აპარატის მორალური და ფიზიკური დაძველების პირობებში.

საკმარისია აღინიშნოს რომ მოწყობილობის ფიზიკური ცვეთა რესპუბლიკის მრეწველობაში 1980 წლის 28%-ის ნაცვლად 1990 წელს 33,3%-მდე გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იზარდა, ამასთან უკანასკნელ ხუთწლედში მოწყობილობის ცვეთა სამი პუნქტით ამაღლდა; ყველაზე ძველი ფონდები აქვს შავ მეტალურგიას, რომელშიც გაცვეთილი ფონდების ხვედრითი წილი 48,7%-ს შეადგენდა 1990 წლის მონაცემებით, მაღალია გაცვეთილი ფონდების ხვედრითი წილი ქიმიურ და ნავთობ-ქიმიურ მრეწველობაში 39,9%, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 34,5%; ხე-ტყის, ხის დამმუშავებელ და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობაში — 33,1%, მსუბუქ მრეწველობაში — 30,1%.

საქართველოს მრეწველობაში ფუნქციონირებს მოწყობილობის ფიზიკური ერთეულების 28,5%, რომელთა ასაკი 10 და მეტი წელია, დაახლოებით ანალოგიური ციფრია ღირებულების მიხედვითაც — 27%; ასეთი მოწყობილობის ყველაზე მეტი რაოდენობა თავმოყრილია მანქანათმშენებელ კომპლექსში 38,7% და 30,2% შესაბამისად მოწყობილობის საერთო რაოდენობიდან, ასევე მაღალია მოწყობილობის ასაკი სათბობ-ენერგეტიკულ და აგროსამრეწველო კოპლექსებში; მოწყობილობას ყველაზე უფრო „ახალგაზრდული ასაკი“ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში აქვს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოძველებული მოწყობილობის უმეტესი ნაწილი — 80%, სწორედ ძირითადი წარმოების საამქროებშია თავმოყრილი, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ძირითადი წარმოების საამქროებში — 86%; მანქანათმშენებლობის, აგროსამრეწველო და მსუბუქი მრეწველობის ძირითადი წარმოების საამქროებში შესაბამისად — 6,0%; 72 და 71,0%.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების 25 წლიანი პერიოდის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 80-იან წლებამდე ის ვითარდებოდა ახალ სამეცნიერო ტექნიკურ საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა ზრდის მაღალ ტემპებს, მაგრამ 80-იანი წლებიდან დაწყებული ამ ტექნიკის ეკონომიკური პოტენციალი ამოწურულ იქნა. შენელდა ტექნიკური პროგრესის ტემპები. რა თქმა უნდა ტექნიკური პოტენციალი იზრდებოდა, მაგრამ მხოლოდ რაოდენობრივად, ტრადიციული ტექნიკის ბაზაზე, რასაც თან არ სდევდა მათი ხარისხობრივი სრულყოფა, რის შედეგადაც შენელდა მანქანებისა და მოწყობილობის განახლების ტემპი და როგორც უკვე ვნახეთ მეტად ამაღლდა მანქანებისა და მოწყობილობების ცვეთა. ამასთან შესამჩნევი გახდა ისეთი მთელი მოწყობილობების მორალური დაძველება, რომლებიც ემყარებოდნენ მოძველებულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, ანუ მეტად მკვეთრად გაძვირდა მათი პროდუქცია, რომელიც ამასთან აღარ შეესაბამებოდა ახალ მზარდ მოთხოვნებს.

სტრუქტურულმა კრიზისმა განაპირობა კვლავწარმოებითი ხასიათის მკვეთრი დისპროპორციები;

— წარმოებასა და მოხმარებას შორის, ანუ მიმდინარე მოთხოვნამ ბევრად გადაამეტა შესაბამისი საქონლის წარმოებას, პირველ რიგში ეს შეიძლება ითქვას სამომხმარებლო საქონელზე, აგრეთვე უახლეს ტექნოლოგიებსა და ტექნიკაზე.

— დაგროვებასა და მოხმარებას შორის, თუ 1980-1986 წლებში დაგროვების ხვედრითი წილი ჯერ კიდევ მაღალი იყო, 25-31%-ის ფარგლებში მერყეობდა, 1986 წლიდან დაიწყო მისი დაქვეითება და 1989 წელს მხოლოდ 16, ხოლო 1990 წელს მხოლოდ 14,3% შეადგენდა, ანუ რეზერვები თითქმის აღარ დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— არსებულ მორალურად და ფიზიკურად მოძველებულ საწარმოო ბაზასა, რომელიც მოითხოვს ახალი თაობის ტექნიკურ საფუძველზე გადასვლას და მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას შორის.

— მოსახლეობის შემოსავლებსა და წარმოების შედეგებს შორის, განსაკუთრებით 1990 წლიდან, როცა წარმოების მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში იზრდებოდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლები. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ განვლილ ხუთწლედში წარმოებრივ დარგებში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გაუსწრო შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპს. თუ საშუალოდ 1981-1985 წლებში საქართველოს მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის 1%-ზე მოდიოდა ხელფასის ზრდის 0,83%; 1986 წელს — 1,08%; 1987 წელს — 1,38%; 1988 წელს — 1,81%, 1989 წელს — 1,90%, ხოლო მომდევნო წლებში ეს პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდა — წარმოება დაცემისაკენ წავიდა, ხელფასის ზრდის პირობებში, აი სწორედ ამ დისპროპორციებმა განაპირობა ძირითადად საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების მატერიალური საშუალებების დეფიციტი, დისბალანსი მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და მათი დასაქონლების შესაძლებლობებს შორის, სამომხმარებლო ბაზრისა და ფულადი მიმოქცევის მოშლა, ინფლაციის ზრდა.

უნდა ითქვას, რომ კრიზისი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობიდან დაიწყო 1980 წ. და შემდგომ წლებში ციკლის კრიზისული ფაზები გახშირდა. მას ადგილი ჰქონდა 1980, 1982, 1985, 1987, 1989 წლებში ანუ ყოველ მეორე წელს, წარმოების დაქვეითების სიხშირემ მკვეთრად შეამცირა კვების პროდუქტების სანედლეულო ბაზა. სოფლისმეურნეობრივი მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი 1976-1980 წლების 2,8-დან 1981-1985 წლებში — 4,4%-ით შემცირდა; 1986-1990 წლებში კი სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის ფიზიკური მოცულობა საშუალოდ წელიწადში 1,8%-ით მცირდებოდა. მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ შემცირდა პირუტყვის სულადობა, რაც კიდევ დიდხანს გაართულებს სასურსათო პრობლემას. მკვეთრად შემცირდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება და შემცირების ტემპი თვიდან თვემდე იზრდება. 1991 წელს, მაგალითად, 1990 წელთან შედარებით შემცირდა პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა 53%-ით, რძის 38%-ით, კვერცხის 37%-ით, მატყლის 35%-ით. ორჯერ შემცირდა კარტოფილისა და ბოსტნეულის ამოღება და შენახვა ხანგრძლივი მოხმარებისათვის, რამაც მკვეთრად გააუარესა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 1990 წელს სასურსათო საქონლის ძირითადი სახეების მიხედვით გაყიდვამ ვერ უზრუნველყო 1985 წლის დონის მიღწევაც კი. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ხორცი და ხორცის პროდუქტები, თევზი და თევზის პროდუქტები, კონსერვები, შაქარი, ფქვილი, ბურღული, მაკარონის ნაწარმი. 1991 წელს და 1992 წლის განვლილ თვეებში აღარ დარჩა სასურსათო საქონლის არც ერთი სახე, რომელზედაც არ იყო ტოტალური დეფიციტი. უნდა ითქვას იმაზეც, რომ მოსახლეობის ერთ სულზე კვების ძირითადი პროდუქტების მიხედვით მოხმარება უკანასკნელ ათწლეულში, ყოველთვის ფიზიოლოგიურ ნორმაზე ნაკლები იყო პურისა და ზეთის გარდა. მოგეხსენებათ რომ უკანასკნელ თვეებში კვების ამ ძირითადი პროდუქტების მოხმარებაც მნიშვნელოვნად შემცირდა, რისი დასტურიცაა უსაშველო რიგები პურის მაღაზიებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1989-1990 წლებში მკვეთრად შემცირდა მოსახლეობისათვის ხანგრძლივი მოხმარების საქონლების გაყიდვა. რადიომიმღებების — 53%-ით, ტელევიზორების — 56%-ით, მაგნიტოფონების — 70%-ით, მაცივრების — 30%-ით; შემცირდა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლების მიყიდვაც, ხოლო 1991 წელს და მიმდინარე წლის განვლილ თვეებში ბევრი დასახელების საქონელი საერთოდ გაქრა მაღაზიების დახლებიდან.

მრეწველობაში წარმოების ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი შემცირება 1985 წლიდან იწყება, როცა სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წლის დონეზე დარჩა, 1990 წელს კი 1985 წლის დონეზე. 1991 წელს სამრეწველო წარმოების დაცემის ტემპის სიჩქარე მკვეთრად გაიზარდა, ცალკეულ თვეებში დაცემის ტემპი 19,3%-დან 31,5%-ის ფარგლებში მერყეობდა. მთლიანად წელიწადში 20,9%-ით შემცირდა, ხოლო მიმდინარე 1992 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოების დაცემის ტემპმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 46,3% შეადგინა, ანუ თითქმის განახევრდა. როგორც ვხედავთ, დაცემის ტემპები ჯერაც იზრდება და როგორც ჩანს მას ჯერაც არ მიუღწევია საბოლოო წერტილისათვის. ყველაფერმა ამან იმპორტის მკვეთრ შემცირებასთან და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდასთან ერთად, არსებითად გააუარესა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე, რომელიც ჩვეულებრივი გაგებით, აღარ არსებობს, კიდევ უფრო გაძლიერდა მისი დაუბალანსებლობა, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა და საყოველთაო დეფიციტი, გაიზარდა სოციალური დაძაბულობა, რამეთუ წარმოების დაცემამ ნეგატიური გავლენა მოახდინა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ზ რ დ ი ს ტ ე მ პ ე ბ ი ს დ ა ც ე მ ა მნიშვნელოვნად ნიველირდებოდა ფასების მკვეთრი ზრდით, ანუ შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში დაცემის ტემპი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე აქ წარმოდგენილი ციფრებია. ეს ნათლად ჩანს პროდუქციის წარმოების ნატურალური მაჩვენებლებით, ასე მაგალითად, სამრეწველო წარმოების ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოებამ 1985-1990 წლებში შეადგინა:

| | 1990 წელი %-ში 1985 წლის მიმართ | 1990 წ. %-ში 1989 წლის მიმართ |
|---|---|---|
| მანგანუმის მადნის | 54 | 24 |
| მანქანათმშენებლობის პროდუქციის | 28.57 | 9—21 |
| ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი დარგის პროდუქციამ | 28—33 | 5—9 |
| საშენი მასალების | 17—30 | 15—30 |
| მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის | 7—44 | 3—36 |

როგორც ვხედავთ, კრიზისი სულ უფრო ღრმავდება და, როგორც ჩანს, მისი აღმოფხვრა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის. კრიზისის დაძლევის გზების დასახვა ჯერ კიდევ დიდი მუშაობის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ითქვას იმაზეც, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირება ბევრად იყო დამოკიდებული შემოზიდვებსა და გაზიდვებზე, რომელზედაც მოდიოდა რესპუბლიკაში მოხმარებული და წარმოებული პროდუქციის 40%, რომელიც სრულად მოიშალა ეკონომიკური კავშირების გაწყვეტით ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, რაც უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკების უპირატესობამ ნათლად შეიგნო და ახლა მიმდინარეობს სამუშაოები გაწყვეტილი სამეურნეო კავშირების აღსადგენად. ჩვენი აზრით, ამჟამად რესპუბლიკაში, არსებული მძიმე მდგომარეობის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება:

— ეკონომიკის განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერება, ამ მიზნით, პირველ რიგში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს: შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის შედეგიანობის ამაღლება, რისთვისაც საჭიროა წარმოების ეფექტიანობის ზრდის მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური რეზერვების ორგანული შეხამება და შეერთება, წარმოების მატერიალური პირობების დაჩქარებული ხარისხობრივი გარდაქმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბოლო სიახლეების საფუძველზე. ვფიქრობთ ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნეს ჩართული უცხოური ინვესტიციები, რამეთუ საკუთარი შესაძლებლობებით საწარმოო ძალების, თანამედროვეობის მოთხოვნების დონეზე შესაბამისობაში მოყვანა რესპუბლიკისათვის შეუძლებელი იქნება.

— რეგიონთაშორისო განსხვავებულობის შემცირებისათვის, განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით, საწარმოო ძალების განლაგების გაუმჯობესების მიმართულებით, წარმოების ეკოლოგიზაციის, დისპროპორციების აღმოფხვრის მაღალი საწარმოო შედეგების მიღების მიზნით საჭიროა: სამეურნეო სტრუქტურების და ამ ბაზაზე გაზიდვის სტრუქტურის, მათ შორის ექსპორტის დივერსიფიცირება. ორიენტაცია აღებულ უნდა იქნეს მანქანათმშენებლობაზე, როგორც დარგზე რომელშიც კვალიფიციური სამუშაო ძალა შეხამებულია მასალებისა და მოწყობილობების საუკეთესო გამოყენების შესაძლებლობასთან.

საჭიროა შეიქმნას იმპორტის შემცვლელი ინდუსტრია მიმართული ადგილობრივი წარმოების, პირველ რიგში მსუბუქი და კვების მრეწველობის, პროდუქტებით შინაგანი ბაზრის ათვისებაზე იმპორტული პროდუქციის ნაცვლად.

— საჭირო და აუცილებელ საქმედ გვესახება ადგილობრივი წარმოების ნედლეულზე აბრეშუმისა და შალის ქსოვილების წარმოების აღორძინება, ასეთი სახის პროდუქციაზე კი, როგორც ცნობილია დიდი მოთხოვნაა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე.

— ეკონომიკური ზრდის სოციალური მიმართულების გაძლიერებისათვის უცილებელია ორივე ქვეგანყოფილების პროპორციული განვითარება 11 ქვეგანყოფილების მზარდი ტემპებით განვითარების პირობებში, უმთავრესად აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალის გაძლიერების საფუძველზე. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის დივერსიფიცირება.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასტარტო პოზიციები ერთობ მოკრძალებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. მაგრამ პოლიტიკური სტაბილურობისა და საერთაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რისთ მხარდამჭერის, ქვეყნის შიგნით შრომითი აქტიურობისათვის შესაბამისი მოტივაციის, ეკონომიკის მართვის გაუმჯობესებისა და სრულყოფის პირობებში რესპუბლიკისათვის ძნელი აღარ იქნება ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და კრიზისის მარწუხებიდან თავის დაღწევა.

Н. АРЕВАДЗЕ, В. МИШИНА

# СТАРТОВЫЕ ПОЗИЦИИ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ РЕСПУБЛИКИ В ПЕРИОД ПЕРЕХОДА К РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКЕ

Резюме

Анализ социально-экономического развития Грузии в 70—80-е годы вскрыл различные моменты в формировании материальной базы производства, которые определили темпы роста и специфику развития экономики республики. Структурный, промышленный и сельскохозяйственный кризисы, сопровождаемые стремительным скачкообразным ростом цен на энергетические ресурсы и сырье, определили глубокий и затяжной характер кризиса. Вскрыты диспропорции воспроизводственного характера, что привело к всеобщему дефициту материальных средств производственного и непроизводственного назначения, дисбалансу между денежными доходами населения и их товарным покрытием, расстройству потребительского рынка и резкому ухудшению социального положения трудящихся.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკის განვითარების განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ელგუჯა მექვაბიშვილი

# უცხოური კაპიტალის როლი საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პროცესებია. საბაზრო ეკონომიკა დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა კი, თავის მხრივ, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამჟამად ჩვენში ცოტა ვინმე თუ აყენებს ეჭვქვეშ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას. შეხედულებათა მრავალფეროვნებას აქვს ადგილი ამგვარი გადასვლის ფორმების, ტემპებისა და მეთოდების თაობაზე. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადაყვანა შესაძლებელია ყოველგვარი გარედან ჩარევის გარეშე, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ნორმალური საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბება განუყრელადაა დაკავშირებული საზღვარგარეთული კაპიტალის გამოყენებასთან. ეს განპირობებულია ორი მნიშვნელოვანი გარემოებით. პირველი, საქართველოს ამჟამად არ გააჩნია იმ მოცულობისა და ეფექტიანობის ეროვნული კაპიტალი, რომელიც აუცილებელია მაღალი საბაზრო კრიტერიუმების შესაბამისი საწარმოო და არასაწარმოო (მათ შორის საბაზრო) ინფრასტრუქტურების შესაქმნელად. მეორე, საქართველოს ეკონომიკას მონოპოლიზაციის უაღრესად მაღალი დონე ახასიათებს, რომლის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ იგი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საწარმოებისა და დარგების მექანიკური ჯამი და არა როგორც შეკრული დამოუკიდებელი სისტემა, ე. წ. ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მონოპოლიზაციის მაღალი დონე, გიგანტომანია, მწარმოებლის მომხმარებელზე დიქტატი, რაც ნიშანდობლივი იყო ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსისათვის, ნიშანდობლივი იყო საქართველოს ეკონომიკისათვის, როგორც ამ მთელის შემადგენელი ნაწილისათვის.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დაშლას ეკონომიკაში სახელმწიფოს მონოპოლიზმის შესუსტება არ გამოუწვევია. პირიქით, სახელმწიფოს მონოპოლიზმს დაემატა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების მონოპოლიზმი, რომლებიც მომხმარებლის ექსპლოატაციის ხარჯზე ცდილობენ მოკლე ვადებში რაც შეიძლება მაღალი მოგების მიღებას.

რეალური საბაზრო ურთიერთობის დასამკვიდრებლად აუცილებელია კონკურენციული გარემოს შექმნა, ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია კონკურენციის გარედან შემოტანით საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ფირმების დაშვების გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ემყარება ორმხრივ ინტერესს, როგორც კაპიტალის მიმწოდებელი, ასევე ამ კაპიტალის მომხმარებელი სუბიექტების მხრიდან. კონკურენციული გარემოს შექმნის აუცილებლობასთან ერთად, რომლის შესახებაც უკვე მივუთითეთ, საქართველოსათვის უცხოური კაპიტალი უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ ღრმა სტრუქტურული დეფორმაციის აღმოსაფხვრელად, რომლის გარეშეც საბაზრო პრინციპებზე გადასვლას მძიმე შედეგები ექნებოდა. უცხოური კაპიტალის მოზიდვას უკავშირდება მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სამმართველო გამოცდილების შემოტანა, რაც დღეს ჩვენთვის აგრერიგად საჭიროა.

მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებისა და მსოფლიო მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბების კონტექსტში საქართველოსათვის, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო ბაზარზე საკუთარი „ეკონომიკური ნიშის“ დაკავებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ბაზარს მაღალკონკურენტუნარიანობა ახასიათებს, მისი შესაბამისი პროდუქციის წარმოება საქართველოში აუცილებლად მოითხოვს უცხოური კაპიტალის გამოყენებას. თუ რა განსაზღვრავს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის ინტერესს დაბალგანვითარებულ ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო და კერძო კაპიტალის დაბანდების მიმართ ეს საკითხი საფუძვლიანადაა გარკვეული დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში. ნიშანდობლივია ამერიკელი ფუტუროლოგების ნეისბიტისა და ებერდინის შემდეგი მოსაზრება: „იმის კვალობაზე, რაც უფრო მეტი ქვეყანა აყვავდება, აღნიშნავენ ისინი, მათ მოუწევთ ახალი რეგიონების ძიება კაპიტალის დასაბანდებლად. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, სადაც სამუშაო ძალა შედარებით იაფია, უფრო მიმზიდველი იქნება კაპიტალის დასაბანდებლად“[1].

ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის შემოტანა შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით: კრედიტები და პირდაპირი ინვესტიციები. უცხოური კრედიტები, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ სახეობებად: ა) სახელმწიფო ანუ სამთავრობო კრედიტი; ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტი და გ) კერძო კრედიტი.

კრედიტის აქ ჩამოთვლილი სახეობებიდან, საქართველომ უკვე მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კრედიტის სახით), უახლოეს ხანებში მიიღებს კრედიტს მსოფლიო ბანკისაგან ე. წ. სარეაბილიტაციო კრედიტი), აგრეთვე სახელმწიფო კრედიტს თურქეთისაგან.

სახელმწიფო და კერძო კრედიტების გაცემისას, დამკრედიტებელი სუბიექტები განსხვავებული მიზნებითა და ამოცანებით ხელმძღვანელობენ. სახელმწიფო კრედიტის გაცემისას, ხშირად წინა პლანზე წამოიწევა პოლიტიკური ინტერესები. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და სსრ კავშირში შემავალი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის კრედიტების გაცემა ითვალისწინებს მათდამი მხარდაჭერას და დახმარებას საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული დემოკრატიული საზოგადოების

---

[1] Mega Trend 2000, ნიუ-ორკი, მაისი-ივნისი, 1990 წ. გვ. 312.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობაში, ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამოსვლაში.

საქართველოს გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა მსოფლიოს რიგი ქვეყნების დაინტერესებას განაპირობებს. ამიტომ სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, ამ ქვეყნებისაგან შეიძლება ველოდოთ სამთავრობო კრედიტებს.

კერძო კრედიტებისათვის უმთავრესია კომერციული ინტერესი, ე. ი. მოგების მიღება.

პირდაპირი ინვესტიციები ეს არის სამეწარმეო კაპიტალის, ანუ ისეთი კაპიტალის დაბანდება, რომელიც პირდაპირაა მიმართული საქონლის წარმოებასა და მომსახურების გაწევაზე.

მსესხებელი ქვეყნებისათვის პირდაპირ ინვესტიციებს მთელი რიგი უპირატესობები გააჩნიათ სასესხო კაპიტალთან (კრედიტთან) შედარებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ინვესტორი უფრო მეტად, ვიდრე კრედიტორი, დაინტერესებულია დაბანდებული კაპიტალის ეფექტიან გამოყენებაში. ამასთანავე, პირდაპირი ინვესტიციები ყველა შემთხვევაში უფლებას აძლევს ინვესტორს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის საქმიანობის მართვაში. ინვესტორი დაინტერესებულია აგრეთვე იმაში, რომ წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიო ბაზარზე გავიდეს, ე. ი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ჩვენთვის, როგორც კაპიტალის შემომტანი ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებებიც: ჯერ ერთი, კრედიტების მიღება დაკავშირებულია პროცენტის გადახდასთან, რაც გამოიწვევს საგარეო დავალიანების წარმოშობას. რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს, ისინი ჩვენს ქვეყანაში დარჩება და მოხმარდება ეკონომიკის მოდერნიზაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ა. შ. მეორე, ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით (ეკონომიკური ცხოვრება თითქმის მოშლილია, სახელმწიფო და სამეურნეო სტრუქტურები ბიუროკრატიზებულია, კანონიერება და მართლწესრიგი სისტემატურად ირღვევა) საზღვარგარეთელი კრედიტების ეფექტიანი მიზნობრივი გამოყენება ძალზე გაძნელდება, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არადანიშნულებისამებრ გამოყენება იმთავითვე გამორიცხულია.

მსოფლიო ისტორიული გამოცდილება ნათლად წარმოაჩენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ცნობილია, რომ სწორედ პირდაპირმა ინვესტიციებმა, უპირველეს ყოვლისა ამერიკულმა, გახადა შესაძლებელი ომისაგან გაპარტახებული გერმანიის ეკონომიკის აღდგენა და ხელი შეუწყო მის მაღალი ტემპებით ზრდას ომისშემდგომ პერიოდში.

ამჟამად აშშ-ში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა შეადგენს 260 მილიარდ დოლარს. დაახლოებით იგივე მოცულობის კაპიტალი აქვს დაბანდებული აშშ-ს სხვა ქვეყნებში. ინგლისის გადამამუშავებელ მრეწველობაში უცხოური ფირმების წილად მოდის პირობითად წმინდა პროდუქციის 20%-ზე მეტი, დასაქმებულ მუშაკთა 15% და კაპიტალდაბანდებათა 21%. ზოგიერთ ცალკეულ დარგში უცხოური კაპიტალი კიდევ უფრო სოლიდურადაა წარმოდგენილი; მანქანათმშენებლობაში იგი შეადგენს გამოშვებული პროდუქციის 40%-ს, დასაქმებულთა 37%-ს; ქიმიურ მრეწველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზში — შესაბამისად 34% და 30%-ს[2]. ინგლისმა ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ თავმოყრილია დასავლეთ ევროპაში არსებული აქტივების თითქმის 40% და იაპონური კაპიტალდაბანდებების ნახევარი.

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა გარკვეული გავრცელება ჰპოვა საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი სამი ფორმით: 1) სამამულო საწარმოს (გაერთიანების) აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა უცხოელი პარტნიორის მიერ; 2) უცხოური ინვესტორის მიერ საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა; 3) ერთობლივი საწარმოების შექმნა. ამ ფორმებისაგან თითოეულს გააჩნია როგორც დადებითი მხარეები, ასევე პრობლემები. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით. პირველი ფორმის გამოყენება გულისხმობს პრივატიზაციის პროცესის რეალურ განხორციელებას, განსაკუთრებით მისი ისეთი სახეობისა როგორიც არის აქციონერიზაცია. აუცილებელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბირჟის) შექმნა, ზუსტი ინფორმაციის არსებობა საპრივატიზაციო საწარმოების მდგომარეობის, პოტენციალური შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ; აღნიშნული ინფორმაციის გატანა საზღვარგარეთ და სპეციალური რეესტრის შექმნა. ამ საქმეში აქტიური როლი უნდა ითამაშოს სამთავრობო პოლიტიკამ. აუცილებელია შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებში შეიქმნას სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც იმოქმედებენ საელჩოების, საკონსულოების, აგრეთვე სპეციალური სააგენტოების მეშვეობით. ისინი რეკლამას გაუწევენ სახელმწიფო შეღავათებს, დაკავშირებულს საქართველოს ეკონომიკაში საზღვარგარეთული ინვესტიციების განლაგებასთან, უცხოელ პარტნიორებს გააცნობს მოქმედ კანონმდებლობას და განსაკუთრებით დაბეგვრის სისტემას, ორგანიზაციას გაუკეთებს საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შეკრებებს და ა. შ.

რაც შეეხება უცხოელი ინვესტორის მიერ საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე, ეს ფორმა ეფექტიანიცაა და ჩვენთვის მომგებიანიც, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მისი რეალიზაცია ნაკლებ რეალურად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენთან არ არსებობს მათი ადეკვატური სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკურ-ორგანიზაციული, საინფორმაციო, საფინანსო და სამართლებრივი სტრუქტურები, რომელთა გარეშეც ამ საწარმოო სიმძლავრეების ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოზიდული უცხოური კაპიტალი უპირველეს ყოვლისა აღნიშნული სტრუქტურების შექმნას უნდა მოემსახუროს.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების შექმნის დადებითი მხარეებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: ა) ერთობლივი საწარმოები შესაძლებლობას მოგვცემს შედარებით უმტკივნეულოდ და ნაკლები დანაკარგებით განხორციელდეს სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში. ბუნებრივია, რომ ამ შესაძლებლობის რეალიზაციას სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს ხელი მის მიერ გატარებული პოლიტიკით. კერძოდ, მან უნდა წაახალისოს ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საექს-

[2] Мировая экономика и международные отношения, № 1, 1991, გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტო შესაძლებლობების ამაღლება. საექსპორტო პოლიტიკის შემუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო სპეციალიზაციის ზუსტ განსაზღვრას. ფრანგი ეკონომისტი ბრენდერი მიუთითებს, რომ „ქვეყანა საგარეო გაცვლაში წარმატებას აღწევს არა ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობის გაზრდით, არამედ საექსპორტო პირობების სპეციალიზაციით“[3]. ძირითადი სტრატეგია ამ სფეროში ასეთია: ქვეყნის შიგნით დახარჯული შრომის ნაკლები რაოდენობა ქვეყნის გარეთ დახარჯულ შრომის მეტ რაოდენობაზე უნდა გაიცვალოს. ერთობლივი საწარმოები უნდა შეიქმნას უახლოეს მეცნიერებატევად დარგებში. მოწინავე უცხოური ტექნიკისა და ტექნოლოგიის შერწყმა შედარებით იაფ მაღალკვალიფიცირებულ სამუშაო ძალასთან საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ მსოფლიო ბაზრის მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქცია. განსაკუთრებით აქტუალურია ერთობლივი საწარმოების სწორი საბაზრო ორიენტაციის განსაზღვრა. სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური სივრცე ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პერსპექტიულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი ტექნოლოგიური სისტემების შექმნა და ამ პროდუქციით გასვლა ბაზარზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დასავლეთის ქვეყნებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ძვირად ფასობს. რამდენადაც არ შეგვიძლია ჩვენი პროდუქციის მოცულობითა და ხარისხით მოვახდინოთ ამ ქვეყნების ბაზრის ექსპანსია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით ამ ბაზარზე „საკუთარი ნიშნის“ მოპოვება უფრო რეალურია.

ბ) უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების შექმნა საშუალებას იძლევა შეიქმნას ინვესტიციების განაწილების ჰორიზონტალური საბაზრო სტრუქტურა, რომელიც თავისი მობილურობით ხასიათდება და არსებითად განსხვავდება განაწილების ცენტრალიზებული ვერტიკალური სისტემისაგან; გ) საშუალებას იძლევა ქვეყანაში ფართოდ იქნეს შემოტანილი მოწინავე ტექნოლოგიები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, წარმოების მართვის მოწინავე გამოცდილება, „ნოუ-ჰაუ“ და ა. შ.

არსებობს პირობათა კომპლექსი, რომელთა შესრულება (დაცვა) აუცილებელია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. გამოვყოფთ სამ პირობას, რომელიც ყველაზე არსებითად მიგვაჩნია: 1) საქმე, რომელიც ჩადებულია ერთობლივ ფირმაში არ უნდა წარმოადგენდეს ერთი დღის საქმეს, არამედ „გათვლილი“ უნდა იყოს ხანგრძლივ პერსპექტივაზე: 2) ერთობლივ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ მუდმივად განვითარებადი საწარმოო სექტორი; 3) უცხოელი პარტნიორი ყოველთვის ცდილობს საიმედო და პროფესიულად მომზადებული კადრები იყოლიოს თავის გუნდში.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე პირობებში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ ერთობლივ საწარმოებს რიგი ნაკლოვანებები ახასიათებს, რომელთა შორის ტიპიურად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1. ერთობლივი საწარმოები უმეტესწილად ისეთ სფეროებში იქმნება, რომლებიც არ საჭიროებენ დიდი რაოდენობის კაპიტალდაბანდებებს, მყარი საწარმოო და ტექნიკური ბაზის შექმნას; ამ სფეროში დაბანდებული კაპიტალი სწრაფად იძლევა უკუგებას და ხასიათდება მაღალი მოგებით. ამგვარი

[3] Мировая экономика и международные отношения № 7, 1991, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სფეროებია ვაჭრობა და საშუამავლო საქმიანობა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთობლივი საწარმოების დიდი უმრავლესობა სწორედ სავაჭრო და საშუამავლო ფირმებია.

2. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავაჭრო და საშუამავლო ფირმების რიცხოვნების ზრდა საინვესტიციო საქმიანობის დეცენტრალიზაციის პირობებში, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, ხელს უწყობს ინფლაციური პროცესების გაძლიერებას.

3. თავისუფალი ფასების დაწესებას ერთობლივი ფირმების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ან გაწეულ მომსახურებაზე იმ დროს, როცა ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო მონოპოლიზაციის ხარისხი ძალზე მაღალია, არ არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და პატიოსანი კონკურენციის წესები, უარყოფითი ეკონომიკური, და განსაკუთრებით სოციალური, შედეგები მოსდევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების გზით არეგულიროს ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესი. მან უნდა წაახალისოს ინვესტიციური ხასიათის საქმიანობა, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნების წარმოების სფეროში და პირიქით, შეზღუდოს ერთობლივ საწარმოთა ისეთი საქმიანობა, რომელსაც ინფლაციური პროცესების გაძლიერებამდე მივყავართ. რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია დიფერენცირებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური კაპიტალის სხვადასხვა ფორმით გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეროვნული ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებაში, რასაც ჩვენს მიერ ზემოთ ჩატარებული ანალიზიც მოწმობს, დღეს საქართველოს მიმართ რამდენადმე მნიშვნელოვანი დაინტერესება უცხოელი პარტნიორების მხრიდან არ შეინიშნება. რა მიზეზებით არის გამოწვეული ამგვარი მდგომარეობა?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წარმოების საშუალებების, სამუშაო ძალის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, კაპიტალების ბაზარი და სხვ., რომელთა ერთობლიობას საბაზრო ინფრასტრუქტურას უწოდებენ, საქართველოში ან საერთოდ არ არსებობს, ან ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იმყოფება. საბაზრო ინფრასტრუქტურის არსებობის გარეშე არც ერთი უცხოური ფირმა, რომელიც ნამდვილად ზრუნავს საქმის ინტერესებზე და უფრთხილდება საკუთარ პრესტიჟს, კაპიტალს არ დააბანდებს. პრობლემის სირთულეს ისიც განაპირობებს, რომ საბაზრო სტრუქტურების სწრაფად და ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტების შესაბამის დონეზე ჩამოყალიბება, თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს უცხოური კაპიტალის გამოყენებას. მაშასადამე, ჩვენ უცხოური კაპიტალი გვჭირდება არა მარტო იმ ეტაპზე, როცა საბაზრო ეკონომიკა რეალურად დაიწყებს „მუშაობას", არამედ მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზედაც, როცა მან ეს „მუშაობა" ეს-ეს არის უნდა დაიწყოს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა მთლიანად მოშლილია. ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის დაშლამ განაპირობა ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული განაწილების სისტემის დემონტაჟი, მაგრამ მის ნაცვლად არავითარი სხვა რამ ალტერნატიული არ შექმნილა და ასე აღმოჩნდით

2. „მ ა ც ნ ე", ეკონომიკა და სამართალი, 1992, 4

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწილების ყოველგვარი სისტემის გარეშე. სრული ქაოსი და განუკითხაობა რესურსებით მომარაგების საკითხში ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის დღეს თითქმის გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს.

საქართველოში უცხოური კაპიტალის დაბანდებას ხელს უშლის მიმოქცევაში მყოფი ფულის ნიშნის არაკონვერტირებადობა. ფულის ორგვარი კონვერტირებადობა არსებობს — შინაგანი და გარეგანი. შინაგანი კონვერტირებადობა ნიშნავს ერთი ქვეყნის ვალუტის თავისუფალ გაცვლას არსებული კურსის მიხედვით ნებისმიერი სხვა ქვეყნის ვალუტაზე. საქართველოში მიმოქცევაში მყოფ ფულს — საბჭოთა (რუსულ) მანეთს არც შინაგანი კონვერტირება ახასიათებს და არც გარეგანი. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აუცილებელია ეროვნული ვალუტის სწრაფი შემოღება და პრობლემაც მოგვარდება. სამწუხაროდ, საკითხი სულაც არ არის ასე მარტივად გადასაწყვეტი. ყოფილ სსრ კავშირში შემავალ თითქმის ყველა რესპუბლიკასთან საქართველოს ვაჭრობის უარყოფითი სალდო აქვს. ასეთ პირობებში ე. წ. „სამანეთო სივრციდან“ გამოსვლა ჩვენთვის უკიდურესად არახელსაყრელია.

ქართული ფულის შემოღება მისი კონვერტირებადობისათვის სათანადო პირობების შექმნის გარეშე შეიძლება განხილული იქნეს როგორც იძულებითი ღონისძიება. აღნიშნული, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უარს ვამბობთ საკუთარი ვალუტის შემოღებაზე ან მის ხანგრძლივი დროით გადავადებაზე, საქმე ეხება ეროვნული ფულის კონვერტირების უზრუნველყოფის აუცილებლობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ფულის კონვერტირებადობის სხვადასხვა მეთოდი, მათი დეტალური განხილვა გადის მოცემული სტატიის ფარგლებიდან. აქ მხოლოდ იმას გავუსვამდით ხაზს, რომ აუცილებელია ქართული ფულის „ღირებულების“ განსაზღვრა რომელიმე უცხოური კონვერტირებად ვალუტასთან მიმართებაში და შესაბამისად მისი „მიბმა“ ამ ვალუტაზე.

რა მიგვაჩნია ამისათვის საჭირო ღონისძიებად?

— ჩვენი ქვეყნის ერთობლივი საშინაო პროდუქტის ღირებულების განსაზღვრა მსოფლიო ფასებში;

— სავალუტო რეზერვების შექმნა;

— სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

უცხოური კაპიტალის საქართველოში დაბანდების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს შინაგანი ფასების მოწყვეტილობა მსოფლიო ფასებისაგან. ეს მდგომარეობა განპირობებულია იმით, რომ ათეული წლების მანძილზე ფასების ფორმირება ხდებოდა „დახშულ სივრცეში“ და არ ითვალისწინებდა მსოფლიო ბაზარზე ფასების დინამიკას. უკანასკნელ პერიოდში გარკვეულწილად მოხდა საშინაო და მსოფლიო ფასების დაახლოება, მაგრამ ბევრი პოზიციის მიხედვით კვლავ რჩება ე. წ. „ფასების მაკრატელი“.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მოშლამ გამოიწვია საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის დაქვეითება. ნაკლები შრომით ან უშრომელად გამდიდრება, სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ცხოვრებისეულ კრედოდ იქცა. ამგვარი განწყობა საზოგადოებაში გარკვეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა


აფრთხობს საზღვარგარეთელ პარტნიორებს, რომლებიც კეთილსინდისიერ და მუყაით შრომას მიიჩნევენ კეთილდღეობის ერთადერთ გარანტად.

განსაკუთრებით ძლიერი ხელშემშლელი ფაქტორია არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კრიმინალური ელემენტების თარეში, ბევრ შემთხვევაში კანონის უპატივცემულობა სხვადასხვა დაჯგუფებების შეიარაღებულ ადამიანთა მხრიდან და ა. შ.

ჯერჯერობით არ არსებობს მტკიცე სამართლებრივი ბაზა, რომელიც მოაწესრიგებდა საქართველოს ეკონომიკაში საზღვარგარეთული კაპიტალის გამოყენების (განლაგების) ყველა ასპექტს.

სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი მიმართულება ამ სფეროში, ჩვენი აზრით, უნდა წარიმართოს შემდეგი მთავარი მიმართულებებით:

— უნდა განისაზღვროს როგორც უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების, ასევე უცხოური ფირმების სამმართლებრივი სტატუსი და შემოისაზღვროს სახელმწიფო სტრუქტურების მათდამი ნორმატიული პასუხისმგებლობის სფერო;

— უნდა შემუშავდეს კანონი უცხოური ინვესტიციების კონფისკაციისა და ექსპროპრიაციისაგან დაცვის შესახებ;

— აუცილებლად უნდა გამარტივდეს საბანკო სისტემა და მოხდეს მისი ლიბერალიზაცია;

— სამართლებრივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული მოგების ნაწილის საზღვარგარეთ გატანის (რეპატრიაციის) გარანტიები;

— აუცილებელია შეიქმნას სამეურნეო დავის მომრიგებელი არბიტრაჟის გამართული და ეფექტიანი მექანიზმი;

— აუცილებელია შეიქმნას ნორმატიული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მხრიდან უცხოელი პარტნიორების (ინვესტორის) მიმართ აღებული ვალდებულების გარანტიების შექმნას მოძრავი და უძრავი ქონების გირაოთი. ე. ი. საჭიროა კანონი გირავნობის შესახებ. სპეციალურად უნდა გამოიყოს მიწის საკუთრების საკითხი უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის ნაკვეთების გადაცემა უცხოელი პარტნიორებისათვის ხანგრძლივვადიან მფლობელობაში და არა საკუთრებაში.

— სამეურნეო კანონმდებლობა ქვეყნის შიგნით შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი პრიორიტეტის მინიჭება დღის წესრიგში აყენებს საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხს შეღავათიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. შესაძლებლად მიგვაჩნია გარკვეული დროით (ვთქვათ, 5-10 წლიწადი) უცხოური ფირმები საერთოდ გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან იმ პირობით, რომ ისინი განახორციელებენ მიღებული მოგების რეინვესტიციას, ე. ი. ხელახლა დააბანდებენ საქართველოს ეკონომიკაში.

პრობლემის დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ მივუთითებთ იმ პრობლემებსა და წინააღმდეგობებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვასთან. წარმოიშობა მთელი რიგი კითხვებისა, რომლებიც პასუხის გაცემას საჭიროებენ. კერძოდ, როგორი იქნება უცხოური კაპიტალის ფართო ინტერვენციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონე, ხომ არ გახდება უცხოური კაპიტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხელახალი ეკონომიკური დაკაბალების ინსტრუმენტი? როგორ იმოქმედებს იგი ჩვენი ცხოვრების წესის იმ ასპექტებზე, რომლებიც ეროვნული ტრადიციებით, თვითშეგნებით, ფსიქოლოგიით არის განსაზღვრული? ხომ არ ისარგებლებენ ტრანსნაციონალური კომპანიები ჩვენში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეებით და თავს მოგვახვევენ ეკოლოგიურად ჭუჭყიან და პოტენციურად საშიშ წარმოებას?

იმისათვის, რომ უცხოური კაპიტალი გამოყენებული იქნეს ეფექტიანად, ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ინტერესების შესატყვისად და მათგან გამომდინარე, აუცილებელია ჩვენი მხრიდან მისი რეგულირება და კონტროლი. რეგულირება უნდა განახორციელოს სახელმწიფომ შესაბამისი სტრუქტურების მეშვეობით და საბანკო სისტემამ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობით. რეგულირების პროცესში უნდა გადაწყდეს ორი ერთიმეორესთან დიალექტიკურ კავშირში მყოფი ამოცანა: — პირველი, არ უნდა მოხდეს უცხოური კაპიტალის გაფანტვა და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი კონცენტრაცია პროგრესულ, ჩვენი ქვეყნისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე; მეორე, თავიდან უნდა ავიცილოთ მიღებული რესურსების გამოყენების პროცესში ზედმეტი ცენტრალიზაცია, ბიუროკრატიზაცია და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

უცხოური კაპიტალის ჩვენს ეკონომიკაში შემოსვლასთან ერთად გარედან შემოვა კონკურენცია და ეს არის ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობა. მეორე მხრივ, ჩვენი საწარმოები ამჟამად აბსოლუტურად არ არიან მზად რაიმე სერიოზული კონკურენციისათვის. ამიტომ საწყის ეტაპზე არ არის გამორიცხული სახელმწიფოს მიერ გარკვეული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. ამასთანავე, ყველა სამამულო საწარმომ უნდა იცოდეს, რომ ამ პოლიტიკას ექნება მხოლოდ დროებითი ხასიათი. უცხოურ ფირმებთან კონკურენციაში პოზიციების მოსაპოვებლად საჭიროა საწარმოთა გაერთიანება კონცერნებად, კონსორციუმებად, ასოციაციებად და სხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებად.

უცხოური ფირმები, მობილური მცირე და საშუალო საწარმოები, ნებაყოფლობითი სამეურნეო გაერთიანებები შექმნიან საქართველოს ეკონომიკის ეფექტიან და პროგრესულ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს ცივილიზებული ხალხისათვის შესაფერისი ცხოვრების დონის მიღწევას.

**Э. Г. МЕКВАБИШВИЛИ**

## РОЛЬ ИНОСТРАННОГО КАПИТАЛА В ФОРМИРОВАНИИ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ В ГРУЗИИ

В статье обоснована необходимость привлечения иностранного капитала в формирование рыночной структуры в Грузии. Охарактеризованы основные формы иностранного капитала — ссудный капитал (межгосударственные кредиты) и прямые иностранные инвестиции. Преимущество отдано прямым инвестициям. Рассмотрен комплекс условий, обеспечивающих непосредственную заинтересованность иностранных фирм в инвестициях капитала в экономике Грузии.

Проанализированы проблемы и противоречия, связанные с привлечением иностранного капитала в условиях экономического кризиса и политической нестабильности.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიკროეკონომიკის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დურსუნ დიასამიძე

# აგრარული ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე

ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეგრადაცია ძალზე მრავალია და ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული. ამიტომ მათი მეცნიერული ანალიზი და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიება ასევე მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. როგორც წესი, ეს ანალიზი უნდა გასცდეს ერთი დარგის ფარგლებს — საკუთრივ სოფლის მეურნეობის და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის ფარგლებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება დასმულ კითხვაზე პასუხი იყოს მეტნაკლებად სრული და ამომწურავი.

არის მთელი რიგი გლობალური პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე, ვერც მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკა და ვერც მისი ცალკეული დარგი, მათ შორის სოფლის მეურნეობა, ვერ გამოვა კრიზისიდან, ამიტომ არ შეიძლება არ შევეხოთ ამ პრობლემებს ზოგადად მაინც. ჯერ ერთი საბოლოოდ მოიშალა საკომანდო ეკონომიკა, მაგრამ საბაზრო სტრუქტურები ჯერჯერობით ვერ შევქმენით. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ ეკონომიკა გახდა უმართავი, ველარ მართავს მას ვერც ცენტრი, ვერც საბაზრო მექანიზმი, ფაქტიურად ეკონომიკა მინდობილია სტიქიურ პროცესებზე.

დღეს უკან დაბრუნებას საკომანდო ეკონომიკისაკენ აზრი აღარა აქვს, ზოგიერთები მოითხოვენ დროებით გამოვიყენოთ ადმინისტრაციულ-იძულებითი მეთოდები სოფლის მეურნეობაში. ამან შეიძლება დროებითი ეფექტი მოგვცეს, მაგრამ ვფიქრობთ საშიშია, რადგან საბოლოოდ დაუკარგავს რწმენას გლეხობას რეფორმების განხორციელების სტაბილურობაში, მის შეუქცევად ხასიათში.

მეორე ეს ისაა, რომ მოშლილია ფულადი სისტემა ქვეყანაში. ჩვენ ვიმყოფებით ერთიან სამანეთო სივრცეში, ამიტომ ნებით თუ უნებლიედ განვიცდით თანამეგობრობის ქვეყნების ზეწოლას. ფასების ლიბერალიზაციამ ამ ქვეყნებში არასასურველი შედეგები გამოიწვია და რაც მთავარია, არც იქ და არც ჩვენთან არ მოგვცა შედეგად წარმოების დინამიური განვითარება, რასაც რადიკალური ფორმის ავტორები ელოდნენ, პირიქით, წარმოებაც დაეცა, მძიმე ჰიპერინფლაციის პირობებში. ასეთი მდგომარეობიდან თავის დაღწევა უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული, მათ შორის სოფლის მეურნეობაში.

ფასების თავაშვებული ზრდა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს სოფლის მეურნეობას. საქმე ისაა, რომ იმ პროდუქციის ფასები, რომლითაც სოფელი მისთვის საჭირო პროდუქციას ყიდულობს, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ის ფასები, რომლითაც იგი ყიდის თავის პროდუქციას. ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კანონზომიერება ბევრი განვითარებული ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში მისი ნიველირება ხდება ფასების ინდექსაციით. სამწუხაროდ ეს ჩვენთან არ კეთდება და არცა გვაქვს დღეს საამისო შესაძლებლობები. ბუნებრივია ეს ხელს ვერ შეუწყობს კრიზისული მდგომარეობიდან აგრარული სექტორის გამოყვანას, პირიქით შეიძლება კიდევ უფრო გააღრმავოს იგი თუ ვერ ავლკვეთეთ ფასების მაკრატელი აგრარული სექტორის საზიანოდ.

მესამე, ეს არის ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და შესაბამისად სამეურნეო კავშირების ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით მოშლა. მართალია შრომის ე. წ. დანაწილება, მათ შორის სოფლის მეურნეობის დარგში, ბევრ მანკიერებას შეიცავდა, მაგრამ მისი ერთბაშად მოშლა, სათანადო მომზადების გარეშე, წინასწარი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების გარეშე დიდ სიძნელეებს ქმნის.

და, ბოლოს საერთოდ ეკონომიკის მდგრადობაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, ეთნოკონფლიქტები, შინაომები, სისხლისღვრა და სხვა.

არ შეიძლება სწორი დასკვნები გავაკეთოთ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის თვალსაზრისით. თუ შექმნილი მოვლენები, მასშტაბურად და სისტემატურად არ განვიხილეთ და შევიზღუდეთ მხოლოდ ერთი დარგის ფარგლებით, ჩვენის აზრით, გლობალური და კონკრეტულ-დარგობრივი პრობლემები ურთიერთ კავშირში უნდა იქნას განხილული და გაანალიზებული. მხოლოდ ამ ზოგადი ასპექტების განხილვის შემდეგ მიგვაჩნია მიზანშეწონილად შევჩერდეთ დარგობრივ პრობლემებზე. აქაც არ შეიძლება არ გამოვყოთ პრობლემების ორი ჯგუფი: უახლოესი პერსპექტივის და უფრო შორეული პერსპექტივის პრობლემები, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ არის პრობლემები, რომლებიც შეიძლება დღესვე გადაიჭრას და უფრო სუბიექტური ხასიათისაა ანუ ჩვენზეა დამოკიდებული და არის პრობლემები რომლებიც გარკვეულ დროს მოითხოვენ და სათანადო ობიექტური ეკონომიკური პირობების შექმნასთანაა დაკავშირებული, ამიტომ უფრო ობიექტური ხასიათისაა.

ის რაც დღეს შეიძლება გავაკეთოთ არ უნდა დავაყოვნოთ, მაგრამ არც ის პრობლემები უნდა დავტოვოთ ყურადღების გარეშე, რომელთა გადაჭრას დრო სჭირდება და დღეს ვერ მოხერხდება. დღესვე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შევამზადოთ მათთვის სათანაო საძირკველი, მხედველობაში გვაქვს ორი დიდი პრობლემა რომელთა გადაჭრის გარეშე ჩვენი სოფლის მეურნეობა, როგორი წარმატებითაც არ უნდა განვახორციელოთ საადგილმამულო რეფორმა (ტერმინი „მიწის რეფორმა“ ენობრივად გაუმართავია) და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ვერ ამაღლდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სოფლის მეურნეობის დონემდე შრომის ნაყოფიერების, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ზრდის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს: 1) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა და 2) აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც დარგთშორის კომპლექსის საბოლოოდ ჩამოყალიბება და ფორმირება.

დასავლეთში ამ პრობლემების გადაჭრას ხელი შეუწყო გარკვეულმა ეკონომიკურმა პირობებმა და, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის სიჭარბემ, როცა მიმდინარე საუკუნის 30-40-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობა ეკონომი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კის მომგებიანი სფერო გახდა სურსათზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდის გამო, მისკენ დაიძრა ეს ჭარბი კაპიტალი და უზარმაზარი დაბანდებები განხორციელდა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სფეროში. სულ სამი თუ ოთხი ათეული წლის მანძილზე გადაწყდა ორივე ზემოთ აღნიშნული პრობლემა. წარსულს ჩაბარდა ხელით შრომა სოფლის მეურნეობაში; 70-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე საბოლოოდ გაფორმდა აგროკომპლექსი, როცა III ბლოკის (გადამუშავება, აგროსერვისი) ხვედრითმა წონამ მასში 70%-ს მიაღწია, მაშინ, როცა ჩვენთან იგი 20-25%-ს ვერ ასცილდა, რაც პროდუქციის უზარმაზარ დანაკარგებს იწვევს — მთელი წარმოებული პროდუქციის თითქმის ერთი მესამედი იკარგება.

ჩვენ კაპიტალის ასეთ სიჭარბეს მოკლებული ვართ, პირიქით განვიცდით მწვავე დეფიციტს. მიუხედავად ამისა მაინც უნდა ვეძიოთ გზები და შესაძლებლობები, რათა მოვიზიდოთ სახსრები სოფლის მეურნეობაში. დიდი დაბანდებების გარეშე სოფლის მეურნეობაში და მთლიანად აგროკომპლექსში ჩვენ გაგვიჭირდება არსებითი ნაბიჯების გადადგმა.

რა შესაძლებლობები გვაქვს ჩვენ დღესდღეობით ამ მხრივ?

უპირველეს ყოვლისა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში ღია ტიპის სააქციო საზოგადოებები, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ არა მარტო სოფლის მოსახლეობის, არამედ ქალაქის მოსახლეობის სახსრები, რაც პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნას წარმოების ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის, აგროსერვისის განვითარებისათვის. მიზანშეწონილი იქნება ბევრი მსხვილი საწარმო, რომელსაც შევინარჩუნებთ სოფლის მეურნეობაში გარდაიქმნან სააქციო საზოგადოებებად.

მეორე, არ უნდა ვთქვათ უარი უცხოეთის კაპიტალის გამოყენებაზე და შერეული ტიპის საწარმოების შექმნაზე. რა თქმა უნდა, აქ ბევრი ხელშემშლელი გარემოებები გვაქვს: ენის არცოდნა, დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის უქონლობა, მანეთის მზარდი გაუფასურება, დასავლეთის ტექნიკისა და აგროტექნიკის გამოყენებაში არასაკმარისი კვალიფიკაცია და სხვა. მიუხედავად ამისა, კაპიტალდაბანდების ეს წყარო სოფლის მეურნეობაში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

მესამე, უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საიჯარო ურთიერთობები. იჯარით შეიძლება მიწა მივცეთ, როგორც საწარმოებს ისე ცალკეულ ბიზნესმენებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო სახსრები მიწაზე დაბანდებების განსახორციელებლად და აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის დასაბუთებული პროგრამები. იჯარით გასაცემი მიწის ფართობი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი პირობების, მიწაზე კაპიტალის შესაძლო დაბანდებების გათვალისწინებით. მეოთხე, უნდა გაიზარდოს საადგილმამულო (საიპოთეკო) ბანკის როლი, როგორც საკრედიტო ცენტრისა, რომელიც მიწის გირავნობის ქვეშ მისცემს სესხს გლეხობას წარმოებაში დასაბანდებლად. მაგ. აშშ-ში ამ სახით საიპოთეკო ბანკებს 100 მლრდ დოლარზე მეტი სესხი აქვთ გაცემული ფერმერებისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობაშია დაბანდებული. თავის დროზე დიდი ილიას ბანკიც ხომ ამ მიზანს ისახავდა. და ბოლოს, მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები სოფლად, როცა საამისოდ სათანადო პირობები გვექნება და საერთოდ უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს პროტექციონისტული პოლიტიკა სოფლის მიმართ. დასავლეთის ქვეყნები, ამ მხრივ, მისაბაძი უნდა გახდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის. მაგალითად, აშშ-ში სოფლის მეურნეობის დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად ყველა პროგრამის მიხედვით, მათ შორის, მეცნიერების დაფინანსებისათვის შეადგენს წარმოებული პროდუქციის ღირებულების 30%-ს. კანადაში — 47%-ს, „საერთო ბაზრის" ქვეყნებში — 48%-ს, იაპონიაში —68%-ს. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ყველაზე სათუთი და ამასთან ყველაზე მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგია და მას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ.

აქედან გამომდინარე, აგრარულ რეფორმებს, რაც კრიზისიდან თავის დაღწევის მთავარი გზაა, არ შეიძლება მივუდგეთ მხოლოდ ვიწრო გაგებით, მხოლოდ მიწის პრივატიზაციის, მხოლოდ საადგილმამულო საკითხების გადაწყვეტით, რეფორმას უნდა მივუდგეთ ფართო გაგებითაც, უფრო შორეული თვალთახედვითაც, ვიდრე სოფლის მეურნეობა არ მიაღწევს განვითარებული მსოფლიოს სტანდარტების დონეს. საადგილმამულო რეფორმა კი აგრარული რეფორმის, აგრარული გარდაქმნების ამოსავალი ბაზა უნდა გახდეს. ეს უკანასკნელი კი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

პრესაში ხშირად იწერება წერილები ტრადიციული მიწათმოქმედების აღდგენის შესახებ, მაგრამ მსჯელობა ხშირად ზოგადი ფრაზებით ამოიწურება. ჩვენის აზრით, აქ უფრო ღრმა, მეცნიერული ანალიზი გვჭირდება.

როგორ გავიგოთ ტრადიციული მიწათმოქმედება? რა თქმა უნდა ამ პრობლემას მრავალი ასპექტი აქვს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენ აქ სამ მთავარ მომენტს გამოვყოფდით.

პირველი, ეს არის სოფლის მეურნეობის კულტურებისა და დარგების არსებულ შეთანაწყობაში გარკვეული კორექტივების შეტანა ტრადიციულ დარგობრივ სტრუქტურასთან მისი რამდენადმე მიახლოების მიმართულებით;

მეორე, ეს არის მეურნეობრიობის ტრადიციული ფორმების აღდგენა;

მესამე, შეეხება ტრადიციულ ტექნიკას, ტრადიციული წარმოების იარაღებს — შევინარჩუნოთ იგი თუ წავიდეთ წინ ცივილიზებული მსოფლიოს თანამედროვე მიღწევების გზით?

დავიწყოთ პირველით, სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებული სპეციალიზაცია ზოგიერთი ცვლილებების მიუხედავად ძირითადად ალბათ შენარჩუნებული იქნება, საქართველო იყო და დარჩება მრავალწლიან კულტურათა კლასიკურ ქვეყნად, მაგრამ სოფლის მეურნეობის ამჟამინდელ დარგობრივ სტრუქტურაში, რაც საკომანდო-ადმინისტრაციულ სისტემისათვის იყო დამახასიათებელი გარკვეული ცვლილებები უთუოდ შევა. ჩვენ სურვილებს ბაზარი ანგარიშს აღარ გაუწევს. ბაზარს თავისი ობიექტური ეკონომიკური კანონები აქვს. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ბაზრის რეგულირება, როგორც ეს დასავლეთში ხდება, შეიძლება ზოგიერთი დარგისა თუ კულტურის განვითარებას სათანადო სტიმულებიც შევუქმნათ, მაგრამ ჯერ ერთი, აქაც უნდა ვიმოქმედოთ ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპით და მეორე, ბაზრის რეგულირებისათვის საჭიროა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო, ვინაიდან რეგულირებას სახსრები სჭირდება. ამიტომ თავდაპირველი ბაზარი, ძირითადად მიწოდება-მოთხოვნის კანონებისა და ფასების მოძრაობაზე იქნება დამოკიდებული. უპირატესად განვითარდება ის დარგები და კულტურები, რაზედაც უფრო მეტი მოთხოვნილება და შესაბამისად უფრო მაღალი ფასები იქნება. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ის წინაალმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გობა, რაც გაჩნდა ჩვენთან საექსპორტო და ტრადიციულ დარგებს შორის, რამდენადმე შერბილდება, ტრადიციული დარგების შედარებით უფრო მაღალი ტემპებით განვითარების გზით, ყოველ შემთხვევაში ასე იქნება გარკვეული დროის მონაკვეთში მაინც. ბევრ ქვეყანაში, რომელიც ჩვენსავით ზომიერ სარტყელში მდებარეობს და გააჩნიათ ხელსაყრელი პირობები სამხრეთული კულტურების განვითარებისათვის, გაცილებით მაღალია მეცხოველობისა და მარცვლეულის წარმოების ხვედრი წონა, ვიდრე ჩვენთან, როგორც ჩანს, მსოფლიო ბაზრის ფასები აქ გარკვეულ როლს თამაშობენ. ადრე თუ გვიან მსოფლიო ბაზარში, ჩვენც მოგვიხდება ჩართვა და მისი ფასების გავლენას ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე ვერ ავცდებით.

ახლა რაც შეეხება მეურნეობრიობის ტრადიციულ ფორმებს, მთელ რიგ რეგიონებში და განსაკუთრებით, მთიანეთში ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით, მიზანშეწონილია აღვადგინოთ ტრადიციული გლეხური მეურნეობები. მათი მასშტაბები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ როგორი იქნება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი საბაზრო ფასების პირობებში, ამას მომავალი დაგვანახებს.

ამ ეტაპზე გლეხური მეურნეობების აღდგენა, ჩვენის აზრით, ნიშნავს ტრადიციული გლეხური მეურნეობების აღდგენას და იგი არ უნდა გავაიგივოთ ფერმერულ მეურნეობასთან, მით უმეტეს თანამედროვე მსხვილ ფერმერულ მეურნეობასთან. ჩვენთან ხშირად მათ შორის ტოლობის ნიშანს სვამენ.

ჯერ ერთი, გლეხური მეურნეობა ისტორიულად უფრო ადრე გაჩნდა. იგი ტიპიურია ფეოდალიზმისათვის. ფერმერული მეურნეობა კაპიტალისტური საზოგადოების პირმშოა და იგი თავდაპირველად გაჩნდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, კანადა, ახალი ზელანდია და სხვა. ე. ი. ამ ქვეყნებში, სადაც ფეოდალიზმის ნაშთები არ არსებობდა და კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა ადრე მოიკიდეს ფეხი სოფლის მეურნეობაში.

მეორე, რაც მთავარია ტრადიციული გლეხური მეურნეობა სამომხმარებლო ტიპის მეურნეობაა თავისი ხასიათით, იგი მხოლოდ ნამეტ პროდუქციას ყიდის ბაზარზე, ფერმერული მეურნეობა კი სასაქონლო ტიპის მეურნეობაა. ფერმერი მეწარმეა, ბიზნესმენია, იგი ძირითადად ბაზრისათვის აწარმოებს, მოგების მიღების მიზნით.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თანამედროვე ფერმერული მეურნეობები ინდუსტრიული ტიპის მეურნეობებია, მაშინ, როდესაც ჩვენთან შექმნილი გლეხური მეურნეობები ჯერჯერობით ეფუძნებიან ჩამორჩენილ ტექნიკურ ბაზას, ამიტომ კარგახანს დარჩებიან ძირითადად სამომხმარებლო-ნატურალური ტიპის მეურნეობებად.

ამიტომ აგრარული კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ის, რომ ტრადიციული გლეხური მეურნეობები, რაც შეიძლება სწრაფად გარდავქმნათ თანამედროვე ტიპის ფერმერულ მეურნეობებად. აქ ორ მთავარ ფაქტორს შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი: სოფლად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ინდუსტრიულ საფუძველზე, სოფლის მეურნეობის გადაყვანას და საბაზრო ურთიერთობების განვითარებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩამოყალიბდეს სოფლად განვითარებული საბაზრო სტრუქტურები, რომელთა შემადგენლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ ფერმერული მეურნეობები. ამას რა თქმა უნდა დიდი კაპიტალდაბანდებები დასჭირდება.

ვერ ვიტყვით უარს მსხვილ მეურნეობებზეც, შემდგომში, განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ამ საკითხს თვით საბაზრო კონკურენცია გადაწყვეტს, მეურნეობრიობის ის ფორმა გაიმარჯვებს, რომელიც უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება.

თავისთავად დგება, წვრილთან შედარებით, მსხვილი მეურნეობის უპირატესობის საკითხი. მაგრამ ამ უპირატესობას თავისი ასპექტები გააჩნია. დღეს დასავლეთის ქვეყნებში ყველგან შეიმჩნევა ფერმერულ მეურნეობათა კონცენტრაციის პროცესი, მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის განუყრელად არის დაკავშირებული სოფლად ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან. ტექნიკური პროგრესი გახდა აქ ის ობიექტური საფუძველი, რამაც განაპირობა მეურნეობის გამსხვილების აუცილებლობა. ამ საქმეს თავის დროზე სახელმწიფომაც აქტიურად შეუწყო ხელი. ამის გამოხატულება იყო „ევროპის მწვანე გეგმა“ „მანსხოლტის გეგმა“ და სხვა, რაც სოფლად ეფექტიანი მეურნეობების, ახალი აგრარული სტრუქტურების შექმნას ითვალისწინებდა.

ჩვენთან, თავის დროზე, შეიქმნა მსხვილი მეურნეობები, ისეთი ობიექტური საფუძვლის გარეშე როგორიცაა ტექნიკური პროგრესი. ამიტომ მივიღეთ თავისებური ანაქრონიზმი — მსხვილი მეურნეობები ადეკვატური ტექნიკური ბაზის გარეშე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხელით შრომის ხვედრი წილი დღესაც 70%-ს აღემატება. ამიტომ ეს მეურნეობები ეფექტურნი ვერ აღმოჩნდნენ, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა, მიუხედავად ამისა მსხვილი მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა შევინარჩუნოთ. არ შეიძლება დღეს მსხვილ მეურნეობებში ხელაღებით, კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, დავაქუცმაცოთ მრავალწლიან ნარგავთა ერთიანი დიდი მასივები. უნდა გავითვალისწინოთ სხვა მომენტებიც. აუცილებელია სახელმწიფოს ხელში თავი მოიყაროს სასურსათო რესურსების გარკვეულმა ნაწილმა. ამ მხრივ კი სახელმწიფოს ურთიერთობა მსხვილ მეურნეობებთან უფრო მოსახერხებელია. მაგრამ მსხვილ მეურნეობებს გააჩნიათ არსებითი ნაკლოვანებები — დიდია მათში პროდუქციის დანაკარგები და ვერ არის იგი სათანადოდ დაცული პროდუქციის დატაცებისაგან და ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენის აზრით ისაა, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები ჩვენთან მეტისმეტად მსხვილებია. კონცენტრაციის პროცესი ბოლო დროს კიდევ უფრო გაძლიერდა. თუ წინათ საზოგადოებრივ მეურნეობათა რიცხვს საქართველოში ათასობით ითვლიდნენ, ახლა ასეულობით ითვლიან. ერთი კოლმეურნეობა რამდენიმე სოფელს მოიცავს, ხშირად 7-8-ს, ასეთი მეურნეობები პრაქტიკულად უმართავია. იქ, სადაც მსხვილ მეურნეობებს შევინარჩუნებთ მათი ზომები უნდა შემცირდეს როგორც წესი არ უნდა გასცდეს ერთი ან ორი მომიჯნავე სოფლის ფარგლებს. ცნობილ რუს აგრარიკოს ა. ჩაიანოვს ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში მსხვილი მეურნეობის ოპტიმალურ ზომად მიაჩნდა 400-500 ჰექტარიანი მეურნეობა. ჩვენთან დღეს მათი საშუალო სიდიდე თითოეულში 2000 ჰექტარს აღემატება.

მსხვილ მეურნეობათა აღნიშნულმა ნეგატიურმა მხარეებმა გამოიწვია გლეხის გაუცხოება საზოგადოებრივი მეურნეობისაგან, მშობლიური მიწისაგან, ამიტომ პირად მეურნეობებში, სადაც გაუცხოების პრობლემა არ იდგა, მიწის გამოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დონე ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სადგილმამულო რეფორმა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხური მეურნეობის ტექნიკური ბაზა პირველ ხანებში იქნება მეტად სუსტი, მაინც მოგვცემს პროდუქციის გარკვეულ მატებას იმის შთაგონებით, რომ გლეხი თავისთვის მუშაობს და მისი შრომის პროდუქტი მთლიანად მას ეკუთვნის. მიუხედავად დამქანცველი შრომისა, მორალურად გლეხი კმაყოფილი იქნება, ვინაიდან მისი ცხოვრების პირობები არა სხვაზე, არამედ მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ეს ხელს არ აძლევს ზარმაცებსა და უქნარებს, აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის წამგლეჯებს.

და ბოლოს, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ტრადიციული მიწათმოქმედების, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ, მესამე მომენტზე — საწარმოო ძალებზე, სამიწათმოქმედო ტექნიკაზე. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ის რაც კარგი შექმნია ჩვენს წინაპრებს და რასაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა უნდა შევინარჩუნოთ და გამოვიყენოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ ტექნიკის ამ დონეზე ვერ გავჩერდებით, უნდა ვიაროთ წინ. დღეს ხშირად გაისმის პრესის ფურცლებზე დებულება იმის შესახებ, რომ საქართველო არის და უნდა დარჩეს აგრარულ რესპუბლიკად. მასთან ამ დებულებას აყენებენ სათანადო მეცნიერული არგუმენტების გარეშე. ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ყოველი ქვეყნის აგრარული სტრუქტურა არსებითად კოლონიური სტრუქტურაა, ამჟამად ასეთი სტრუქტურა ახასიათებს ბევრ განვითარებად ქვეყანას. და თუ სადმე არის დღეს განვითარებული სოფლის მეურნეობა და მაღალია იქ დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერება ესაა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. ზოგიერთი ეკონომისტის[1] გათვლებით, აშშ-ის სოფლის მეურნეობაში უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, ვიდრე ინდოეთში 45-ჯერ, ვიდრე პაკისტანში — 31,5-ჯერ, ვიდრე ტაილანდში — 26,5-ჯერ, ვიდრე ირანში — 15,7-ჯერ, ვიდრე თურქეთში — 14,3-ჯერ ვიდრე საქართველოში — 14-ჯერ.

„ფაოს"-ს (გაეროში შემავალი ორგანიზაცია) გაანგარიშებით დღეს დედამიწის მოსახლეობის 30% ცხოვრობს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო ეს ქვეყნები აწარმოებენ სურსათის მსოფლიო წარმოების 60%-ს. როგორც წესი დღეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს ძალუძთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადაიყვანონ ინდუსტრიულ საფუძველზე ვინაიდან სწორედ ამ ქვეყნებს გააჩნიათ ამისათვის აუცილებელი ეკონომიკური სიძლიერე. მართალია ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკაში სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის ხვედრიწონა მცირდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. ეს კანონზომიერი პროცესია. მაგ., აშშ-ის ეკონომიკაში ასკ-ის ხვედრი წონა 13%-ია, ჩვენთან 50%. მაგრამ მოსახლეობის ერთ სულზე, სურსათის წარმოების მხრივ, ჩვენ ბევრად ჩამოვრჩებით აშშ-ს, მიუხედავად ეკონომიკაში ასკ-ის მაღალი ხვედრიწონისა. ამიტომ ჩვენი აზრით, აგრარული სტრუქტურის შენარჩუნება ნიშნავს ეკონომიკაში სოფლის მეურნობის მაღალ ხვედრიწონას და შესაბამისად მოსახლე-

---

[1] Болотин Б. Новые государства в зеркале старых. ჟურნ. „Деловые люди", № 1, 1992 წ. გვ. 66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ობის ერთ სულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალ დონეს.

ამით სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ დღესვე ხელოვნურად შევუწყოთ ხელი აგრარული სექტორის, მასში დასაქმებულთა ხვედრიწონის შემცირებას. პირიქით დღევანდელ ეტაპზე, ჩვენი დღევანდელი ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში, სოფლად უნდა მოვიზიდოთ დამატებითი მუშახელი და მიმდინარე საადგილმამულო რეფორმა ამ მხრივ ხელშემწყობ პირობებს ქმნის კიდეც.

ლაპარაკია სტრატეგიულ მიმართულებაზე, გლობალურ ამოცანაზე, როცა საწარმოო ძალების განვითარებისა და ზრდის, სოფლად ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე თავს იჩენენ იგივე კანონზომიერებები, რაც დასავლეთის ყველა ცივილიზებულმა ქვეყანამ უკვე გაიარა, როცა აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოების მასშტაბებმა მანამდე არნახულ დონეს მიაღწიეს, თუმცა მათი ხვედრიწონა ეკონომიკაში კანონზომიერად მცირდებოდა.

სწორედ ამაშია ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების არსი. აგრარული სექტორის შეფარდებითი შემცირება ამ დარგის დაკნინებას კი არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთებს ეჩვენებათ, არამედ პირიქით ნიშნავს ამ დარგის ინტენსიურ განვითარებას, პროდუქციის წარმოების აბსოლუტურ ზრდას, როგორც საერთოდ, ისე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

დღეს, როდესაც დღის წესრიგში დგება ჩვენი ეკონომიკური განვითარების კონცეფციების შემუშავების აუცილებლობის საკითხი, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება დებულებას იმის შესახებ აგრარული იქნება ჩვენი მომავალი განვითარების გეზი თუ ინდუსტრიულ-აგრარული. საქმე ისაა, რომ მასზე იქნება დამოკიდებული სხვა სტრუქტურული პარამეტრები, დარგთაშორისი პროპორციები და მეცნიერული პრიორიტეტებიც კი. ამიტომ ეს პრობლემა მარტო აგრარიკოსების პრობლემა არ არის. ამ საკითხზე აუცილებელია თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან სხვა პროფილის, მათ შორის თეორიული პროფილის ეკონომისტებმაც.

აქვე, გვინდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება აგრარული პრობლემები ვიკვლიოთ მხოლოდ პრაქტიკული-გამოყენებითი კვლევის კუთხით, არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს გლობალურ, თეორიულ ასპექტებსაც. ჩვენის აზრით, ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს კვლევა, პრობლემებს უნდა ვხედავდეთ მთლიანობაში, ახლოდანაც და შორიდანაც. ეს აგრარულ სფეროში კვლევის ეფექტიანობის ამაღლების და აქედან გამომდინარე, კრიზისიდან თავის დაღწევისათვის გზების ძიების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**Д. С. ДИАСАМИДЗЕ**

# АГРАРНАЯ ЭКОНОМИКА НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ


Резюме

В статье дается классификация глобальных и отраслевых факторов, определяющих кризис аграрной экономики, и намечаются пути его преодоления, должное внимание уделяется вопросам земельной реформы как исходной базы для дальнейших аграрных преобразований, особое внимание уделяется вопросам формирования рыночных структур в сельском хозяйстве, концентрации производства, перевода сельского хозяйства на индустриальную основу, формирования оптимальной структуры сельского хозяйства и в целом АПК; в статье вопреки принятым мнениям, разграничиваются понятия крестьянского и фермерского хозяйств, рассматривая последнюю, как результат развитых рыночных отношений и научно-технического прогресса в сельском хозяйстве, обосновывается высказанное автором соображение о неправомерности распространенных в последнее время мнений об аграрном направлении развития экономики Грузии.


წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის აგრარული ეკონომიკის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაცნე", ეკონომიკა და სამართალი, 1992, 4

აბელ ჩანტლაძე

# თბილისის საქალაქო მეურნეობა (1910-1920 წწ.)

თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თბილისმა გადაიტანა მრავალი გამანადგურებელი შემოსევა: სპარსელების, ბიზანტიელების, არაბების, ოსმალების, სელჩუკების, მონღოლებისა და სხვ.

სატახტო ქალაქად გახდომის შემდეგ თბილისი. მიუხედავად მრავალი აოხრება-დანგრევისა და დარბევისა, თითქმის მუდამ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველო შეიერთა რუსეთმა, დასრულდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლები დამპყრობთა წინააღმდეგ, შეწყდა მტრების შემოსევა თბილისზე, მისი რბევა და აწიოკება.

თბილისის სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებას ცვლილება განსაკუთრებით მკაფიოდ დაეტყო მე-19 საუკუნის დამლევს. 1900 წელს თბილისში უკვე იყო 5263 საკრედიტო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება. ამ დაწესებულებებში 2100 მუშა მოსამსახურე ითვლებოდა.

სამრეწველო განვითარების დიდი შესაძლებლობების მიუხედავად, თბილისი უპირატესად ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრად რჩებოდა. საქალაქო მეურნეობის განვითარების საკითხებიც ცოტათი აინტერესებდათ მაშინდელ ოფიციალურ მესვეურებს. თბილისის საქალაქო მეურნეობა და კეთილმოწყობა დაბალ დონეზე იყო.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის თბილისს, ისე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებს, ახასიათებდა ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული უბნები, განსხვავებული მუშათა უბნებისაგან.

გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველი) პროსპექტი, სოლოლაკი, ერევნის (ამჟამად თავისუფლების) მოედნის მარჯვენა მხარე დავითის მთისა და სოლოლაკის ხეობაში მოქცეული ქალაქის ნაწილი წარმოადგენდა ქალაქის არისტოკრატიის უბანს, რომელიც სხვა უბნებთან შედარებით უფრო კეთილმოწყობილი იყო. ქალაქის მშრომელთა უბანს წარმოადგენდა მოედნიდან სამხრეთით მტკვრამდე, სოლოლაკის მთის ჩრდილო დაქანებიდან მდინარე წავკისამდე და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარე ტერიტორია. აქ ისევ ძველი ვიწრო, ტალახითა და ნაგვით სავსე ქუჩები იყო. აქ იყო გამართული ბაზრები — ნოტიო, დაბალი სახლები — ძველებური, ბრტყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სახურავებით. სწორედ ამ უბანში იყო მოკალათებული ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

თბილისის თვითმმართველობა არაფერს არ აკეთებდა ქალაქის მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ის ზრუნავდა მხოლოდ სოლოლაკის კეთილმოწყობისათვის, სადაც სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატია, მსხვილი ვაჭრები და თავადები ცხოვრობდნენ.

ქალაქ თბილისში, როგორც ადმინისტრაციულ-სავაჭრო ცენტრში, თვითმმართველობა არ ზრუნავდა მცხოვრებთა უმრავლესობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

თბილისი საცხოვრებელი ბინების პირობების მხრივ არ წარმოადგენდა გამონაკლისს მეფის რუსეთის ქალაქებისაგან. საცხოვრებელი სახლები კერძო მფლობელებს, უმთავრესად შეძლებულ ფენებს ეკუთვნოდა. მშრომელები მიწურებში, ქოხმახებსა და სარდაფებში ცხოვრობდნენ.

1908 წელს სარდაფში მოთავსებული იყო 1927 ბინა, ხოლო 1912 წელს—2375 ბინა. თბილისში ბინების დიდი რაოდენობა ერთსართულიანი იყო, რაც 1912 წელს შეადგენდა მთელი ბინათა ფონდის 57,8 პროცენტს, ორ და სამსართულიანი და მეტი ბინები მცირე რაოდენობით იყო, ისიც იმ უბნებში, სადაც შეძლებული კლასები ცხოვრობდნენ. მაგალითად: 1908 წელს სამსართულიანი სახლები შეადგენდა მთლიანი ფონდის 4,4%-ს, 1912 წელს—7,4%-ს ოთხსართულიანი—0,5%. ხოლო ხუთსართულიანი სახლები 1912 წელს შეადგენდა მთლიანი ფონდის 0,1%-ს[1].

თბილისში, 1912 წელს ერთ ოთახზე მოდიოდა 3,7 მცხოვრები. განსაკუთრებით ბინების სივიწროვეს ადგილი ჰქონდა განაპირა უბნებში. 1908 წლიდან 1913 წლამდე თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 234 ათასიდან 344 ათასამდე. ე. ი. 47%-ით. ბინების რაოდენობა კი გაიზარდა 33.519-დან 43.108-მდე. ე. ი. სულ 28,6%-ით. ეს ციფრები ნათლად ადასტურებს, რომ ქალაქში ბინათმშენებლობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდას. მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მრეწველობის განვითარება და კონცენტრაცია, სამრეწველო პროლეტარიატის შეუჩერებელი გამრავლება.

70-80-იან წლებში თბილისი შესამჩნევად იზრდება. ქალაქის მეურნეობა სახეს იცვლის. მას უფრო და უფრო დაეტყო ევროპისა და რუსეთის სამრეწველო ცენტრების გავლენა. ვაჭრობა-მრეწველობის ზრდამ ძირეულად შესცვალა ამ ქალაქის მეურნეობა. იგი გადაიქცა სატრანსპორტო მრეწველობის ცენტრად ამიერკავკასიაში, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალმა წარმოშვა რკინიგზის დიდი სახელოსნოები თბილისში. აქ თავს იყრიდა დიდძალი მუშახელი[2]. ამრიგად თბილისი გადაიქცა, მრეწველობის განლაგების მხრივ, მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად, სადაც მსოფლიო ომის წინა ათეულ წლებში 20-25 ათასამდე დაქირავებული მუშა ითვლებოდა.

კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის დამახასიათებელი მომენტები და ბინათმშენებლობის დაბალი დონე იწვევდა მშრომელების საბინაო პირობების კიდევ უფრო გაუარესებას.

---

21 თბილისის სტატისტიკური ატლასი, 1922 წ., გვ. 63.

22 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე), 1954 წ. გვ. 310.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მოსახლეობა მუდმივად განიცდიდა კარგი ხარისხის წყლის ნაკლებობას. ქალაქი ძირითადად სარგებლობდა მტკვრის წყლით. მტკვრის წყალი ყოველთვის ხასიათდებოდა დიდი გაბინძურებით, რადგან მდინარეში უშვებდნენ ყოველგვარ უსუფთაობას. ამის შედეგად ქალაქში ხშირი იყო ეპიდემიური დაავადებანი, რომელიც მოსახლეობის სიკვდილიანობას ადიდებდა. მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე თბილისს არ ჰქონდა წყალსადენი. მომხმარებლამდე წყალი მიჰქონდათ წყალმზიდავებს, რომლებსაც „მეთულუხჩეებს“ უწოდებდნენ. ისინი წყალს ეზიდებოდნენ ცხენებსა და ვირებზე გადაკიდებული საგანგებო გუდით. გარდა მტკვრის წყლისა ქალაქი სარგებლობდა აგრეთვე წყაროებით, რომლებიც რამდენიმე ადგილას ჩამოუდიოდა ქალაქს. მაგრამ წყაროებში წყალი ცოტა იყო. ბევრი მათგანი ზაფხულობით მთლიანად შრებოდა. ვინაიდან თბილისს არ ჰქონდა წყალსადენი და წყაროების უმრავლესობა ზაფხულობით შრებოდა, ამიტომ მოსახლეობა წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა.

1861 წელს თბილისში პირველი პრიმიტიული წყალსადენი გამართა კერძო მეწარმემ ყორღანოვმა, რომელიც მტკვრიდან აწოდებდა წყალს ცენტრალურ ნაწილს — რუსთაველის პროსპექტს და მის მომიჯნავე ქუჩებს და ალექსანდრეს ბაღს. წყალსადენის სამანქანო შენობა მოთავსებული იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ვერის ხიდის ქვემოთ, საიდანაც წყალი ადიოდა რეზერვუარში, რომელსაც ხისაგან გაკეთებული ორი განყოფილება ჰქონდა. წყალი რეზერვუარიდან თვითდინებით მიდიოდა მომხმარებლამდე ლითონისა და თიხის მილებით. მთელი ეს ნაგებობა ძალზე პრიმიტიული იყო და წყალს, რომელსაც ის ქალაქს აწვდიდა, სანიტარულად უხარისხო იყო. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქალაქის გამგეობამ დაიწყო საძიებო სამუშაოების წარმოება ისეთი წყალსადენის ასაგებად, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქალაქის უზრუნველყოფა ხარისხოვანი წყლით. კვლევა-ძიების შედეგად ქალაქის გამგეობა შეჩერდა ავჭალის წყალსადენზე. 1885 წლის მარტში დაიწყო საამშენებლო სამუშაოები, რაც ორნახევარ წელიწადს გაგრძელდა. ავჭალის წყალსადენი ცოტა უფრო დიდი იყო, ვიდრე ყორღანოვის წყალსადენი. მშენებლობა დამთავრდა 1887 წელს და მოქმედება დაიწყო ამავე წლის სექტემბერში. ავჭალის წყალსადენი წყალს აწვდიდა ქალაქის მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც ბურჟუაზია და არისტოკრატია ცხოვრობდა. ავჭალის წყალსადენი მცირე დებიტიანი აღმოჩნდა და მას დიდი რაოდენობით უმატებდნენ მტკვრის წყალს. წყალსადენის მიერ მოდენილი წყლის ერთი მეხუთედი ნაწილი წყაროს წყალი იყო, ხოლო ოთხი მეხუთედი ნაწილი—გაწმენდილი მტკვრის წყალი.

ავჭალის წყალსადენის აგების ოთხი წლის შემდეგ წყლის ის რაოდენობა, რომელსაც ქალაქის მოსახლეობა ღებულობდა, არასაკმარისი აღმოჩნდა მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის ინიციატივით თბილისისათვის დაიწყო უფრო საიმედო წყაროების ძებნა. ჩერდებოდნენ ხან ჟინვალის, ხან ბულაჩაურის, ხან წალკის, ხან ნატახტარისა და საგურამოს წყაროებზე. მაგრამ ქალაქის მეთაურთა მუშაობისა და აზრის შეზღუდულობამ და ქალაქის ხაზინის სიღარიბემ შეუძლებელი გახადა წყაროების შესწავლა და მძლავრი წყალსადენის აგება. წალკის წყალსადენის პროექტი, რომელიც 1904 წელს შეადგინეს განუხორციელებელი დარჩა. წალკის წყალსადენი იმყოფებოდა თბილისიდან 105 კილომეტრის მანძილზე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც შეეძლო თბილისისათვის მიეცა საკმაო რაოდენობის წყალი, ხოლო მის ასაშენებლად საჭირო იყო არა ნაკლებ 30 მილიონი მანეთი ჩერვონცული გაანგარიშებით[3]. აღნიშნული თანხა ქალაქის თვითმმართველობას არ ჰქონდა, რის გამოც შეუძლებელი გახდა წალკის და სხვა წყალსადენის მშენებლობა, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ავჭალის წყალსადენის გაფართოებით.

წყლის მინიმალური ნორმა ერთ სულზე საშუალოდ დღეში ითვლებოდა 55 ლიტრა (ოთხნახევარი ვედრო). 1910—1914 წ. წ. თბილისში ერთ სულზე აღნიშნული წყლის მინიმალურ ნორმაზე ნაკლები მოდიოდა და იგი ყოველ წელს კლებულობდა. ასე, მაგალითად:

| | |
|---|---|
| 1910 წელს | —3,13 ვედრო[4] |
| 1911 „ | —3,05 „ |
| 1912 „ | —3,11 „ |
| 1913 „ | —2,79 „ |
| 1914 „ | —2,76 „ |

საშუალოდ ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთ სულ მცხოვრებზე მოდიოდა 2,96 ვედრო წყალი, ე. ი. თითქმის ორჯერ ნაკლები მინიმალურ ნორმასთან შედარებით.

1912 წელს თბილისში ავჭალის წყალსადენიდან მოდენილი წყლის რაოდენობა ვედროებში შეადგენდა 345. 670. 727, ხოლო 1913 წელს — 331.807. 624, ე. ი. 9,59%-ით ნაკლებს, ვიდრე 1912 წ. წყლის მოდენის შემცირება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ რიგი წლების განმავლობაში არ წარმოებდა წყლის მილების გაწმენდა და მათი რემონტი.

მე-19 საუკუნემდე ქალაქს ხელოვნური გარეგანათება არ ჰქონდა. მზის ჩასვლისთანავე თბილისის ქუჩებში წყვდიადი მეფობდა. ქალაქში ღამით სიარულისას ხელმოკლე მოსახლეობა გზის გასანათებლად ძველებურ კვარს ხმარობდა, ხოლო შეძლებული ფენა კი — ხელის ფანრებს, მე-19 საუკუნის დასაწყისში მთავარ მოედნებსა და ცენტრალური ქუჩების გზაჯვარედინებზე, განსაკუთრებით კი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა, ქალაქის წარჩინებულთა სახლებზე და სახელმწიფო დაწესებულებების შენობებზე ჩნდება კედლებზე და ბოძებზე ჩამოკიდებული მინებჩასმული ლითონის ფანრები, რომლებიც ქონის სანთლებით ნათდებოდა. ასეთი ფანრები თბილისში 1843 წელს 230 ცალი იყო, ხოლო 1847 წელს — 242. 1861 წლიდან ქალაქში თანდათან ვრცელდება ნავთის ფანრები. ფანრების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მაგრამ თბილისისათვის საკმარისი არ იყო ქალაქის სივრცისა და მოსახლეობის ზრდის გამო. ქალაქის განათება ჩაბარებული ჰქონდა მოიჯარადრეებს, რომლებიც მოგების მიზნით მომჭირნეობას იჩენდნენ განათების ხარისხის ხარჯზე, ხოლო განაპირა უბნებს სრულებითაც არ ანათებდნენ.

ელექტროგანათება თბილისში დაიწყო 1897 წლიდან. რამდენიმე კერძო დიზელიანი სადგური ელექტოენერგიას აწვდიდა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს და შეძლებული კლასების საცხოვრებელ ბინებს. სამრეწველო მიზნებისა და მშრომელების საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის მისი გამოყენება უმნიშვნელო იყო. რევოლუციამდე თბილისში სახლების 65%-ს ელე-

---

[3] ЦГАОР, фонд 634, дело 2900, лл. 2-9.

[4] თბილისის სტატისტიკური ატლასი, 1922 წ. გვ. 37.

3. „მ ა ც ნ ე“, ეკონომიკა და სამართალი, 1992, 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტროგანათება არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ელექტროგანათების გამოყენებიდან ორნახევარი ათეული წელი გავიდა.

საქართველოში პირველი ელექტროსადგური აგებულ იქნა 1896 წელს ვ. ჩიკოლევისა და კ. კლასონის მიერ კურორტ ბორჯომის ახლოს, რომლის სიმძლავრე 250 კილოვატი იყო.

თბილისის სტატისტიკური ატლასის მიხედვით, საბჭოური წყობის დამყარებამდე თბილისში სულ 37 ელექტროსადგური იყო. სადგურების უმრავლესობა (33) აგებული იყო ომამდე. ომის დაწყებიდან 1917 წლამდე აუგიათ მხოლოდ ერთი სადგური, ხოლო 1917 წლიდან — 3 სადგური. აგებული სადგურებიდან 1921 წლამდე არ მუშაობდა 2 სადგური, ე. ი. 5,4%.

ყველაზე „მსხვილ" ელსადგურს თბილსში წარმოადგენდა თბილისის ტრამვაის თბოელექტროსადგური, რომელიც ქვანახშირზე მუშაობდა და რომლის საერთო სიმძლავრე 2.900 ცხენის ძალას (2140 კილოვატს) შეადგენდა. თბოელექტროსადგურებში მეტად მაღალი იყო სათბობის ხარჯვის ხვედრითი წონა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ თბოსადგურებში გამომუშავებული ერთ კილოვატსაათ ენერგიაზე საშუალოდ 2-2 ნახევარი კგ. სათბობი იხარჯებოდა.

თბილისში ელექტროენერგიის გამომუშავება პრიმიტიულად წარმოებდა და არ იყო საკმარისი ქალაქის მეურნეობის განვითარებისათვის.

ისე, როგორც ბინების, წყლით მომარაგების, ასევე ტრამვაის საკითხს ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელების პირობებისა და წარმოების პროცესისათვის. თბილისში სხვებთან ერთად კომუნალური მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი — ტრამვაიც ჩამორჩენილი იყო. ვინაიდან თბილისის ტერიტორია პატარა იყო და მოსახლეობა მცირერიცხოვანი, ამიტომ ტრანსპორტის საკითხი მწვავედ არ იდგა. მე-19 საუკუნემდე თბილისს მომსახურებას უწევდა, ცხენისა და ვირის გარდა, სხვა ტრანსპორტი: ურემი, ქარავანი, აქლემი, ტივები და სხვ. ამ დროის თბილისში ხიდები არ იყო, ამიტომ მდ. მტკვარზე გადასვლა ბორნის საშუალებით წარმოებდა. ხიდების აგებასთან დაკავშირებით ბორნები თანდათან ქრებოდნენ და ახალ-ახალ ადგილებზე გადაჰქონდათ. ქალაქის ნელი ტემპით განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა გადაყვანის საშუალება — ტრანსპორტიც. უძველესი დროის ტრანსპორტის — ურმის შემდეგ ჩნდება გადაუხურავი ერთცხენიანი „დროჟკა". ეს ეკიპაჟი იტევდა მხოლოდ ორ მგზავრს, შემდეგ იგი გაუმჯობესებულ იქნა ცუდი ამინდისაგან თავის დაცვის მიზნით. მას ბრეზენტით ან ტყაყვით გადახურავდნენ.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებიდან ქალაქის ტრანსპორტში საპატიო ადგილს იჭერს ორცხენიანი ეტლი, რომელსაც ქალაქიდან შორს წასვლის შემთხვევაში უმატებდნენ კიდევ ორ ცხენს და ამრიგად ეტლში შებმული იყო ოთხი ცხენი. ამ სახის ეტლს ოთხი საჯდომი ადგილი ჰქონდა: ორ-ორი ერთმანეთის პირდაპირ. ზოგიერთ შემთხვევაში მეხუთე მგზავრი მეეტლის გვერდით ჯდებოდა. ასეთი ეტლი თბილსის საქალაქო მეურნეობის ამ დარგის სოციალისტურ რეკონსტრუქციამდე არსებობდა. თბილისის გარეუბნებში მიმოსვლა წარმოებდა სპეციალური ტრანსპორტით, ეგრეთ წოდებული „დილიჟანით" და „ომნიბუსებით". რაც უფრო იზრდებოდა ქალაქის ტერიტორია და ვითარდებოდა მისი მეურნეობა, წინათ არსებული ადამიანთა მიმოსვლის საშუალებანი თანდათან იცვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1883 წლის მარტში თბილისში პირველად ამუშავდა ცხენის რკინიგზა, ეგრეთ წოდებული კონკა, რკინიგზის სადგურის მოედნიდან დღევანდელ ჩუღურეთის მოედნამდე. ეს მანძილი მხოლოდ 2.419 მეტრს შეადგენდა. შემდეგში კონკის ტრამვაის ხაზი გაგრძელებულ იქნა პუშკინის ქუჩაზე ახლანდელი თავისუფლების მოედნამდე და იქიდან რუსთაველის პროსპექტით ვერეს დაღმართამდე და ა. შ. კონკის ვაგონები წარმოადგენდა გადახურულ ბაქანს ვაგონის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ეზიდებოდა წყვილი ცხენი. კონკამ თბილისში 27 წელიწადს იარსება — 1883 წლიდან 1910 წლამდე.

1904 წლის ნოემბერში თბილისელებმა პირველად ნახეს ტრამვაის ვაგონი, რომელიც ელექტროდენით მოძრაობდა და რომელმაც შემდგომში თანდათან შესცვალა ცხენის ტრამვაი, დრომოჭმული კონკა. ავჭალის ხაზზე (საბჭოს ქუჩაზე) ელექტრო ტრამვაიმ კონკა მხოლოდ 1919 წელს შესცვალა.

1900 წელს, 14 მარტს თბილისმა დადო ხელშეკრულება ბელგიის ანონიმურ საზოგადოებასთან ტრამვაის მოწყობის შესახებ, რაც განხორციელებული იქნა. თბილისმა 1904 და 1912 წლებში სულ შეიძინა 134 მოტორიანი და მისაბმელი ვაგონი. აქციონერულ საზოგადოება „გელიოსი"-საგან შეძენილი იქნა 70 მოტორიანი ვაგონი, მათ შორის 60—1904 წელს, ხოლო 10 ვაგონი—1910 წელს. დანარჩენი 64 ვაგონი ფირმა „სიმენს-შუკეტისაგან" — 1910 და 1912 წლების განმავლობაში[5]. ბელგიის ანონიმური საზოგადოების ტრამვაის ვაგონებს ჰქონდა ხის კალათა და ტკეჩიანი ორღერძიანი ურიკა (საზიდი) მაგარი საყრდენი — 1,8 მეტრი მოცულობის. ვაგონები იყო ვიწრო ღია ტიპის, გარდიგარდმო დასაჯდომებით, რომელსაც ჰქონდა მოსაბრუნებელი საზურგეები. მოტორიანი ვაგონი სულ იტევდა 42 მგზავრს, მათ რიცხვში: დასაჯდომი იყო 28, ხოლო დასადგომი — 14. მისაბმელ ვაგონში სულ იყო 44 ადგილი, მათ შორის 28 დასაჯდომი, და 16 დასადგომი. ანონიმურმა საზოგადოებამ ტრამვაისათვის ელექტროენერგიის მისაღებად 1904 წელს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც ახლა მდებარეობს ქალაქის თბოელექტროსადგური (ტეც), მოაწყო სპეციალური თბოელექტროსადგური, აგრეთვე დიდუბის პარკი და სარემონტო სახელოსნოები. 1904 წლის ბოლოს ახლანდელ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მოეწყო ტრამვაის რეგულარული მოძრაობა. 1905 წელს ტრამვაი გაყვანილ იქნა ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე და თავისუფლების მოედანზე.

თბილისის ტრამვაი უცხოეთის კაპიტალისტების ანონიმურ საზოგადოებას ეკუთვნოდა. მათი მთავარი მიზანი, როგორც ყველა ჯურის კაპიტალისტური საზოგადოებისა, იყო არა საქალაქო მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის ხელის შეწყობა, მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესება, არამედ მუშების და ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაციით კაპიტალისტური მოგების მიღება, გამდიდრება. ამიტომ იყო, რომ მეწარმენი არავითარ ზომებს არ იღებდნენ გაცვეთილი სატრანსპორტო საშუალებების განახლებისათვის, ტრამვაის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, საჰაერო ქსელის შეკეთებისათვის ჯარიმების სისტემა, რაც ანონიმურმა საზოგადოებამ შემოიღო, ძლიერ ამცირებდა ისედაც მცირე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს.

ბელგიის ანონიმურმა საზოგადოებამ 8 წლის (1905-1912 წ. წ.) განმავლობაში სულ მიიღო 2.299.938 მანეთის მოგება[6].

5 თბილისის არქივი, ფონდი 5, საქმე 294, გვ. 6.

6 თბილისის სტატისტიკური ატლასი, 1922, წ., გვ. 30;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაის ხაზები, შეიძლება ითქვას, ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში იყო, რელსების უმეტესი ნაწილი გაცვეთილი და დაზიანებული, რის გამოც ვაგონებიც ხშირად გამოდიოდნენ მწყობრიდან.

ტრამვაის გზების მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვდა მთლიან გადაკეთებას და ძველი გაცვეთილი რელსების შეცვლას და თითქმის ყველა ვაგონი საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს. თბილისისათვის არ იყო საკმარისი ტრამვაის ხაზის სიგრძე. 1910 წელს იყო 41,03 ხოლო 1911 წელს — 45 ვერსტი, რაც არ შეცვლილა საბჭოური წყობის დამყარებამდე.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ტრამვაის მეურნეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

1900 წლის 14 მარტს, ბელგიის ანონიმურ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებით, ქალაქს უფლება ჰქონდა მხოლოდ 15 წლის გასვლის შემდეგ შეესყიდა ტრამვაის მთელი მეურნეობა, რაც შესრულებული იქნა. 1915 წლის ბოლოს, თბილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ტრამვაი გამოსყიდვის წესით გადავიდა ქალაქის სათათბიროს ხელში, ხელშეკრულების ვადის მოახლოვებისა და ანონიმური საზოგადოების მიერ რიგი საკონცესიო მუხლების დარღვევის გამო.

ქალაქის სათათბიროს მიერ ტრამვაის გამოსყიდვის შემდეგ ტრამვაის მეურნეობის მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა, რადგან ქალაქის სათათბირო და თვითმმართველობა არანაკლებ ზრუნავდნენ თავის ინტერესებზე და გამდიდრებაზე, ვიდრე კაპიტალისტები.

ანონიმური საზოგადოების მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, იყო ქალაქის ტრანსპორტის მუშებისაგან მოგების მიღება და არა მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 13 საათი იყო. მუშების საბინაო პირობები მძიმე იყო, არ ქონდათ სამედიცინო დახმარება, არ იყო ამბულატორია და არ ჰყავდათ ექიმი. უბედური შემთხვევების დროს მუშებს უფასოდ ჰქონდათ მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარება, ხოლო შემდგომი მკურნალობა წარმოებდა მათ ანგარიშზე. აღნიშნული მდგომარეობის გამო ხშირი იყო გაფიცვები. ტრამვაის მუშებს რევოლუციური ბრძოლის საამაყო ტრადიციები აქვთ. ისინი არაერთხელ გამოსულან ტრამვაის მაშინდელი მეპატრონეების უცხოელი კაპიტალისტების წინააღმდეგ, არაერთხელ გაუმარჯვნიათ ამ ბრძოლაში და ღირსეულად დაუცავთ თავიანთი უფლებები.

თბილისის სიამაყეს ყოველთვის წარმოადგენდა გოგირდის ცხელი სამკურნალო წყაროები. გოგირდის აბანოებს შესანიშნავად აგვიწერს ა. პუშკინი, რომელიც თბილისს ეწვია 1829 წელს. „გავჩერდი ტრაქტირში[7], მეორე დღეს გავეშურე თბილისის სახელოვან აბანოებისაკენ... აბანოს შესასვლელთან იჯდა აბანოს პატრონი მოხუცი სპარსელი... მან აბანოში შემიყვანა: ცხელი გოგირდის წყალი ჩქეფდა კლდეში გამოკვეთილ ღრმა აბაზანაში. ჩემს დღეში არ მინახავს არც რუსეთში, არც ოსმალეთში თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი“[8].

---

7 ტრაქტირი — სასტუმრო იყო ერევნის მოედანზე (ეხლანდელი თავისუფლების მოედანი).

8 А. С. Пушкин, Собрание сочинений т. V, М. с. 445-446.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1845 წელს თბილისში იყო 8 გოგირდის აბანო, რომელთაც ჰქონდათ 52 აბაზანა. თბილისში იყო აგრეთვე უბრალო წყლის აბანო, რომელშიაც წყალი გაყვანილი იყო მტკვრიდან. გოგირდის აბანოებიდან ერთი სახაზინო იყო, ერთი საეკლესიო. აბანო ყოველ დღე ღია იყო[9]. ზოგიერთი აბანო კომფორტებელურადაც იყო მოწყობილი. ეს იყო განსაკუთრებული ნომრები — მარმარილოს აბაზანებით. წინა ოთახში ხალიჩებით, მუთაქებით, სარკით და სხვა სამკაულით მორთული. ასეთი ნომერი ღირდა ერთი მანეთი, ხოლო ცხელაბაზნებიანი — 60 კაპ.[10]

10-იანი წლების მიწურულს თბილსში კომუნალური მომსახურება კიდევ უფრო გაუარესდა, რომლის დასადასტურებლად შეიძლება მრავალი ფაქტის დასახელება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: განსაკუთრებული დაქვეითება განიცადა თბილისის ტრამვაის მეურნეობამ, სულ რამდენიმე, ისიც უმეტესად თითო ვაგონიანი ვიწრო ლიანდაგის ტრამვაის მატარებელი დადიოდა ქალაქში, მაგრამ ვაგონები იმდენად მოშლილი იყო, რომ იშვიათად თუ გააკეთებდნენ დღეში 3-4 რეისზე მეტს. ტრამვაის მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა თანდათან კლებულობდა. 1918 წელს ტრამვაიმ მომსახურება გაუწია 35.329.714 კაცს, ხოლო 1920 წელს — 27.266.331 კაცს, ე. ი. 22,9%-ით ნაკლებს, ვიდრე 1918 წელს.

1920 წელს მოტორიანი ვაგონების გარბენის რაოდენობა შემცირდა 1918 წელთან შედარებით 74,47%-ით, ხოლო 1919 წელთან შედარებით — 69,72%-ით.

1920 წელს მისაბმელი ვაგონების გარბენის რაოდენობა 1918 წელთან შედარებით 4,33%-ით შემცირდა, ხოლო 1919 წ. შედარებით 10,44%-ით. მთლიანად მოტორიანი და მისაბმელი ვაგონების გარბენის რაოდენობა 1918 წელს ვაგონ-ვერსებში შეადგენდა 2.668.834, ხოლო 1920 წელს—1.166.006, ე. ი. 1920 წელს შედარებით 1918 წელთან შემცირდა 56,32%-ით.

ავჭალის წყალსადენს ნორმალური მუშაობის პერიოდში არ შეეძლო ქალაქისათვის მიეწოდებია 1.500.000 ვედროზე მეტი წყალი[11].

1918 წელს ქალაქ თბილისმა ავჭალის წყალსადენიდან მიიღო 455.885.000 ვედრო წყალი, ხოლო 1920 წელს — 425. 244. 005 ვედრო. თუ 1.500 ათასი ვედრო წყალს მივიღებთ გეგმიურ ნორმად საშუალოდ, რაც უნდა მოეწოდებია ავჭალის წყალსადენს თბილისისათვის ნორმალურ პერიოდში, მაშინ 1918 წელს ყოველდღიური მოწოდება წყლის არის 1.266.347 ვედრო, ხოლო 1920 წელს — 1.181.233 ვედრო, ე. ი. წყლის მიწოდება 1920 წელს 1918 წელთან შედარებით შემცირდა 6,73%-ით. 1913 წ. ერთ სულზე წყლის ნორმა მოდიოდა 2,79 ვედრო, 1920 წელს — 2,58 ვედრო, ე. ი. თბილისის მოსახლეობა იკმაყოფილებდა წყლის საჭიროების მხოლოდ 55-65%. წლების მიხედვით მოსახლეობის წყლით დაკმაყოფილება შემდეგ სურათს იძლევა: 1913 წელს — 62%, 1916 წელს — 78,8% და 1920 წელს — 57,5%.

თუ მიუნხენის ინჟინერ მეტცის მიერ მიღებულ 12 ვედროს მივიღებთ ნორმად სულზე, მაშინ თბილისის მცხოვრებნი იკმაყოფილებდნენ მხოლოდ წყლის მოთხოვნილების 20-30 პროცენტს.

---

[9] Кавказский Календарь на 1947 г. с. 166.

[10] ვ. ჩანტლაძე, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1949 წ, გვ; 257.

[11] ЦГАОР, фонд 634, дело 2900, л.л. 2-9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი მუდამ განიცდიდა წყლის ნაკლებობას. ავჭალის წყალსადენი მას ვერ აკმაყოფილებდა.

თანდათან მცირდებოდა ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება სათბობის ნაკლებობისა და მათი დახურვის გამო. 1918 წელს 24 ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 10.418.296 კილოვატსაათი. 1919 წელს— 25 ელექტროსადგურმა — 10.398.818 კილოვატსაათი, ხოლო 1920 წელს — 26 ელექტროსადგურმა — 8.731.942 კილოვატსაათი. ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 1920 წელს შემცირდა 1918 წელთან შედარებით 16,1%-ით.

ქალაქის აბანოებიდან 1920 წელს მუშაობდა მხოლოდ 6. სხვა სანიტარული საწარმოები ამ პერიოდის თბილისში არ არსებობდა.

**А. Э. ЧАНТЛАДЗЕ**

## ГОРОДСКОЕ ХОЗЯЙСТВО ТБИЛИСИ (1910—1920 гг.)

Резюме

В конце XIX и начале XX вв. самоуправление Тбилиси ничего не предпринимало для развития городского хозяйства и улучшения культурно-бытовых условий населения. Оно заботилось лишь о благоустройстве богатого района.

Население Тбилиси постоянно испытывало недостаток в качественной питьевой воде. В 1861 г. частный предприниматель Корганов соорудил первый примитивный водопровод. Водой снабжались 33 улицы города.

Источник Авчальского водопровода, строительство которого завершилось в 1887 г., оказался малодебитным.

В марте 1883 г. в Тбилиси вступила в эксплуатацию первая конная железная дорога, так называемая конка. По годам степень удовлетворения населения в воде составляла в 1913 — 62%, 1916 — 78,6% и в 1920 — 57,5%.

Количество выработанной электроэнергии в 1920 г. по сравнению с 1918 г. уменьшилось на 16,1%.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკის ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი სამადაშვილი

# მეწარმეობისა და მენეჯმენტის სწორად გაგებისათვის

იმ სტერეოტიპებს შორის, რომელიც საბჭოურმა იდეოლოგიამ შეიმუშავა და ადამიანთა შეგნებაში მყარად დანერგა, არის აზრი იმის შესახებაც, რომ თუ ადამიანი თავისი, თავისი ოჯახის, ან ახლობლების კეთილდღეობისათვის იბრძვის მისი საქციელი ეგოისტურია, დასაგმობია და ამიტომ იგი უნდა ვაიძულოთ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების კეთილდღეობისათვის იზრუნოს.

იძულებითობის მექანიზმი კი ითვალისწინებდა არა მარტო სამართლებრივ აქტებს, მაგალითად, კერძო საკუთრება და მეწარმეობა სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად იყო მიჩნეული, არამედ მორალურ ზეგავლენასაც: „მეწარმეობა“, „საქმოსნობა“ და „კომერსანტობა“ საზოგადოებაში სალანძღავ სიტყვებად ითვლებოდა და მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარებოდა.

საბჭოური სოციალიზმის პირობებში ინიციატივიანი, თაოსანი მეურნეებისადმი ასეთმა უსამართლო, არაზნეობრივმა მიდგომამ გერგილიანი, თავისუფალი მეწარმოების სულისკვეთების ადამიანები სახელმწიფოებრივი სტრუქტურების „ჩრდილში“ მოაქცია და არალეგალურად აამოქმედა. ყოველივე ამან ქართველი მეწარმის ნიჭი და ენერგია მიმართა არა იქითკენ თუ როგორ გაეუმჯობესებინა საქმიანობა და მიეღო გაზრდილი მოგება, არამედ როგორმე აერიდებინა თავი ბიუროკრატიული ბარიერებისა და ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისათვის.

დღეს კი, როდესაც საქართველოს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე გადასვლა ხდება, ბოლო უნდა მოეღოს ყოველივე ზემოთქმულს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს, და ცხადია, მეწარმეობამაც თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიჭიროს როგორც ადამიანთა ცნობიერებაში, ისე ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ მეწარმეების, ანუ იმ სამეურნეო სუბიექტების დაცვით და ხელშეწყობით, რომლებიც დამოუკიდებლივ უძღვებიან მეურნეობას და ესწრაფვიან შემოსავლების მაქსიმიზაციას, ჩვენ ვიცავთ ცალკეულ ადამიანებს და მთლიანად საზოგადოებასაც. კი მაგრამ ეს როგორ გავიგოთ? ასეთნაირად, მეწარმეობა საზოგადოებისათვის ჰქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს, მაღალ ანაზღაურებას და ახალ სამუშაო ადგილებს, გადასახადებით ავსებს ბიუჯეტის შემოსავლებს, ამაღლებს შრომით და საქმიან მორალს, კანონისადმი პატივისცემას და ა. შ. ერთი სიტყვით, დღეს აუცილებელი მეწარმეობის, ბიზნესის დაცვა, რათა მან, თავის მხრივ, დაიცვას ადამიანი, და თუ გნებავთ, მთლიანად საზოგადოება.

ვიდრე მეწარმეობის, ბიზნესის ზღვაში გადავეშვებოდეთ, მოდით, გავარკვიოთ თუ რა არის მეწარმეული საქმიანობა და ვინ შეიძლება იყოს მეწარმე. მაშ ასე, რა არის **მეწარმული საქმიანობა? ეს არის საქმიანობა (პროდუქციის წარმოება, სამუშაოების შესრულება, მომსახურების გაწევა) მიმართული მო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გების მიღებისაკენ.** ვინლაა მეწარმე? იგი მოგების მიმღები ახალი იდეების შემმუშავებელია, ერთგვარი აკუმულიატორი და გენერატორია. უფრო ვრცლად კი — **მეწარმე არის სამეურნეო სუბიექტი, რომელიც ბაზარზე ორიენტირებულ, კანონიერ, ინიციატივიან, რისკთან დაკავშირებულ, დამოუკიდებელ საქმიანობას ეწევა მოგების (შემოსავლების) მიღების მიზნით.** ეს მოგება მის მიერ გამოიყენება პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და წარმოების განახლება-გაფართოებისათვის.

ასეთ სამეურნეო სუბიექტს (მეწარმეს) შეიძლება წარმოადგენდეს როგორიც ერთი მოქალაქე (ოჯახი), ისე მოქალაქეთა ასოციაცია.

ცალკეულ შემთხვევაში მეწარმეობის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფო შესაბამისი ორგანოებით. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, როგორც ასეთი, რომელიც ადგენს ბიზნესის (თამაშის) ორგანიზაციის წესებს და აკონტროლებს მათ დაცვას და შესრულებას მეწარმეობის სუბიექტად ვერ გამოდგება.

ამთავითვე ვიტყვით, რომ მეწარმეობა, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკმაოდ ფართო სპექტრს; ეკონომიკურს, იურიდიულს, ფსიქოლოგიურს და ისტორიულს. თუმცაღა, მეწარმეობას ფესვები მაინც ეკონომიკაში აქვს გადგმული. მეწარმეობა, თავისი ეკონომიკური ბუნებით, ჩვენი აზრით, ორი მხარის: ზოგადსაკაცობრიო ნიშნებისა და ეროვნული თავისებურებების დიალექტიკურ მთელს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ მეწარმეობის შინაგან ბუნებას, მოდით დეტალურად განვიხილოთ ზემოთ მოხმობილ განსაზღვრებაში ასახული მეწარმის თითოეული თვისება და მისი ეროვნული თავისებურებანი.

არც თუ იშვიათად გაიგონებთ, რომ ბაზრის პირობებში მეწარმე თავისუფალია, თავისი საკუთრების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი და გამგებელია. აქ **თავისუფლება უნდა გავიგოთ როგორც შეცნობილი აუცილებლობა და არა როგორც აბსოლუტური თავისუფლება.** დიახ! მეწარმის თავისუფლება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან უნდა იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი ნების კარნახით, ყოველგვარი გარეშე ობიექტური (საბაზრო) პირობების და არსებული კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად. მეწარმის თავისუფლება იმას გულისხმობს, რომ მას შეცნობილი აქვს აუცილებლობა: ა) ის, თუ რა უნდა საზოგადოებას, რასაც იგი ბაზრის მეშვეობით შეიტყობს და ბ) ის, თუ რომელი საქმიანობა არ არის კანონით აკრძალული. აი, ამ პირობების შეცნობისა და ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში მეწარმე თავისუფლდება მათი უარყოფითი ზეგავლენისაგან, ხოლო თუ იგი მათ არ გაითვალისწინებს ელვისებურად და შეუბრალებლად ისჯება: ბაზრის მხრივ, იმის გამო, რომ მან იმოქმედა მოთხოვნის გაუთვალისწინებლად, მისი საქონელი ვერ საღდება და თვითონ კი კოტრდება; სახელმწიფოს მხრივ, იმის გამო რომ მან ხელი მიჰყო კანონით აკრძალულ საქმიანობას (ვთქვათ, ნარკობიზნესს), ისჯება ადმინისტრაციული, ან ეკონომიკური სანქციების წესით.

ამგვარად, **მეწარმის თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერს, ვისაც კი გააჩნია გარკვეული კაპიტალი, უნარი და სურვილი, უფლება აქვს ბაზრის კონიუნქტურის, კანონიერებისა და პირადი სარგებლიანობის გათვალისწინებით (და არა ზევიდან ბრძანებით) დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თუ საქმია-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნობის რომელ სახეს მიჰყოს ხელი, თუ რა, როგორ და რამდენი აწარმოოს, ვისგან შეიძინოს რესურსები, ვის, როდის, რამდენი და რა ფასით მიჰყიდოს.**

**საბაზრო ეკონომიკაში მეწარმეთა თავისუფლებას თან უნდა სდევდეს მომხმარებელთა თავისუფლებაც. თითოეულ მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს საკუთარი სახსრებით შეიძინოს ის, რაც მას აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია. შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს პროდუქტების და მომსახურების მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ სახეებზე.**

სამეწარმეო საქმიანობის და მოხმარების თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელს და მომხმარებელს გააჩნია სუვერენიტეტი. ეს სიტყვა ძალიან მოდური გახდა ბოლო პერიოდში. მაგრამ ყველამ როდი იცის მისი ნამდვილი არსი. ისე როგორც პოლიტიკური სუვერენიტეტის საფუძველია მოქალაქეთა სუვერენიტეტი, ადამიანთა უფლებები, ასევე ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძველია მწარმოებლის და მომხმარებლის სუვერენიტეტი. ასეთია სუვერენიტეტის ნამდვილი არსი, თუ გვსურს გავერკვეთ მის ჭეშმარიტ ბუნებაში და არ გვინდა დემაგოგიით გავირთოთ თავი.

**მეწარმეს უნდა ჰქონდეს ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების, ღირსშესანიშნავი იდეების ჩაწვდომის, კომერციული გამჭრიახობის და ბაზრის კონიუნქტურაში ორიენტაციის უნარი.** ცნობილია ისიც რომ მეწარმის მამოძრავებელი მოტივია მაღალი მოგების მიღება. მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში კი ფუჭია იმაზე ოცნება, რომ წარმოებაში არაფერი შეცვალო და ისე მიიღო მოგება, თუნდაც ფასების გაუთავებელი ზრდით. არა, განვითარებულ საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში ასე არ ხდება. ბაზარზე მყარად იმკვიდრებს ადგილს და დიდ წარმატებებს აღწევს ის მეწარმე, რომლის პროდუქციაც მაღალხარისხიანია, ახალია და წარმოებულია შედარებით დაბალი ინდივიდუალური დანახარჯებით. ერთი სიტყვით ახალი, მოდური პროდუქციის წარმოება, მართვაში, შრომის ორგანიზაციაში, ტექნოლოგიაში, აღრიცხვაში ახლებური მეთოდების დანერგვა, გასაღების ახალ ბაზრებზე გასვლა და დამკვიდრება, ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების მოძიება, მოკლედ, რესურსების ახლებური კომბინაციების მუდმივი ძიება მეწარმის ის არსებითი თვისებაა, რომელიც მას სხვა ჩვეულებრივი მეურნეობისაგან განასხვავებს.

**მეწარმის, ბიზნესმენის განსაკუთრებული თვისებაა მოგებისათვის რისკზე წასვლის უნარი.** ბიზნესი (მეწარმეობა) თავისი ბუნებით აზარტულ თამაშს წააგავს, სადაც ერთნაირად შესაძლებელია მოგებაც და წაგებაც. ამიტომ ბიზნესში წარმატებას აღწევს ის მეწარმე, ვინც გულმოდგინედ ირჩევს საქმეს და ისე აკეთებს მის ორგანიზაციას, რომ რისკის ხარისხი არ აღემატებოდეს გონივრულობის ზღვარს. რისკის მთავარი ფაქტორი თვით მეწარმე და ის ადამიანებია, რომლებიც ამ მეწარმის ხელქვეითები არიან. საჭიროა ვიცოდეთ, მეტწილად სწორედ ადამიანების ცოდნა და გამოცდილება იცავს ბიზნესს მარცხისაგან. მეწარმეობაში რისკი მცირდება ან სრულიად გამოირიცხება იმისდა მიხედვით თუ საქმის წარმოების როგორი სისტემა იქნება შექმნილი.

და ბოლოს, გავარკვიოთ კიდევ ერთი დებულება. რამდენადაც ჩვენ ვამბობთ, რომ მეწარმე ეს არის ადამიანი, რომელიც ეწევა საქმიანობას მოგების მიღებისათვის, ამდენად **მეწარმე ყოველთვის დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საჭიროა ამის ხაზგასმა? იმისათვის, რომ ყოველმა, და განსაკუთრებით, დამწყებმა მეწარმემ შეისისხლხორცოს: დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელი არავის არ ექვემდებარება. ამჟამად ცნებები „ზემდგომი ორგანო“, „საწარმოების დაქვემდებარება“ საერთოდ ამოვარდნილია საკანონმდებლო ბრუნვიდან.

აღსანიშნავია, რომ თვით საწარმოს ქონების მესაკუთრეს უფლება არ აქვს ჩაერიოს საწარმოს საქმიანობაში მმართველებთან (მეწარმეებთან, მენეჯერებთან) ხელშეკრულების დადების შემდეგ (ხელშეკრულებით, საწარმოს წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა).

ჩვენ კი რატომღაც გვგონია, რომ რამდენადაც ვიღაცას ეკუთვნის საკუთრება, ამდენად მესაკუთრე მბრძანებლის როლში გამოდის. ეს იყო ოდესღაც, წინათ, მბრძანებლურ-გამანაწილებელი ეკონომიკის პირობებში. საბაზრო მეურნეობის დროს კი დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელს არავინ მბრძანებლობს, მას მართავს მხოლოდ ბაზარი და კანონი.

**მეწარმის დამოუკიდებლობასთან განუყრელ კავშირშია პირადი ეკონომიკური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი, მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფვა.** ეს იმიტომ, რომ ბიზნესმენის კეთილდღეობა და სამეურნეო წარმატებები უშუალო კავშირშია მიღებული მოგების სიდიდესთან. საკუთარი საქმის წამოწყება და გაფართოებაც ხომ სწორედ მოგების მიღების მიზნით ხდება. დიახ, ეს ასეა, მაგრამ პირადი ინტერესებისაკენ სწრაფვა არ უნდა ავურიოთ ეგოიზმში. საბაზრო მეურნეობის დიალექტიკა ისეთია, რომ სამეურნეო სუბიექტი ისწრაფვის რა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, ამავ დროს უხილავი ხელით ახდენს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც (სხვათა შორის, ასეთ კავშირებზე ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ ა. სმიტმა). მართლაც, ჯ. ფორდს ავტომობილების წარმოებისათვის საქველმოქმედო მოტივებით როდი მოუკიდია ხელი, მაგრამ, ესწრაფვოდა რა პირად სარგებელს, მან შექმნა საავტომობილო იმპერია, რომლის პროდუქციამაც აავსო მთელი მსოფლიო და დიდად გარდაქმნა მთელი საავტომობილო მეურნეობა.

ჩვენ დღემდე გვაოცებს ის, რომ დასავლეთში უამრავი გარიგებები ტელეფონით, ყოველგვარი მოწმეების გარეშე იდება. ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი ყოველწლიურად იყიდება სიტყვიერი კონტრაქტების საფუძველზე. ეს მართლაც ასეა. რამეთუ იქ ბიზნესმენები ხელმძღვანელობენ როგორც დაწერილი, ისე დაუწერელი კანონებით (თამაშის წესებით). მათ მშვენივრად იციან, რომ თამაშის წესების დარღვევას მოსდევს თამაშიდან გაძევება. იქ კლიენტებთან და პარტნიორებთან სახელის გატეხა ძალიან ძვირი ჯდება. მაგალითად, საბაზრო ქვეყნებში მეწარმის მიერ სხვა ფირმის სასაქონლო ნიშნის მითვისება, გადასახადისაგან თავის არიდება, ან შემოსავლების გადამალვა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დიდ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ცოდვა-დანაშაულად და ისჯება როგორც ბიზნესის სამყაროში პრესტიჟის დაკარგვით, ისე სისხლის სამართლის წესით. დიახ! ბიზნესმენის ბედი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფიქრობენ მასზე პარტნიორები (კლიენტები). თუ ის მათს ნდობას დაკარგავს — ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ყველაფერს უნდა დაემშვიდობოს; **დაუზარებელი, ერთგული და საიმედო პირიანი კაცის სახელი მეწარმისათვის ყველაზე საუკეთესო სავიზიტო ბარათია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწარმის სიტყვა გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე ნებისმიერი ხელისმოწერა, ბეჭედი, თუ თამასუქი.

**მეწარმეს უნდა შეეძლოს განსაზღვროს არა მარტო ის თუ რა არის მის საქმიანობაში კონფიდენციალური (საიდუმლო), არამედ ისიც, რომ არ გაახმაუროს იგი და იზრუნოს მის დაცვაზე.**

ფირმის საიდუმლო შეიძლება იყოს სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, ნოუ-ჰაუ და ა. შ. არც თუ იშვიათად საწარმოს საიდუმლოება რომელიმე ნივთიერების ქიმიური ფორმულაცაა. მაგალითად, ცნობილი ქართველი მეწარმის მიტროფანე ლაღიძის სურნელოვანი წყლებით, მისი დაყენების მაღალი ტექნოლოგიით თავის დროზე მრავალი ქვეყანა დაინტერესდა. მას არაერთხელ მიუღია მიწვევა ირანიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან, რათა იქ გაეხსნა თავისი ფირმა. ამისთვის უცხოელი საქმიანი წრეები მეტად ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდნენ ბ. მიტროფანეს: კაპიტალურ დაბანდებას თვითონ კისრულობდნენ და შემოსავლის ნახევარს მას აძლევდნენ. მაგრამ არც ერთი ქვეყნის წინადადება მას არ მიუღია, ნამდვილი ქართველი მეწარმე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა წყლების დაყენების საკუთარ ტექნოლოგიას და მხოლოდ თავის სამშობლოს დიდებისათვის იღვწოდა.

ჩამოთვლილი საიდუმლოებების საიმედო დაცვა გარეშეებისაგან (საგადასახადო და საფინანსო სამსახურების გარდა), არის კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

**ზნეობრივი (ეთიკური) ბიზნესის უმნიშვნელოვანესი თვისებაა ქველმოქმედება, გულმოწყალება.** ისე კი უნდა ითქვას, რომ ქველმოქმედება დავალებით არ შეიძლება, იგი ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს. მოკლედ, ქველმოქმედება დამოკიდებულია მეწარმის არა მარტო ჯიბის სისქეზე, არამედ სულიერ სიმდიდრეზეც.

შესაძლებელია, რომ მეწარმეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება, ვთქვათ, ორგანიზატორული, რისკზე წასვლის უნარი არ გააჩნდეს. ამიტომ „გუნდის“ დაკომპლექტებისას მან ისეთი მუშაკები უნდა შეარჩიოს, რომელთაც ეს თვისებები ექნებათ.

დიახ, **ბიზნესში წარმატებები დამოკიდებულია არა მარტო მეწარმის პირად თვისებებზე, არამედ იმ ადამიანურ რესურსებზეც, რომელსაც იგი იყენებს.** ამიტომაცაა, რომ აშშ-ი გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება დაკარგო შენი ბიზნესი, კაპიტალი, მაგრამ თუ შეინარჩუნებ საკადრო პოტენციალს, მაშინ შეძლებ სწრაფად აღადგინო საქმე, დაცემის შემდეგ ფეხზე წამოდგე. სრული კრახია, როცა დაეცემი და წამოდგომის თავი აღარ გაქვს.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეთანაწყობილი, „შეთამაშებული“ გუნდის შექმნა მეწარმის წინაშე მდგარი ყველაზე რთული ამოცანაა. სწორედ ამის გამო, საკუთარი საქმის ორგანიზაციისას თანამშრომლები უნდა შეარჩიოთ კომპეტენციისა და შესაძლებლობების მიხედვით, რათა კარგად მოერგონ თქვენი ბიზნესის სისტემას, სარგებლობა მოგიტანონ, ხელი შეუწყონ კლიენტების პრობლემების გადაწყვეტას და არა მხოლოდ მეგობრული, ნათესაური, მერკანტული, ან პოლიტიკური მოსაზრებით შეარჩიოთ ისინი. პირადი ერთგულება და საიმედოობა კარგია, მაგრამ წარმატების გარანტი არ არის. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რამეთუ ჩვენში, არც თუ იშვიათად, მეგობრებს, ქრთამს, ნათესავებს საქმისა და კანონის წინ აყენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უნდა გვახსოვდეს, რომ კლიენტი (მყიდველი, დაქირავებული მუშაკი) თქვენი მოწინააღმდეგე კი არ არის, არამედ თქვენი პარტნიორია.** ამიტომ თუ კლიენტი გაგექცევათ აღმოჩნდებით სავალალო მდგომარეობაში, შეგიმცირდებათ შემოსავლები.

რამეთუ სამეწარმეო საქმიანობა ბაზრისაგანაა წარმოებული, ამდენად იგი უშუალოდაა დამოკიდებული საბაზრო ურთიერთობების ხასიათზე, განვითარებულობაზე და მასშტაბებზე. მაგალითად, იაპონიაში მეწარმული აქტივობის ამაღლებისათვის არ გამოიყენება რაიმე სერიოზული ღონისძიებანი. მეწარმეობის ასეთი მოდელის არსებობა შესაძლებელია ეროვნული ერთფეროვნების და მაღალი თვითშეგნების პირობებში. იაპონიაში ერის ინტერესები პრიორიტეტულ მდგომარეობაშია კონკრეტული მეწარმის ინტერესებთან. იქ მეწარმენი მზად არიან გარკვეული „ხარკი“, მატერიალური მსხვერპლიც კი გაიღონ ოღონდ ქვეყანა იყოს კარგად.

საბაზრო ეკონომიკის ამერიკული მოდელი ორიენტირებულია მეწარმეობის გააქტიურების ყოველმხრივ წახალისებაზე, ხალხის ფართო ფენების პირად წარმატებებზე, მათი აქტიური ფენის გამდიდრებაზე. იქ „სოციალური თანასწორობის“ ამოცანა საერთოდ არ დგას.

აქ დასავლეთ ევროპის და სხვა ქვეყნების მოდელებზე აღარ შევჩერდებით რადგან ისინი ამერიკული და იაპონური მოდელებისაგან არიან წარმოებულნი. აი, რა თავისებურებანი ახასიათებს ამერიკულ და იაპონურ ბიზნესს[1].

რამდენადაც ქართველი საქმიანი ადამიანები რეალურად მხოლოდ ახლა იწყებენ მეწარმეობას, იმყოფებიან, ასე ვთქვათ, ბიზნესის ზღურბლთან, ამდენად მათთვის ერთნაირად საინტერესო უნდა იყოს, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის გამოცდილება.

ამერიკული და იაპონური ბიზნესის ფსიქოლოგიის შედარებითი ანალიზი

| კრიტერიუმი | იაპონია | აშშ |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ბიზნესმენის დამახასიათებელი ნიშნები | შეუძლია მუშაობა „ბრძანებების“ პირობებში | წინდახედულია |
| დაწინაურებისადმი მოთხოვნები | ცხოვრებისეული გამოცდილება და კონკრეტული საწარმოს კარგი ცოდნა | მაღალი კვალიფიკაცია, სწავლების და თანამშრომლობის უნარი |
| პროფესიული კომპეტენტურობის კრიტერიუმი | სულიერი განვითარების მაღალი დონე. სპეციალობისა და ფართოპროფილიანი ცოდნის ერთიანობა | ვიწრო სპეციალიზაციიდან რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის დაუფლებისაკენ სწრაფვის ტენდენცია |
| სიახლის დანერგვის ხასიათი | ევოლუციური გზით, თანდათანობითი სრულყოფით და გაუმჯობესებით | რევოლუციური გზით, მომზადებული ინფორმაციული ბაზით |
| საქმიანი ურთიერთობის ფორმა | პირადი კონტაქტები ურთიერთნდობის საფუძველზე | კონტრაქტები |
| გადაწყვეტილების მიღების პროცესი | ქვემოდან ზემოთ, ნელა, შეთანხმებულად, აწონ-დაწონით | ზემოდან ქვემოთ, სწრაფად, იერარქიული სტრუქტურების მიხედვით |

[1] Предприниматель. 1992, № 1-2, с. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| შრომითი საქმიანობის რიტმი ხასიათი და ორგანიზაცია | აუჩქარებლობა, საგულდაგულობა, გეგმაზომიერება, თანმიმდევრულობა. მუშაობენ ერთ დიდ შენობაში | მუშაობენ სწრაფად, აღმაფრენით, შთაგონებით. მუშაობენ, ინდივიდუალურ შენობებში |
| საქმიანი ურთიერთობის ხასიათი | ურთიერთდამოკიდებული, პირადი და არაფორმალური კარგი კავშირები, მჭიდრო ურთიერთკავშირი | დამოუკიდებელი, ფორმალური |
| ცხოვრების სტილი | საქმისადმი თავდადება. უპირატესად ხელოვნებით და ლიტერატურით გატაცება | საქმისადმი თავდადება. უპირატესად სპორტით გატაცება. სახელისა და ოჯახის მაღალი სტატუსი. |
| საქმიანი კონფლიქტების გადაწყვეტა | პირადი ურთიერთობა და ურთიერთვალდებულება. წამყვანი ცნება „მოვალეობა". მიზანი: ურთიერთ შეთანხმების გამომუშავება | სამართლებრივი განხილვა. მიზანი: საკუთარი პოზიციების დაცვა |

მაინც რაში მდგომარეობს ის ქართული ბუნება (ზნე-ჩვეულებები, ხასიათი, ტემპერამენტი), რომელიც საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას უშლის ხელს? ეს თვისებებია:

1. ქართველთა ჩამორჩენილი ეკონომიკური აზროვნება. ჩვენი ეკონომიკური ცნობიერება საშუალო საუკუნეების წყობილებას უფრო შეესაბამება ვიდრე თანამედროვე საბაზრო მეურნეობას. ძველ დროში გლეხის, თუ მემამულის ქონების, სიმდიდრის დანიშნულება ის იყო, რომ უნდა დახარჯულიყო პატრონის და მისი ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა კომერციული, წარმოების გაფართოების მიზნით.

ეს მაშინ, როცა მეწარმე სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება დიდი მოგება მიიღოს და მისი უმეტესი ნაწილი კომერციული მიზნით გამოიყენოს, ასე ვთქვათ, გამდიდრდეს. ყველაფერი ეს ქართველისათვის უჩვეულო და გასაკვირია. ამიტომაცაა, რომ იგი მდიდარ კაცზე ხშირად ასე ამბობს: „რად უნდა, — იმდენი აქვს, რომ თავის დღეში ვერ მოერევაო". ქართველი თავს ჩინებულად გრძნობს იქამდე, ვიდრე ქონება სულ მთლად არ გამოლევია და არსებობა კიდევ შეუძლია. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქონება კიდევ „მორეული" არ არის.

ცხადია, ამგვარი შეხედულების ქართველებს საბაზრო ეკონომიკაში ფეხის მოკიდება ძალიან გაგვიჭირდება.

2. თავადაზნაურული ბუნება. საქართველოს ისტორიაში თავადაზნაურობა მხედრობას და სამშობლოს დაცვის საქმეს მისდევდა, რის გამოც სამეურნეო-კომერციულ საქმიანობას საერთოდ მოსწყდა და აითვისა აზრი, რომ სამეურნეო შრომა და ყიდვა-გაყიდვა „შავი საქმეა", მისი ღირსებისა და სახელის შეუფერებელი მოქმედებაა. სხვათა შორის, იგივე შეხედულება ფართოდ გავცელდა მთელი ხალხის შეგნებაშიც. მაგალითად, დღესაც როგორც გლეხი, ისე მუშა-კაცი „დაბალ ღირსებად თვლის ფიზიკურ შრომას და პრაქტიკულ საქმიანობას". მათ „დიდკაცობა" და უშუალო მწარმოებლური შრომისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის არიდება თანაბარ ცნებებად მიაჩნიათ და ერთი მეორის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი შეხედულება ღრმად ზის ქართველი კაცის ბუნებაში. გარკვეულწილად ამის გამოცაა, რომ ქართველი მბრძანებელი მმართველის ფუნქციებს უკეთ ერგება, ვიდრე რიგითი მუყაითი მშრომელისას.

3. წინააღმდეგობებთან ბრძოლაში სუსტი ინდივიდუალობა. ქართველი კაცი იქით მიისწრაფვის, სადაც ნაკლები დაბრკოლება ექნება, ადვილი გასაკეთებელია, დიდ ენერგიას და ხასიათის სიმტკიცეს არ მოითხოვს. მაგალითად, დამოუკიდებელი საქმის გაძღოლას, კომერციულ საქმიანობას მეტი ენერგია, რისკი, ინიციატივა ესაჭიროება, ვიდრე სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში გარანტირებულ ხელფასის მინიმუმზე მუშაობას. პირველ შემთხვევაში აუცილებელია დიდი მხნეობა და ენერგიის ხარჯვა, მაგრამ შესაძლებელია დიდი ქონების დაგროვებაც; მეორე შემთხვევაში კი საკმარისია პასიური მუშაობა, მაგრამ შესაძლებელია მარტოოდენ დღიური ლუკმა-პურის გამომუშავება. ქართველი სწორედ მეორე საქმეს არჩევს, რადგან აქ ნაკლები თავსატეხია[2].

თუ აქ ჩამოთვლილი თვისებების მიხედვით დავაკვირდებით ჩვენს სამეურნეო ყოფას და აზროვნებას, დავინახავთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სწორედ ამ თვისებებს ესაჭიროება მკურნალობა.

ჩვენს ეკონომიკურ ცნობიერებაში ფართოდ იმკვიდრებს ადგილს ინგლისური სიტყვა მენეჯმენტი, ანუ მართვა. ეს უკანასკნელი **(მენეჯმენტი) სხვა არაფერია, თუ არა წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ეფექტიანი ორგანიზაცია მოგების მიღების მიზნით. ხოლო ის, ვინც წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ეფექტიან ორგანიზაციას ახდენს არის მენეჯერი, ანუ მმართველი.**

არსებობს წარმოების მაღალი, საშუალო და დაბალი დონის მმართველი (მენეჯერი):

**მაღალი დონის მენეჯერი** — ფირმის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი;

**საშუალო დონის მენეჯერი** — სხვადასხვა განყოფილების (მომარაგების, გასაღების და ა. შ. გამგეები, საამქროს უფროსები.

**დაბალი დონის მენეჯერი** — ოსტატი, ბრიგადირი.

მმართველობით კადრებში გარდა მენეჯერებისა გამოჰყოფენ სპეციალისტებს და დამხმარე პერსონალს. **სპეციალისტები** (ეკონომისტები, იურისტები, ინჟინრები და ა. შ.) ამზადებენ გადაწყვეტილებას და მონაწილეობენ მათს რეალიზაციაში. **დამხმარე პერსონალი** კი დაკავებულია მმართველებისა და სპეციალისტების (დოკუმენტური, ინფორმაციული და ა. შ.) მომსახურებით.

მენეჯერის, მმართველის შრომის პროდუქტია გადაწყვეტილება. მმართველური გადაწყვეტილება, ისევე როგორც ნებისმიერი შრომის პროდუქტი, იზომება მასზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. მართვაში კომპეტენტურად ითვლება ის, ვისაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისათვის, ესაჭიროება ინფორმაციის მინიმუმი, ანუ დროის მინიმუმი.

**საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ „მეწარმე“ და „მენეჯერი“**, როგორც ითქვა, მეწარმე ნოვატორული იდეების თაოსანია, მენეჯერი კი ამ იდეების რეალიზატორი, სამეურნეო ცხოვრებაში გამტარებელი. თვალსაჩინო-

2 ფ. გოგიჩაიშვილი, ჩვენ და ცხოვრება, „საქმე“, 1991, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებისათვის — მუსიკის შემქმნელი კომპოზიტორი არის მეწარმე, ხოლო ამ მუსიკის შემსრულებელი ორკესტრის დირიჟორი მენეჯერია. ადვილად შესაძლებელია, რომ „მესაკუთრე", „მეწარმე" და „მენეჯერი" ერთ პიროვნებაში იყოს განხორციელებული, ვთქვათ, ინდივიდუალურ (ოჯახურ) საწარმოში, მცირე საწარმოში. ასეთ შემთხვევაში მეწარმე გვევლინება კაპიტალ-მესაკუთრედ და კაპიტალ-ფუნქციად. ისე კი, თანამედროვე პირობებში ეს ფუნქციები, როგორც წესი, გამიჯნულია მეწარმეებსა და მენეჯერებს შორის.

მეწარმეებს მენეჯერებისაგან განასხვავებს მოგებაში და მართვაში მონაწილეობა. აქედან თუნდაც ერთ-ერთის არ არსებობა მენეჯერს მეწარმედ ვერ გადააქცევს. მაგალითად, მენეჯერი ეწევა რა მმართველურ ფუნქციებს ღებულობს შრომის ანაზღაურებას, მაგრამ მოგების განაწილებაში არ მონა-

| სამეურნეო ხელმძღვანელი | მენეჯერი |
|---|---|
| 1. ჩვეულებისამებრ მოქმედებს „ზემოთ" მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის და ამიტომ შინაგანად არ არის თავისუფალი, უინიციატივოა, ეშინია რისკის | 1. დამოუკიდებლივ ღებულობს გადაწყვეტილებებს, შინაგანად თავისუფალია, მიდის რისკზე, ითვალისწინებს მოსალოდნელ ხარჯებს. |
| 2. სამეურნეო ხელმძღვანელების უმრავლესობა მინისტრების ჩათვლით, როგორც წესი, გამოდის ინჟინრების, ტექნოლოგების, ზოგჯერ დისპეტჩერების, მომმარაგებლების, გამსაღებლების და ა. შ. რიგში. | 2. მაღალი რანგის ხელმძღვანელი, უწინარეს ყოვლისა, ზრუნავს მოქმედ კანონმდებლობაში (თამაშის წესებში) ცვლილებების შეტანაზე, როცა წარმოებაში ახლის დანერგვას აფერხებს მოძველებული დებულებები. |
| 3. სამეურნეო ხელმძღვანელი ყოველთვის ორიენტირებული იყო ნებისმიერი გზით გეგმის შესრულებაზე. არ მიმართავდა დამოუკიდებლივ გადაწყვეტილებებს და მოქმედებას. | 3. მენეჯერი ყველაზე მეტად ზრუნავს თანამოაზრეთა, „შეთამაშებული" გუნდის შექმნაზე, ანუ ისეთი პირობების ფორმირებაზე, როცა შრომით კოლექტივში ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა ოპტიმიზებულია ჯგუფურ თვითორგანიზაციასთან. |
| 4. გააჩნია ირაციონალური, ფსევდორელიგიური ტიპის ცნობიერება (ზემდგომის კულტი, სიტემისადმი ერთგულება და ა. შ.). | 4. რაციონალური და კრიტიკული. |
| 5. გააჩნია გაორებული აზროვნება და ფსევდოლოგიკა, გაურბის აკრძალვებს და შეზღუდვებს. | 5. ლოგიკურია და არ აქვს გაორებული აზროვნება. |
| 6. არადემოკრატიულია, არ ესწრაფვის დიალოგს და დისკუსიას, არაა ორიენტირებული ქვეშევრდომის პიროვნებაზე. | 6. ახდენს დიალოგის, დისკუსიის და პლურალიზმის მუდმივ კულტივირებას, ორიენტირებულია პიროვნებაზე. |
| 7. ცუდადაა განსწავლული, მოუქნელია, სუსტადაა ინფორმირებული, კარჩაკეტილია. | 7. ინფორმაციისათვის ღიაა, დინამიურია |
| 8. არ შეუძლია კონკურენციის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში. | 8. ორიენტირებულია სოციალურ და ეკონომიკურ თავისუფლებაზე, კონკურენციაზე. |
| 9.. არაკომპეტენტურია ადამიანებთან ურთიერთობაში, მენეჯმენტში, ფსიქოლოგიაში, სამართალში და ა. შ. შეზღუდული თვალსაწიერისა და ერუდიციისაა. | 9. კომპეტენტურია, ფართო ჰორიზონტისა და ერუდიციისაა. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობს, რის გამოც იგი მეწარმედ ვერ გადაიქცევა. რაც შეეხება მეწარმეს— მისი წმინდა მოგება შესდგება სამი ელემენტისაგან: ა) მეწარმის ხელფასი, რომელიც მას ეძლევა მოგების მიღების მიზნით მომავალი მოთხოვნის სწორი პროგნოზისათვის, ამ მოთხოვნის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის რისკისათვის, რესურსების შესაბამისი კომბინაციისათვის, მოკლედ, ინიციატივიანი, არაორდინალური აზროვნებისათვის; ბ) სამეწარმეო პროცენტი, ანუ შემოსავალი საკუთრებიდან, ქონებრივი შემოსავალი; გ) სამეწარმეო მოგება, ანუ საშუალო მოგება, რომელიც მიიღება გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციიდან. თუ მეწარმე ზემოთხსენებულ ფუნქციებთან ერთად მმართველურ შრომასაც ეწევა, მაშინ უნდა მიიღოს მომსახურის ანაზღაურებაც.

დღეს, როცა საქართველო გადადის საბაზრო ეკონომიკაზე, მკვეთრად იზრდება მოთხოვნები პრინციპულად ახალი ტიპის პროფესიონალ ხელმძღვანელზე, მენეჯერზე — მმართველზე. მაგრამ რაც არ უნდა უცნაურად არ გამოიყურებოდეს ეს პროფესიებისა და სპეციალობების დიდ ნუსხაში ჯერჯერობით ვერ შეხვდებით მმართველს — მენეჯერს. ეს მაშინ, როცა ავტომანქანის მართვა აკრძალულია სათანადო უფლების გარეშე, ხოლო კოლექტივის მართველს ასეთი უფლება რატომღაც არ მოეთხოვება. მაგრამ, საკითხავია, ვინ დაასაბუთა, რომ კოლექტივის მართვა უფრო იოლია, ვიდრე ავტომანქანისა?

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა დაუყოვნებლივ დაკანონდეს მართვის სპეციალისტი და დაერქვას მას, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოში, „მენეჯერი“.

ახლა კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ამერიკელ მენეჯერებსა და ყოფილ საბჭოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს შორის განმასხვავებელ ნიშნებზე[3]:

ამგვარად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში მთავარი როლი ენიჭება ცივილიზებულ, ზნეობრივ (წესებზე აღზრდილ), წესიერი მეწარმეთა კლასის ფორმირებას.

**У. И. САМАДАШВИЛИ**

## О ПРАВИЛЬНОМ ПОНИМАНИИ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА И МЕНЕДЖМЕНТА

Резюме

В статье для понимания феномена предпринимательства рассмотрены его основные признаки. К ним относятся: самостоятельность и независимость хозяйствующих субъектов; новаторский характер предпринимательтва; хозяйственный риск; национальные особенности предпринимательства.

Рассмотрена также сущность и различие менеджмента и предпринимательства.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიკროეკონომიკის განყოფილებამ

[3] Бизнес и менеджер. М., 1992, с. 27-28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С. П. ПАВЛИАШВИЛИ

# МАТЕРИАЛОЕМКОСТЬ ПРОМЫШЛЕННОГО ПРОИЗВОДСТВА ГРУЗИИ В УСЛОВИЯХ ЕГО ИНТЕНСИФИКАЦИИ

Одним из главных направлений развития современных производительных сил является снижение общественных затрат на предметы труда. Необходимость в этом обуславливается удорожанием сырья и особенно быстрым повышением цен на энергию. Ускорение в послевоенные годы научно-технического прогресса привело к существенным переменам во всех отраслях экономики, в материально-техническом базисе общественного производства, технике, технологии и организации производства, в общественных затратах на предметы труда. Все это открывает новые возможнотси для повышения эффективности общественного производства.

Проблема экономии предметов труда тесно связана с переводом народного хозяйства на преимущественно интенсивный путь развития. Экономия материальных ресурсов является потенциальным дополнительным источником увеличения выпуска продукции. Снижение удельных затрат и норм расхода предметов труда высвобождает материальные ресурсы при выпуске заданного объема продукции или делает возможным дополнительный прирост продукции, полученной из сэкономленных ресурсов. Поскольку в основе снижения норм расхода предметов труда всегда лежит качественное совершенствование элементов производственного процесса, их рациональное использование, то с точки зрения развития производительных сил экономию можно рассматривать как реализацию действия интенсивных факторов экономического роста, таких как научно-техническая революция, совершенствование организации производства и труда, нормирование, стимулирование и др. Такой механизм повышения эффективности общественного производства обладает большими преимуществами для дальнейшего развития производительных сил общества, поскольку он не имеет внешних границ для расширения производства, связанных с ограниченностью трудовых и природных ресурсов, дает возможность направить все возрастающую экономию природных, материальных и трудовых ресурсов на пользу всего общества.

Большие масштабы общественных затрат на предметы труда повышают значение производящих их отраслей. Все большее влияние на производство промежуточной продукции оказывает научно-технический прогресс. Повышается технический уровень производства, применяются более прогрессивные формы организации труда, коренным образом изменяются многие виды изделий и структура их выпуска, заметно улучшается качество. Такое направление развития позволяет быстрее совершенствовать эту сферу общественной деятельности, снижать ее издержки производства, существенно увеличивать масштабы экономии на предметы труда и превращать эту экономию в важный фактор повышения эффективности общественного производства.

Соотношение между стоимостью материальных затрат и конечной продукцией, то есть материалоемкость производства, является важной

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

воспроизводственной пропорцией. Изменение материалоемкости конечной продукции — сложный и чрезвычайно многообразный процесс, происходящий под воздействием разнонаправленных факторов, влияющих на различные составные части издержек. Это и изменения в структуре конечного продукта, материальных затрат, и различные сдвиги в производительной силе труда в отраслях, производящих и перерабатывающих предметы труда, и возросшая экономическая роль качественного роста, и расширение и углубление специализации общественного производства, и воздействия циклического хода развития экономики.

Материалоемкость общественного производства можно исследовать как по товарной, так и по конечной продукции. Показатель материалоемкости характеризует эффективность производства и использования предметов труда. Нами анализируется материалоемкость по товарной продукции за период 1970—1990 гг.

При определении материалоемкости продукции учитываются только текущие материальные затраты. Последние, исходя из различия функционирования в производственном процессе, подразделяются на две группы: первая — сырье, основные материалы и комплектующие изделия, которые образуют вещественную субстанцию создаваемых потребительных стоимостей; вторая — вспомогательные материалы, топливо, энергия. Эта группа материальных затрат обеспечивает непосредственное функционирование производственных фондов и технологический процесс.

Динамика материалоемкости в значительной степени определяется спецификой развития каждой отрасли.

Таблица 1

Динамика материалоемкости промышленного производства в целом и важнейших отраслей промышленности[1] (в %)

| Отрасли | 1970—1975 | 1975—1980 | 1980—1985 | 1985—1990 | 1970—1980 | 1980—1990 |
|---|---|---|---|---|---|---|
| Вся промышленность | 103,5 | 100,5 | 97,5 | 98,2 | 104,0 | 95,8 |
| в том числе: | | | | | | |
| электроэнергетика | 111,6 | 71,0 | 123,7 | 107,0 | 79,2 | 132,4 |
| черная металлургия | 131,1 | 89,7 | 100,0 | 83,6 | 117,6 | 83,6 |
| химическая и нефтехимическая | 85,1 | 117,4 | 80,3 | 118,5 | 99,9 | 95,2 |
| машиностроение и металлообработка | 89,0 | 109,6 | 101,5 | 95,2 | 97,5 | 96,7 |
| лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная | 86,9 | 114,3 | 83,1 | 109,7 | 99,3 | 91,2 |
| промышленность стройматериалов | 110,2 | 97,5 | 95,7 | 101,6 | 107,4 | 97,2 |
| легкая | 119,8 | 91,9 | 95,0 | 94,6 | 110,1 | 89,8 |
| пищевая | 102,3 | 100,7 | 93,0 | 102,9 | 103,0 | 95,7 |

В эволюции изменений материалоемкости промышленного производства можно выделить два периода — 70-е и 80-е годы. В 70-х годах материалоемкость промышленного производства в целом и в частности росла, в то время как в 80-е годы она снижается во всех отраслях промышленности, за исключением электроэнергетики. В первый

[1] Рассчитано по данным ЦСУ Республики Грузия.

ეროვნული ბიბლიოთეკა

период промышленное производство развивалось преимущественно за счет традиционных для Грузии материалоемких отраслей, что и определило тенденцию к росту материалоемкости промышленного производства. Второй период охватывает 80-е годы. В первое пятилетие этого периода промышленность Грузии начала осуществлять переход на интенсивный путь развития. В этот период в больших масштабах развивались новые маломатериалоемкие отрасли, в том числе наукоемкие отрасли машиностроения, химической промышленности и замедлился рост ряда традиционных материалоемких производств (легкая и пищевая). В результате материалоемкость промышленного производства начала снижаться. Второе пятилетие характеризуется снижением темпов роста промышленности. В эти годы развитие ее проходило под влиянием нарастания кризисных явлений, что закончилось вступлением промышленности Грузии в 1990 г. в глубокий и затяжной кризис. В этот период материалоемкость целого ряда отраслей промышленности выросла против периода 1980—1985 гг. К таким отраслям относятся химическая и нефтехимическая, лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная, промышленность стройматериалов, пищевая. В целом за 80-е годы материалоемкость промышленного производства снизилась и произошло это в основном за счет снижения ее в первом пятилетии.

Динамика материальных затрат испытывает на себе влияние большого количества сложных и разнонаправленных факторов и на каждом этапе развития экономики содержание между частями, образующими стоимость продукции, зависит от того, какие факторы оказывают преобладающее влияние на ее формирование — сдерживающие или ускоряющие.

Существенное влияние на динамику материалоемкости оказывает изменение доли затрат на предметы труда в различных ее отраслях, которые нередко имели прямо противоположные тенденции. В целом по промышленности удельный вес материальных затрат в 1990 г. снизился по сравнению с предшествующими годами. Снижение доли материальных затрат в общих затратах на производство имело место во всех отраслях промышленности.

Таблица 2

Удельный вес затрат на предметы труда в общей стоимости затрат на производство[2] (в%)

| Отрасли | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| Вся промышленность | 80,3 | 81,8 | 82,0 | 81,3 | 78,0 |
| в том числе: | | | | | |
| электроэнергетика | 52,8 | 53,3 | 43,6 | 51,7 | 45,1 |
| черная металлургия | 70,0 | 88,9 | 76,3 | 72,0 | 54,4 |
| химическая и нефтехимическая | 72,9 | 71,1 | 69,5 | 71,2 | 68,2 |
| машиностроение и металлообработка | 65,5 | 69,1 | 65,7 | 63,2 | 59,3 |
| лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная | 61,5 | 61,7 | 75,4 | 68,7 | 6 ,0 |
| промышленность стройматериалов | 58,0 | 60,3 | 56,8 | 60,1 | 51,5 |
| легкая | 84,3 | 87,7 | 90,9 | 88,2 | 82,5 |
| пищевая | 92,5 | 92,8 | 96,0 | 92,4 | 91,2 |

2 Рассчитано по данным ЦСУ Республики Грузия.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Существуют большие различия в уровне материалоемкости отдельных отраслей промышленности и диапазон колебаний удельной материалоемкости как по отраслям, так и по темпам их изменения за различные периоды достаточно большой, что отражается на изменении доли предметов труда в общих затратах на производство.

Таблица 3

Динамика уровня материалоемкости различных отраслей промышленности[3] (в %, к среднепромышленному)

| Отрасли | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| Вся промышленность | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| в том числе: | | | | | |
| электроэнергетика | 57,7 | 62,0 | 43,8 | 55,5 | 60,5 |
| черная металлургия | 94,5 | 119,6 | 106,7 | 109,4 | 93,2 |
| химическая и нефтехимическая | 85,1 | 70,0 | 81,7 | 67,3 | 81,2 |
| машиностроение и металлообработка | 74,7 | 64,2 | 70,0 | 72,9 | 70,7 |
| лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная | 78,0 | 65,4 | 74,3 | 63,4 | 70,8 |
| промышленность стройматериалов | 61,5 | 65,4 | 63,4 | 62,2 | 64,4 |
| легкая | 92,6 | 107,1 | 98,0 | 95,4 | 91,9 |
| пищевая | 116,6 | 115,2 | 115,4 | 110,1 | 115,4 |

Наиболее низкой материалоемкостью отличается электроэнергетика, где она колебалась в пределах 44—60% от среднепромышленной. На втором месте по уровню материалоемкости стоит промышленность стройматериалов — 62—65% среднепромышленного уровня в эти годы. Третье и четвертое место делят машиностроение и металлообработка, лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная — 64—75% и 63—78% соответственно. Выше среднепромышленного уровня материалоемкость пищевой промышленности и составляет 110—117%, близка к среднему по промышленности уровню — в черной металлургии и легкой промышленности. Таким образом, отраслевые различия по уровню материалоемкости довольно значительные, что определяет существенное влияние структурного фактора на общую материалоемкость промышленной продукции. Этот фактор оказывает отрицательное влияние на уровень среднепромышленной материалоемкости. За счет отраслевых структурных сдвигов материалоемкость промышленной продукции повышалась, по нашим ориентировочным подсчетам, в отдельные периоды до 20% против уровня 1970 г. Противодействующим фактором было снижение материалоемкости в отдельных отраслях промышленности, так что в целом по промышленности материалоемкость в 1990 г. осталась практически на уровне 1970 г.

На тенденцию изменения материалоемкости продукции существенное влияние оказывают изменения в структуре текущих материальных затрат, которая неоднородна и имеет отраслевые особенности, обусловленные спецификой производства. Главную субстанцию производимого продукта составляют сырье и основные материалы, на долю которых в промышленности республики приходилось в 1990 г. свыше 87% всех текущих материальных затрат и доля их имеет, хотя и не-

[3] Рассчитано по данным ЦСУ Республики Грузия.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

большую, но тенденцию роста: в 1970 г., например, на эти затраты падало 85,7%, а в 1985 г. — 83,1%. В затратах повышается доля расходов на комплектующие изделия, узлы и части, что связано с расширением кооперации и развитием, хотя и медленным, специализированных производств. Большим удельным весом затрат на сырье и основные материалы характеризуются легкая и пищевая промышленность. В 1990 г. на их долю в легкой промышленности приходилось 97%. Тенденция изменения доли этих затрат была неравнозначной. В течение 1970—1975 гг. удельный вес этой группы материальных затрат несколько повысился — с 94,6% в 1970 г. до 95,5% в 1975 г. В последующий период доля сырья и материалов снизилась и удерживалась на одном уровне в 1980 г. и 1985 г. — в пределах 93,1—93,5%. К 1990 г. удельный вес данных затрат значительно повысился — до 96,9%. Несколько иная тенденция изменения удельного веса затрат на эту группу имела место в пищевой промышленности. Здесь с 1970 г. по 1975 г. их доля оставалась на одном уровне — немногим более 96%. В последующее пятилетие она заметно снизилась и в 1980 г. составила 93,9%, а в 80-е годы проявилась тенденция роста доли затрат этой группы и в 1990 г. она составляла 98%. Достаточно высокой долей этих затрат характеризуются и такие отрасли как: химическая и нефтехимическая, где до 1985 г. действовала тенденция снижения удельного веса затрат на сырье и материалы и в 1985 г. составила 69% против 73% в 1970 г., резко повысившись в последующее пятилетие — до 84% в 1990 г.; лесная, деревообрабатывающая и целлюлозно-бумажная, где доля затрат от этой группы изменялась скачкообразно с тенденцией снижения — с 87% в 1970 г. до 78% в 1990 г.; промышленность стройматериалов, где удельный вес затрат на сырье и материалы сохранялся на одном уровне — около 73% в 1970 г. и 1990 г. Черная металлургия характеризуется относительно небольшим удельным весом данной группы затрат, и в этой отрасли также с 1970 г. по 1985 гг. имело место снижение их доли, которая затем заметно поднялась — с 55% в 1985 г. до 64% в 1990 г. Для данной отрасли характерным является относительно высокая, по сравнению с другими отраслями промышленности, доля затрат на топливо, энергию и вспомогательные материалы, что обусловлено спецификой технологического процесса.

Структура текущих материальных затрат в машиностроении и металлообработке значительно отличается от таковой в других отраслях промышленности и промышленности в целом. Здесь на долю сырья и основных материалов в 1990 г. приходилось всего 38,8% всех текущих материальных затрат. До 1985 г. доля их снижалась — с 46,3% в 1970 г. до 36,5% в 1985 г., повысившись затем до 38,8% в 1990 г. Для данной отрасли характерным является высокий удельный вес комплектующих изделий и рост его на протяжении 1970—1985 гг. — с 42,7% в 1970 г. до 54,0% в 1985 г. со снижением в 1990 г. Сокращение доли покупных комплектующих изделий в 1990 г. произошло в связи с разрывом сложившихся хозяйственных связей, что особенно осложняет работу данной отрасли. Рост специализации и кооперирования производтва под влиянием научно-технического прогресса приводит к увеличению оборота между отраслями промышленности, росту внутри- и межотраслевых поставок. Если сдвиги в потреблении сырья и материалов действовали в основном в сторону сокращения материалоемкости продукции в отрасли, то рост специализации оказывал иное влияние на движение этого показателя — удельные затраты покупных и комплектующих изделий значительно растут. В пер-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



спективе, с ускорением технического прогресса, углублением специализации и кооперирования, доля покупных полуфабрикатов и комплектующих изделий будет увеличиваться и составлять основу материалоемкости. Это ставит проблему восстановления хозяйственных связей для данной отрасли в число первоочередных.

Снижается топливоемкость продукции, что обусловлено изменениями в структуре потребляемого топлива, ростом потребления более дешевого, по сравнению с другими видами топлива, природного газа.

Тенденция энергоемкости промышленного производства аналогична тенденции топливоемкости — определилась тенденция снижения удельного расхода электроэнергии на выпуск продукции, что само по себе является положительным явлением. Однако, принимая во внимание низкие темпы роста электровооруженности труда, низкий уровень механизации и автоматизации производства и труда, это снижение не является оправданным. В перспективе удельное потребление электроэнергии будет расти, поскольку перевод экономики на преимущественно интенсивный путь развития требует резкого повышения уровня механизации и автоматизации, их комплексности. А это ставит перед промышленностью Грузии сложную задачу при росте удельного потребления электроэнергии добиться ее экономии.

Высокая степень интеграции действия многих факторов, взаимно погашающих друг друга, находит отражение в материалоемкости продукции и своим следствием имела незначительные колебания ее в течение исследуемого периода, так что в результате удельная материалоемкость продукции в 1990 г. осталась на уровне 1970 г. Более эффективное использование всех видов сырья и энергии сдерживалось медленным изменением материально-технической базы производства, сложившейся неравномерностью технического оснащения промышленных предприятий, неравномерностью технического оснащения основных и вспомогательных производств, замедлением и без того низких темпов научно-технического прогресса и снижением масштабов внедряемых мероприятий, а в последнее пятилетие началом кризиса, приведшего к хаосу в работе предприятий.

Главным фактором, воздействующим на экономию предметов труда на современном этапе, является ускорение научно-технического прогресса, внедрение достижений НТР в действующее производство, переориентация и перестройка производства на энерго-, материало- и трудосберегающие виды технологий, внедрение ресурсосберегающих, безотходных технологий, что позволит уменьшить потребность народного хозяйства в предметах труда, снизить потери.

Двойственность предметов труда (как вещества природы и как результата прошлого труда) предопределяет двойственный характер воздействия НТП на их экономию: в форме экономии природных ресурсов и в форме экономии овеществленного труда. Оба эти вида экономии взаимосвязаны и взаимно обуславливают друг друга, и поэтому экономия материальных ресурсов должна осуществляться по всему производственному циклу, начиная с максимального извлечения полезных ископаемых из недр, и по всей технологической цепочке, вплоть до выпуска готовых потребительных стоимостей. В условиях перевода экономики на преимущественно интенсивный путь развития, который характеризуется экономией всех видов производственных ресурсов, возрастает значение экономии предметов труда в форме рационального природоиспользования, чем еще решаются и задачи охраны окружающей среды, что в современных условиях является немаловажным.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Важным направлением влияния НТП на экономию предметов труда является рациональное использование извлеченных из недр полезных ископаемых на основе создания новой техники, внедрения безотходных технологий, перехода к новым источникам энергии, позволяющим экономить нефть, газ, уголь, не только как природно-топливные ресурсы, но и как сырье для химической промышленности; комплексная добыча и переработка полезных ископаемых, дающие возможность повысить извлечение полезных веществ и снизить отходы; замена природных ресурсов искусственными материалами, что снимет зависимость развития экономики от природно-сырьевой базы, позволит более рационально использовать природные ресурсы в соответствии с их полезными свойствами, что обеспечит значительную экономию общественного труда. Особое значение в перспективе отводится созданию синтетического топлива и материалов с заранее заданными свойствами. Важное значение придается использованию в перспективе пластмасс вместо конструкционных материалов. В настоящее время в качестве таковых используются черные и цветные металлы, пластмассы, металлокерамика. В потреблении конструкционных материалов особенно высока доля черных металлов (по массе). Ведущей отраслью по потреблению конструкционных материалов является машиностроение и замена их пластмассами здесь в силу эксплуатационных свойств является весьма важным и эффективным направлением снижения материаломкости. Совокупные затраты на производство потребительных стоимостей могут быть снижены путем внедрения таких направлений НТП, как создание системы машин непрерывного действия, повышение единичных мощностей машин и оборудования при одновременном уменьшении их габаритов и энергоемкости, применение автоматических манипуляторов, встроенных систем автоматического управления с использованием микропроцессоров и мини ЭВМ, использование лазерных, радиационных методов обработки материалов с целью улучшения их свойств и т. д.

Разнообразие и многообразие влияния НТП на экономию предметов труда ставит перед промышленностью республики, ее отраслями и каждой производственной единицей выбор наиболее эффективного и рационального направления применительно к своим возможностям и условиям функционирования.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ აბესაძე

# სახალხო მეურნეობის ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის საკითხისათვის

უხსოვარი დროიდან ადამიანი ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი ბატონობა ბუნებაზე. პირველი ნაბიჯი ამ მიზნისაკენ იყო ცხოველების ძალის გამოყენება. მაგრამ, დროთა განმავლობაში ცხოველთა ძალა აღარ აკმაყოფილებდა ადამიანთა მოთხოვნილებებს. მათი ყურადღება მიპყრობილი იქნა არაცოცხალი ბუნებისაკენ. ადამიანმა დაიწყო მექანიკური ენერგიის ბუნებრივი წყაროების გამოყენება. ასეთ წყაროს წარმოადგენდა წყლისა და ქარის ენერგია.

ღრმა წარსულში დაიწყო ადამიანმა აგრეთვე სათბობის დაწვის შედეგად გამოყოფილი სითბოს გამოყენება, ამასთან, არც თუ შორეულ წარსულამდე, სათბობი გამოიყენებოდა მხოლოდ გასათბობად. ორთქლის მანქანის გამოგონებამ, შემდეგ კი თბოძრავების მთელი თაობების შექმნამ, რევოლუცია მოახდინა ტექნიკაში და ადამიანის ენერგოაღჭურვილობაში.

ადამიანის ბუნებზე გაბატონების გზაზე უდიდესი მოვლენა იყო ელექტრული დენის აღმოჩენა. დაიწყო რა განვითარება გასულ საუკუნეში, ელექტროენერგეტიკა დღესაც აგრძელებს თავის ძლევამოსილ მსვლელობას, იკავებს რა, სულ უფრო და უფრო ახალ პოზიციებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

ტექნიკის განვითარების ისტორიის განმავლობაში, ენერგია წარმოადგენდა მისი სრულყოფის, არა მარტო ძირითად ფაქტორს, არამედ წინამორბედს რევოლუციისა ტექნიკაში, ტექნიკის პრინციპულად ახალი სახეობა ჩნდებოდა, მას შემდეგ, როდესაც აღმოჩნდებოდა ენერგიის ახალი სახეობა. ენერგია წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოო პროცესების ამძრავ ძალას, არამედ თვით ტექნიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას. ამას ამტკიცებს ტექნიკის განვითარების მთელი ისტორია.

ენერგეტიკა თანამედროვე გაგებით, როგორც ტექნიკისა და მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო და სახალხო მეურნეობის უმსხვილესი დარგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც დიდ მასშტაბებს მიაღწია ელექტროენერგიის წარმოებამ, რადგანაც საჭირო გახდა უმჭიდროესი კავშირი ენერგეტიკის სხვადასხვა დარგებს და ელემენტებს შორის.

ენერგეტიკა მოიცავს ენერგეტიკული რესურსების ყველა სახეობას მათი მოპოვებიდან ენერგიის საბოლოო მოხმარებამდე. სხვაგვარად ენერგეტიკა ფართო გაგებით არის ბუნებრივი და ხელოვნური სისტემების ერთობლიობა, რომელთა დანიშნულებაა ენერგეტიკული რესურსების მოპოვება, გარდაქმნა, განაწილება და მოხმარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტექნიკური პროგრესი და ცივილიზაციის განვითარება საუკუნეების სიღრმეში უშუალოდაა დამოკიდებული გამოყენებული ენერგორესურსების რაოდენობასთან. ტექნიკის განვითარების დღევანდელი პერიოდი, რომელიც ხასიათდება ენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობის მოხმარებით, თვისობრივად განსხვავდება წინა პერიოდების განვითარებისაგან.

ოდესღაც, ადამიანს, რათა ეარსება, აკმაყოფილებდა თავისი კუნთების ძალა (დაახ. 0.1 ც. ძ.) და ენერგიის ყოველდღიური დანახარჯი 8300-12500 ჯოულის ფარგლებში იცვლებოდა. ამჟამად საშუალოდ ადამიანი, ხარჯავს რა 3 ტონა პირობით საწვავს წელიწადში, ყოველდღიურად მოიხმარს 240.10³ ჯოულ ნერგიას, რაც 20-ჯერ მეტია ვიდრე პირველყოფილი ადამიანის მიერ მოხმარებული ენერგია. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე საუკუნის ბოლოს ეს მაჩვენებელი არა 20-ჯერ, არამედ 100-ჯერ მეტი იყოს.

ასეთი ზრდა ენერგიის მოხმარების შესაძლებლელია აიხსნას შემდეგი მოსაზრებებით:

მომავალში სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვების სულ უფრო გართულების გამო პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად საჭირო ენერგიის რაოდენობა მოსალოდნელია გაიზარდოს.

ანალოგიური მდგომარეობაა სასურსათო პრობლემის გადაჭრის შემთხვევაში. კვების თანამედროვე დონის შესანარჩუნებლად თითოეული ახალი ჰექტარის ათვისება, დარჩენილი ნაკლებნაყოფიერი მიწების მასივებიდან, სულ უფრო მეტი რაოდენობის ენერგიას მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას ათვისებული მიწების მოსავლიანობის ამაღლებისათვის საჭირო ენერგიაზე. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, ენერგოაღჭურვილობის ზრდის საფუძველზე — ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა.

სულ უფრო მძაფრი პრობლემა გახდება მომავალში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მოსახლეობის უზრუნველყოფა მტკნარი წყლით. დღეისათვის დასავლეთში უკვე არის მსხვილი რეგიონები, რომლებიც განიცდიან მტკნარი წყლის ნაკლებობას. ამიტომ დიდი რაოდენობის ენერგია იქნება საჭირო, წყლის ბუნებრივი დინების დროსა და სივრცეში გადასანაწილებლად და ამასთანავე წყლის აუცილებელი თვისებების შესანარჩუნებლად პერსპექტივაში მოსალოდნელია ზღვის წყალის გამტკნარების და მისი მოხმარების ადგილზე მიწოდების ფართოდ განვითარება, რაც შესაბამისად გაზრდის ენერგიის მოხმარების მოცულობას.

ენერგიის მოხმარების მოცულობის ზრდას გამოიწვევს ასევე ბუნების დაცვის პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. მაშასადამე საჭიროა ენერგეტიკის შემდგომი სწრაფი ტემპებით განვითარება. მაგრამ არსებობს პრობლემის მეორე მხარე. ენერგეტიკის მასშტაბების ზრდა იწვევს წარმოების ნარჩენთა გადიდებას, რომელიც აჭუჭყიანებს გარემოს. გარემოზე ენერგეტიკის განვითარება ახდენს სხვა მავნე გავლენასაც. მავნე შედეგებს შეიძლება ჰქონდეს გლობალური ხასიათიც. მაგალითად, ოკეანის ზედაპირიდან აორთქლების შემცირებამ, მისი დაჭუჭყიანების გამო, შესაძლებელია მკვეთრად შეამციროს ნალექის რაოდენობა. მოსახლეობის ზრდის პირობებში, ნალექის 20-30 პროცენტით შემცირებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგიის დიდი რაოდენობით გამოყენება გავლენას ახდენს დედამიწის სითბური ბალანსის სტრუქტურაზე. დედამიწის სითბური წონასწორობის ცვლილება კი კაცობრიობას კატასტროფით ემუქრება. მაგალითად, თუ პლანეტის საშუალო ტემპერტურა 3-4 გრადუსით შემცირდება, გარდაუვალია ახალი გამყინვარების დაწყება. ხოლო თუ პლანეტის საშუალო ტემპერატურა გაიზრდება 4-5 გრადუსით, ამას მოჰყვება მყინვარების გარდაუვალი დნობა, ოკეანის დონის აწევა რამდენიმე ათობით მეტრით და დედამიწის ყველაზე ნაყოფიერი მასივების დატბორვა.

მაშასადამე ენერგიის წარმოება, ტრანსპორტირება და მოხმარება ღებულობს გლობალურ ხასიათს. ამიტომ ენერგეტიკის ეკონომიკური პრობლემები ეკოლოგიური ასპექტითაც უნდა შეისწავლებოდეს. ენერგეტიკაში შეფასების კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური სარგებლობის მიღება, არამედ აუცილებელია გარემო ბუნების დაცვის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების კომპლექსური გათვალისწინება. ე. ი. დღის წესრიგში დგება სახალხო მეურნეობის არა უბრალოდ ენერგოუზრუნველყოფის, არამედ ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანა.

ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანთა ყოველგვარი სასარგებლო საქმიანობის ენერგიით მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, როგორც ენერგიის წარმოების ისე მისი მოხმარების სფეროში მეცნიერების და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე, ეკონომიკის ეფექტიანობის უმკაცრესი განხორციელების პირობებში.

განმარტებიდან ჩანს, რომ მასში ასახულია შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. თვით ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემის დასმა ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მწვავედ დგას, როგორც რესპუბლიკის ენერგიით უზრუნველყოფის, ასევე გარემო ბუნების ნეგატიური ზემოქმედებისაგან დაცვის საკითხი.

2. ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის საკითხი უპირველეს ყოვლისა ეს არის ენერგიის წარმოებისა და მოხმარების საკითხთა ერთობლიობა.

3. ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის ქვეშ იგულისხმება არა ადამიანთა საქმიანობის ენერგიით ნებისმიერი სახით უზრუნველყოფა, არამედ ისეთი რაც ემყარება ენერგიის წარმოებისა და მოხმარების დროს, როგორც ენერგორესურსების, ისე ენერგიის საბოლოო სახეობათა მაქსიმალურ ეკონომიას, რაც, რა თქმა უნდა, მიღწეული უნდა იქნეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე. იგულისხმება როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

4. ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემა უკავშირდება მთელი სახალხომეურნეობის ფუნქციონირების პრობლემას, რადგანაც ზედმეტია საუბარი ენერგიის ეფექტიან მოხმარებაზე, თუ არ მოხდა სახალხო მეურნეობის შესაბამისი რაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა, შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება და სხვ. ე. ი. აქ ჩანს უმჭიდროესი კავშირი მთელ სახალხო მეურნეობასა და ენერგეტიკას შორის.

5. განმარტებაში ჩანს ენერგიის უდიდესი როლი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში.

6. განმარტებაში გამოკვეთილია ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის საბოლოო მიზანი — ეკონომიკის ეფექტიანობის უმაღლესი დონის მიღწევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არა ბუნებისადმი ზიანის მიყენების ხარჯზე, არამედ ბუნების დამცავ ღონისძიებათა უმკაცრესი გატარების პირობებში. ე. ი. გამოკვეთილია ორიენტაცია საბოლოო სოციალური მიზნებისაკენ, ეკოლოგიური პრობლემების პრიორიტეტულ გადაჭრასთან ერთად.

მაშასადამე ენერგეტიკული წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლის დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეკოლოგიური მოთხოვნები ანუ შევისწავლოთ ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა.

ამა თუ იმ სახის მეწარმეობის განხორციელებისას ყოველთვის ადგილი აქვს გარემო ბუნებაზე გარკვეულ მავნე გავლენას. ამ მავნე გავლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დამატებითი დანახარჯების გაწევა. ამ დანახარჯთა ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მოხერხდება თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ. მაგრამ, შესაძლებელია ეკონომიკური ზარალი თავიდან ავიცილოთ, თუმცა გარემო ბუნებაზე მავნე გავლენასთან საქმე მაინც გვქონდეს, რადგანაც ბევრი მავნე გავლენის ღირებულებითი ფორმით გამოხატვა შეუძლებელია. ამდენად ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის გაანგარიშებისას გაითვალისწინება მხოლოდ იმ ზარალის თავიდან აცილების ეფექტი, რომლის ღირებულებითი ფორმით გამოხატვა ცოდნის არსებულ დონეზე შესაძლებელია.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებით და დამატებითი ეკონომიკური ეფექტიანობით მიღებულ შედეგს.

პრაქტიკაში ენერგოეკოლოგიური უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებისათვის საჭიროა ამ პროცესების მართვა, ე. ი. საჭიროა, ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის მართვის განხორციელება გამომდინარე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებიდან. ამისათვის კი აუცილებელია ჩამოყალიბდეს ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის მართვის სამეურნეო მექანიზმი.

ერთიან ენერგოეკოლოგიურ კომპლექსში ჩვენ ვგულისხმობთ მთელ ენერგეტიკულ საწარმოო, მეცნიერულ, ტექნიკურ და ეკოლოგიურ პოტენციალს, რომელთაგან თითოეული ფუნქციონირებს დამოუკიდებლად, მაგრამ მათ შორის არსებობს ორგანული ურთიერთკავშირი საერთო მაშტაბის ამოცანების გადასაწყვეტად, ენერგეტიკის და საერთოდ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

განსაკუთრებით აუცილებელია ასეთი კომპლექსის არსებობა დღეს, ჩვენი ქვეყნისათვის გარდამავალი ეკონომიკის არსებობის პირობებში, როდესაც სახეზეა ენერგეტიკული კრიზისი და ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი პოლიტიკურად.

რა თქმა უნდა, დღეისათვის საქართველოში არსებობს ენერგეტიკული კომპლექსი, მაგრამ მის ცალკეულ შემადგენელ ელემენტებს შორის ორგანული კავშირი და ამ კომპლექსის მართვის მექანიზმი არ არსებობს.

ზემოთმოყვანილი განმარტებიდან ჩანს, რომ ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის არსებობა გულისხმობს:

1. ყველა ენერგეტიკული და ენერგომანქანათმშენებელი საწარმოსა და სამსახურის, ენერგეტიკული პროფილის სამეცნიერო, საპროექტო და ტექნიკური დაწესებულებების და ორგანიზაციების, ენერგეტიკული პროფილის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეკოლოგიური ლაბორატორიების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ცენტრების, ახლადშექმნილი შესაბამისი ფორმების, კომპანიებისა და კონცერნების, ცალკეულ სპეციალისტთა და მეცნიერთა ჩაბმას უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში;

2. ამისათვის ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის მართვის მექანიზმის ჩამოყალიბებას;

ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპი უნდა აისახოს შემდეგში:

1. ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სრული სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

2. კომპლექსის მართვის ორგანოს ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყნის ენერგეტიკული კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა განსაზღვრა, ხოლო შემდეგ ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივების დასახვა ცალკეული ეტაპების მიხედვით.

**Р. Б. АБЕСАДЗЕ**

# К ВОПРОСУ ЭНЕРГО-ЭКОЛОГИЧЕСКОЙ ОБЕСПЕЧЕННОСТИ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА

Резюме

Под энерго-экологической обеспеченностью мы подразумеваем максимальное удовлетворение всякой человеческой деятельности энергией на основе достижений науки и техники как в сфере производства, так и потребления энергии, для достижения высокой эффективности экономики, в условиях строжайшего противоречия требований природоохранных мероприятий.

Для претворения в жизнь политики энерго-экологического обеспечения необходимо осуществление управления единым энерго-экологическим комплексом. Для этого необходимо формирование хозяйственного механизма управления единым энерго-экологическим комплексом.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა ლაბაძე

# მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების ძირითადი მიმართულებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული გარდატეხა ეკონომიკურ აზროვნებაში. თუ სულ ცოტა ხნის წინ ტერმინი „საბაზრო ეკონომიკა“ ეკონომისტთა შორის უარყოფით რეაქციას იწვევდა, ახლა იგი კონსტრუქციული მსჯელობის საგნად იქცა, რადგანაც ნათელი გახდა, რომ ერთდერთ გზას, გამოსავალს იმ მძიმე კრიზისული სიტუაციიდან, რომელშიც საქართველოს ეკონომიკა აღმოჩნდა, ძველი სამეურნეო სისტემის საბაზრო ეკონომიკით შეცვლა წარმოადგენს.

სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იქნება უშუალო გარანტი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი სახალხო მეურნეობის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან, მატერიალური, ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესებასთან. ამდენად, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს.

მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების საბრუნავი საშუალებების ეფექტიანობის ამაღლების საკითხის უშუალოდ განხილვამდე, საჭიროა მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თუ რისთვის გამოიყენება საბრუნავი საშუალებები, როგორია მათი სტრუქტურა, რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მათი სიდიდის ცვლილებებზე, თუ როგორ ხდება მოთხოვნის გაანგარიშება საბრუნავ საშუალებებზე და სხვა.

საბრუნავი საშუალებები მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს ეძლევათ საბითუმო საქონელბრუნვის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით. მათი შემადგენელი ელემენტებია:

1) საქონელი და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

2) დაუმთავრებელი წარმოება;

3) მომავალი პერიოდის ხარჯები;

4) ტრანზიტით გაგზავნილი საქონელი, რომელზედაც საანგარიშსწორებო საბუთები არ არის გადაგზავნილი ბანკში ინკასოზე:

5) ფულადი საშუალებანი;

6) გაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები;

7) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული დანაკლისები და დანაკარგები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) კაპიტალური რემონტის ხარჯები;

ზემოთ ჩამოთვლილი საბრუნავი საშუალებები, ფორმირების წესის მიხედვით, იყოფა ნორმირებულ და არანორმირებულ საბრუნავ საშუალებებად. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ნორმირებული საბრუნავი საშუალებების სიდიდე საგეგმო პერიოდში ნორმებისა და ნორმატივების საშუალებით განისაზღვრება, ხოლო არანორმირებულის კი წინა პერიოდის ფაქტიური მონაცემების საფუძველზე. ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნება. საქონელი, სხვა მატერიალური ფასეულობები, მომავალი პერიოდის ხარჯები და ტრანზიტით გაგზავნილი სქონელი, რომლის საანგარიშსწორებო საბუთები არ არის გადაცემული ბანკში ინკასოზე, ხოლო არანორმირებულს კი — ფულადი საშუალებები, გაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები და დებიტორები. როგორც ნორმირებული, ისე არანომირებული საბრუნავი საშუალებების მდგომარეობა მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომლებსაც პირობითად საერთო და სპეციფიკურ ფაქტორებად ყოფენ.

საბრუნავი საშუალებების სიდიდეზე მოქმედ საერთო ფაქტორებს მიეკუთვნებიან: საქონელბრუნვის მოცულობა, მიმოქცევის ხარჯების დონე, საქონლის მოწოდების რეგულირება და ა. შ., ხოლო სპეციფიკური ფაქტორებიდან შეიძლება აღინიშნოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მასალების მიღების სეზონური ხასიათი და ა. შ.

ცნობილია, რომ მომარაგება-გასაღების იმ ორგანიზაციებში, რომელთა საბითუმო საქონელბრუნვაში დიდი ხვედრითი წილი სატრანზიტო საქონელბრუნვაზე მოდის, საქონელში ნაკლები საბრუნავი საშუალებებია დაბანდებული, ფულად საშუალებებში კი პირიქით — მეტი. ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც სასაწყობო საქონელბრუნვა მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა, საბრუნავი საშუალების სტრუქტურა სხვაგვარად წარმოგვიდგება.

საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნა განისაზღვრება ნორმატივის საშუალებით, ნორმატივი არი ფულად სახსრებსა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში გამოხატული საბრუნავი საშუალებების ნაშთი საგეგმო პერიოდის ბოლოსათვის.

საერთოდ, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში, საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნის გაანგარიშებამდე საჭიროა:

1) ჩატარდეს საბრუნავი საშუალებების ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი;

2) განისაზღვროს საგეგმო პერიოდის დამდეგისათვის საბრუნავი საშუალებების მოსალოდნელი სიდიდე;

3) დადგინდეს ნორმატივები ნორმირებული საბრუნავი საშუალებების განსაზღვრისათვის;

4) განისაზღვროს ბანკიდან მისაღები კრედიტის სიდიდე;

5) დაწესდეს კონტროლი დადგენილი ნორმებისა და ნორმატივების შესრულებაზე.

მომარაგება-გასაღების ორგანოების მოთხოვნა საბრუნავ საშუალებებზე იფარება საკუთარი და ნასესხები სახსრებით. საკუთარი საბრუნავი საშუალებები ქმნიან საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივს, რომლის სიდიდეც საბრუნავი საშუალებების საერთო მოცულობის 35%-ის ტოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები სასაქონლო მარაგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირებულების 35%-ს ფარავენ საკუთარი საბრუნავი სახსრებით, ხოლო 65%-ს ბანკის კრედიტებით.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების შევსების წყაროს წარმოადგენს: მოგება, მყარი პასივები, ზემდგომი ორგანიზაციებიდან გადანაწილების წესით მიღებული სახსრები და ასიგნებანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ნასესხებ საბრუნავ საშუალებებს კი მომარაგების ორგანოები ღებულობენ ბანკიდან კრედიტის სახით.

დღევანდელი პრაქტიკის მიხედვით მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები სარგებლობენ მოკლევადიანი კრედიტის შემდეგი სახეებით:

1) კრედიტი საქონელბრუნვაზე;
2) კრედიტი საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე გზაში;
3) კრედიტი აკრედიტივისა და განსაკუთრებული ანგარიშის გახსნაზე.
4) კრედიტი ზენორმატიული სასაქონლო მარაგის შექმნისათვის;
5) კრედიტი საქონლის ვადაზე ადრე შემოზიდვისათვის;
6) კრედიტი საქონლის სეზონური მარაგის შექმნისათვის;
7) კრედიტი საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნამატის შესავსებად;
8) კრედიტი დროებითი საჭიროებისათვის და სხვა.

საქონელბრუნვის დაკრედიტების წესი შემდგომში მდგომარეობს: ბანკი სპეცსასესხო ანგარიშიდან ახდენს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების მიერ შეძენილი საქონლის ყველა საგადასახადო დოკუმენტის სრულ ანაზღაურებას. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები საქონელბრუნვის დაკრედიტებისას ანაზღაურებაში საკუთარი საბრუნავი სახსრებით უნდა მონაწილეობდნენ არანაკლებ 35%-ისა. ეს საკითხი პრაქტიკულად ამგვარად წყდება: მომარაგების ორგანოები ანგარიშსწორების ანგარიშიდან ყოველდღიურად გადარიცხავენ სპეცსასესხო ანგარიშზე საგეგმო გადასახდელებს და ამით ამცირებენ საქონელბრუნვისათვის მიღებულ კრედიტის სიდიდეს. ეს გადასახდელები უზრუნველყოფენ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრებით წილობრივ მონაწილეობას საქონლის ღირებულების ანაზღაურებაში და კრედიტის თავისდროულ დაფარვას.

მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების საბრუნავი საშუალებები განსაზღვრავენ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოების მთელი პროცესის რითმულობას და ამიტომ მათი ეფექტიანი გამოყენების საკითხი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია ბრუნვის სისწრაფე ანუ ბრუნვადობა. იგი ორი მაჩვენებლით ხასიათდება:

1) ბრუნვადობის კოეფიციენტი;
2) ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა;

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენი ბრუნი გააკეთა საგეგმო პერიოდში საბრუნავმა სახსრებმა მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში. ფორმულით ბრუნვადობის კოეფიციენტი ასე გამოითვლება: $K_o = \frac{O}{O_2}$;

სადაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

O-არის საქონელბრუნვის მოცულობა.

$O_0$ — არის საბრუნავი საშუალებების საშუალო ნაშთი.

საშუალო თვიური ნაშთი გაიანგარიშება თვის დამდეგისა და ბოლოს ნაშთების ჯამის 2-ზე გაყოფით, საშუალო კვარტალური ნაშთი გაიანგარიშება კვარტალში შემავალი თვეების საშუალო ნაშთების ჯამის 3-ზე გაყოფით, ხოლო საშუალო წლიური ნაშთი — საშუალო კვარტალური ნაშთების ჯამის ოთხზე გაყოფით.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ხანგრძლივობა გვიჩვენებს დღეების რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც საბრუნავი საშუალებები ახდენენ სრულ წრებრუნვას. მისი სიდიდე დამოკიდებულია, საწყობებსა და ბაზებში წარმოების საშუალებების ყოფნის დროზე. მატერიალური რესურსების მიღების, დახარისხების, დამუშავებისა და გაცემის ოპერაციების ხანგრძლივობაზე, რაც უფრო ნაკლები დრო იხარჯება აღნიშნული ოპერაციების შესრულებაზე და რაც უფრო ნაკლებია ბაზებსა და საწყობებში საქონლის დაყოვნების დრო, მით უფრო ეფექტურად გამოიყენება საბრუნავი საშუალებები მიმოქცევის სფეროში.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარება მომარაგება-გასაღების ორგანოებში მიიღწევა ბაზებსა და საწყობებში ზედმეტი და ზენორმატიული სასაქონლო მარაგის შემცირებით, ტრანსპორტირების პირობებში გაუმჯობესებით, სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციის დონის ამაღლებით, საბუთების ბრუნვის დროის შემცირებით, მომარაგების სასაწყობო და სატრანზიტო ფორმების ოპტიმალური შეხამებითა და საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებით.

ახალ პირობებში, როცა ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებიდან ხდება გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების როლი მრავალმხრივ რთულდება. განმანაწილებელი ფუნქციის ადგილს, რომლის მნიშვნელობა მკვეთრად მცირდება, იკავებენ ისეთი ფუნქციები როგორიცაა: მოთხოვნის შესწავლა, სასაქონლო ასორტიმენტის დაგეგმვა, კავშირების დამყარება მომწოდებლებთან, საბითუმო საქმიანობის განვითარება, საქონლის შენახვისა და მისი ტრანსპორტირების პროცესების მართვა, სარეკლამო საქმიანობა, მომხმარებელთა მომსახურების ორგანიზაცია.

ჯერჯერობით მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს არა აქვთ ამ ფუნქციების შესრულების გამოცდილება, ისევე როგორც არ აქვთ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფები აპარატში. ამიტომ მათ არ შეუძლიათ გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას გამოიწვევენ. აქედან გამომდინარე აუცილებელია მომარაგების ორგანოების გარდაქმნა საბითუმო-საშუამდგომლო ფირმებად, რომელთა უმთავრესი ამოცანები იქნება:

1) შეისწავლონ თავიანთი რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე.

2) ორგანიზაცია გაუკეთონ მომხმარებლების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

3) დაეხმარონ საწარმოებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) გაუწიონ კომერციული მომსახურება მომწოდებლებსა და მომხმარებლებს, რომელთაც სჭირდებათ ფირმის მომსახურება.

5) უზრუნველყონ ფირმის სასაწყობო კომპლექსის ეფექტიანი მუშაობა.

6) განავითარონ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა.

ცხადია, საბითუმო-საშუამდგომლო ფირმების ჩამოყალიბება ადვილი საქმე არ არის და მას გარკვეული დრო სჭირდება, მანამდე კი მიზანშეწონილი იქნება, რომ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებმა, საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების ამაღლების მიზნით, გაატარონ შემდეგი სახის ღონისძიებანი;

1) შექმნან კომერციული ცენტრები:

აუცილებლობა კომერციული ცენტრების შექმნისა იქიდან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებმა, რომ მიაღწიონ საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობის ზრდასა და ზედმეტ და ზენორმატიული მარაგის შემცირებას, რაც საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების საფუძველია, უნდა შეისწავლონ მოთხოვნა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე.

დაეხმარონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს საბითუმო ვაჭრობის განხორციელებაში, პროდუქციის შეძენასა და რეალიზაციაში. ყოველივე ეს კი კომერციული ცენტრის პირდაპირი ფუნქციებია.

კომერციულ ცენტრებში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ელემენტად უნდა ფუნქციონირებდეს სარეკლამო სამსახური.

სამწუხაროდ, რეკლამის აუცილებლობა ჩვენთან წლების მანძილზე არ ფასდებოდა. მიზეზი კი ის იყო, რომ მომხმარებელს არ შეეძლო თვითონ აერჩია მომწოდებელი და პროდუქცია, პირველიც და მეორეც მას თავს ეხვეოდა ცენტრალიზებული წესით. ცხადია, რომ ასეთ დროს რეკლამა ზედმეტია.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობასა და პირდაპირ კავშირებზე გადასვლის შემდეგ, როდესაც სარეკლამო ინფორმაცია საჭირო გახდა როგორც მომხმარებლისათვის, ისე მომწოდებლებისათვის.

როგორც უცხოური პრაქტიკა მოწმობს, ძირითად წყაროს ინფორმაციისა მომწოდებლებსა და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე წარმოადგენს კატალოგები, დარგობრივი ჟურნალები, ბუკლეტები და ა. შ.

კატალოგები, რომელიც არის ყველაზე ცნობილი სახე სასაქონლო რეკლამისა, ყველაზე ხშირად გამოიყენება მანქანა-მოწყობილობების რეალიზაციისას: მათში მოცემული თვალსაჩინო გამოსახულება გამოსაშვები ტექნიკური საშუალებებისა, მათი საექსპლოატაციო პარამეტრების აღწერით, მითითებულია ფასი და გამოყენების შესაძლებლობანი.

კატალოგებში პროდუქციის დახასიათება სრულია და იგი ამახვილებს ყურადღებას მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებზე, სიახლეებზე და მოხმარების წესებზე.

გარდა ზემოთქმულისა, რეკლამის მიზნით, ფართოდ გამოიყენებენ სხვადასხვა სახის გამოფენებს და აუქციონებს.

2) უნდა შეიქმნას წვრილბითუმად მოვაჭრე მაღაზიების ფართო ქსელი, ისინი რეალიზაციას გაუკეთებენ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობისას ბაზებსა და საწყობებში წარმოქმნილ ზედმეტ და ზე-

5. „მაცნე", ეკონომიკა და სამართალი, 1992, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმატიულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, რითაც დაჩქარდება საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა.

3) მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში უნდა დაინერგოს თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა.

გამოთვლითი ტექნიკის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქმის სრულად გამორიცხავს ხელით შრომას სასაქონლო პარტიების ფორმირებისას, მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ხარჯზე. ამასთან ერთად იგი საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომების დაშვება დოკუმენტაციის გაფორმებისას, მნიშვნელოვნად ამცირებს ბაზებისა და საწყობების მომსახურე პერსონალის რიცხვს.

ზემოთ ჩამოთვლილი ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის უპირატესობების გარდა, მისი მთავარი დადებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამცირებს ხარჯებს, რომლებიც დოკუმენტების დაბეჭდვით არის გამოწვეული და აჩქარებს დოკუმენტთბრუნვას, ეს უკანასკნელი კი იწვევს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში საბრუნავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების ამაღლებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში, საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებისას, გამოიყენებენ 200 სახის ოპერატიულ, სატრანსპორტო, საბანკო საბაჟო და სხვა დოკუმენტს ასობით ეგზემპლარად. ასეთი მოცულობის დოკუმენტაციის დამზადება და შემდეგ მისი დამუშავება გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ დროზე. ამიტომ უახლოეს მომავალში გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა.

გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გამოთვლითი ტექნიკის შეძენასა და წარმოებაში დამონტაჟებაზე საშუალოდ ორი წლის განმავლობაში იფარება.

4) მომარაგება გასაღების ორგანიზაციებში უნდა მოხდეს მარაგის სრული ოპტიმიზაცია.

ამისათვის, პირველ რიგში, მთელ სახალხო მეურნეობაში, უნდა შეიცვალოს მატერიალური მარაგების სტრუქტურა, რადგანაც მარაგის ძირითადი მასა დღეისათვის თავმოყრილია წარმოების სფეროში მიმოქცევის სფეროს ხარჯზე.

ყოველივე ამას ხელს უწყობს მარაგების ეკონომიკური მეთოდებით მართვის სისტემის განუვითარებლობა; დაბალი გადასახადი საწარმოო ფონდებზე (2—8%), მცირე ზომები გადასახადებისა ზენორმატიულ მარაგზე, დიფერენცირებული გადასახადების არარსებობა ბანკის მოკლევადიან კრედიტებზე და სხვა.

მეორე მხრივ, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს თვითონ მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ნორმებისა და ნორმატივების მარაგების ფაქტიურ სიდიდეებთან შესაბამისობის საკითხს;

5) უნდა შეიქმნას მოწყობილობა-დანადგარების გაქირავების პუნქტები;

ერთ-ერთ ახალ ფორმას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისა, რომელიც გარკვეულწილად ცალკეული სახის პროდუქციის დეფიციტის აღმოფხვრის საშუალებას იძლევა, წარმოადგენს გაქირავება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წარმოების პროცესის გართულებასთან ერთად, როგორც ვიცით, იზრდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, ცალკეული სახეები ამ პროდუქციისა წარმოების პროცესში გამოიყენება საკმაოდ მცირე დროით. ამასთან მათი ღირებულება საკმოდ დიდია, ეს, როგორც წესი, ტექნიკურად რთული მოწყობილობა-დანადგარებია, გამოსავალი ამ სიტუაციიდან სწორედ გაქირავების პუნქტების შექმნაში მდგომარეობს.

6) უნდა მოხდეს მომარაგების ორგანოების მუშა-მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება.

ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ახალ მოთხოვნებს უყენებს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს. დიდ მნიშვნელობას იძენს მუშაკის პიროვნული და საქმიანი თვისებები, მისი საქმიანობის ფორმები და მეთოდები.

უცხოეთის ქვეყნებში, საბითუმო-საშუამდგომლო ფირმების უმეტესობა, მიუხედავად მომსახურე პერსონალის მცირერიცხოვნებისა, აღწევს არნახულ სამეურნეო-ფინანსურ შედეგებს, უმთავრესად კადრების მაღალი კვალიფიკაციის წყალობით.

აქედან გამომდინარე, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებმა, თუ მათ უნდათ რომ წარმატებით აწარმოონ თავიანთი საქმიანობა, არ უნდა დაიშურონ თანხები კადრების გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებში ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს მათ გარდაქმნას საბითუმო-საშუამდგომლო ფორმებად, რაც საბოლოოდ საბრუნვი საშუალებების ეფექტიანი გამოყენების საფუძველი იქნება.

К. А. ЛАБАДЗЕ

## ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ЭФФЕКТИВНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ОБОРОТНЫХ СРЕДСТВ В СНАБЖЕНЧЕСКО-СБЫТОВЫХ ОРГАНИЗАЦИЯХ В УСЛОВИЯХ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ

Резюме

В статье показано значение эффективного использования оборотных средств в снабженческо-сбытовых организациях в условиях перехода экономики нашей страны на рыночные отношения. Исходя из этого, изложены основные пути повышения эффективности использования этих средств.

В качестве основного звена перестройки организационной структуры снабженческо-сбытовых организаций намечено создание оптово-посреднических фирм. Кроме этого, доказана необходимость создания при фирмах коммерческих центров, оптовых магазинов, прокатных пунктов, внедрения современной вычислительной техники для переработки коммерческой информации и организации рекламы в целях сбыта продукции.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულთამზე გელაშვილი

# ტრადიციული მეცხვარეობა აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მიწათმოქმედების პირობებში

აღმოსავლეთ კავკასიონი, რომელშიც შედის დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის მთავარი ქედის, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კალთებზე, მდინარეების არაგვის, ივრისა და თერგის აუზებში.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ კავკასიონი ოდითგანვე ტრანზიტული ტერიტორიის როლს ასრულებდა ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის. მისი მდებარეობის ეს თავისებურება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირურთიერთობას.

აღმოსავლეთ კავკასიონი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით კავკასიონის ორივე ფერდობზე, მაღალი ჰიდროგეომეტრიული გავრცელებით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის მეურნეობის სახეს და მისი განვითარების დონეს. სწორედ რთული რელიეფური პირობებითაა გამოწვეული რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის არსებობა, რომლებიც ცალკეულ ხეობაშია განლაგებული: მთიულეთი — თეთრი და შავი არაგვის ხეობებში, ხევი — თერგის, ფშავი — ფშავის არაგვის, ხევსურეთი — ხევსურეთის არაგვის აგრეთვე ასას, არღუნისა და ანაგის ხეობებში, ეს კუთხეები თითქმის იზოლირებული არიან ერთმანეთისაგან.

რეგიონი, რომლის ფართობი დახლოებით 5 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 64,3 ათასი კაცია, შეადგენს რესპუბლიკის ტერიტორიის 7% და მოსახლეობის 1,53%-ს.

ტერიტორიის ბუნებრივი პირობები ქმნის სამხრეთ ნაწილში მიწათმოქმედების ზოგიერთი დარგის, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში მეცხოველეობის განვითარების წინამძღვრებს. უმთავრესი დარგი აქ მეცხვარეობა იყო, რასაც განაპირობებდა საკვები ბაზა, ეს კი განაპირობებს შინამრეწველობის ზოგიერთი დარგის ტრადიციულ არსებობას ამ მხარეში.

სოფლის მეურნეობაზე მოდის რეგიონის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის 50%-ზე მეტი, ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკაში ანალოგიური საშუალო მაჩვენებელი 25%-ს შეადგენს.

ტრადიციულად აღმოსავლეთ კავკასიონი მეცხოველეობის განვითარების ზონაა, რაც ადგილობრივად არსებული საკვები ბაზით განისაზღვრება. მეცხოველეობაში ჭარბობს წვრილფეხა პირუტყვი — ცხვარი. მეცხვარეობის განვითარებამ არსებითად იმოქმედა აღმოსავლეთ კავკასიონის ეკონომიკაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფის მეტისმეტი დანაწევრება, სამიწათმოქმედო ფართობის სიმცირე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა, სასაქონლო პროდუქციის სიმცირე, რელიეფის დიდი დახრილობა და მექანიზაციის დანერგვის სიძნელე განაპირობებს მთიანი რეგიონის სამეურნეო ჩამორჩენილობას და მოსახლეობის შედარებით დაბალ საყოფაცხოვრებო პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთელი მიწის ფართობის 42%-ს შეადგენს. აქედან დამუშავებული მიწები 4,8%-ია, ყველაზე მცირეა აღნიშნული მაჩვენებელი ყაზბეგის რაიონში — 0,31%, თიანეთის რაიონში ყველაზე მაღალი — 11% და უფრო ნაკლებია დუშეთის რაიონში — 4,2%. თიანეთის რაიონს დუშეთის რაიონის ფართობის ნახევარზე ნაკლები უკავია, დამუშავებული ფართობი კი თითქმის იმდენივეა. ეს გამოწვეულია თიანეთის რაიონის შედარებით ხელსაყრელი რელიეფით, აქ მეტია ვაკე ზედაპირის ფართობები.

მთიანი რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სათიბ-საძოვრებს და ტყეებს. სათიბ-საძოვრების საერთო ფართობი 94441 ჰას შეადგენს ანუ ზონის მიწის ფონდის 38,1%. მასზე მოდის რესპუბლიკის მთელი სათიბ-საძოვრების 16,5% მასში მნიშვნელოვანია საძოვრების ფართობი, სათიბი შედარებით მცირეა. საძოვრებზე მოდის 8194 ჰა, ანუ რეგიონის სავარგულის 85,5%, სათიბების 2,3%. ეს სავარგული ძირითადად წარმოდგენილია საზაფხულო საძოვრებით და ქმნის მეცხოველეობის საკვებ ბაზას არა მარტო საკვლევი რეგიონის მეცხოველეობისათვის, არამედ საქართველოს მთელი რიგი ბარის რაიონებისათვის. საძოვრებით ყველაზე მდიდარია დუშეთის რაიონის მაღალმთიანი ნაწილი და ყაზბეგის რაიონი, მთავარი ნაკლი საძოვრებისა, უგზობაა, რაც მოითხოვს ღონისძიებათა გატარებას სრული გამოყენებისათვის.

მეცხვარეობა რეგიონისათვის ტრადიციული დარგია. მეცხვარეობასთან დაკავშირებით აქ განვითარებულია შინამრეწველობა — მატყლის დამუშავება, რთვა, ქსოვა, ყველის წარმოება და ა. შ. ცხვრის სულადობით რეგიონს წამყვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში. აქ თავმოყრილია რესპუბლიკის ცხვრის სულადობის 8,3%, დიდი ნაწილი თავმოყრილია საზოგადოებრივ მეურნეობებში — 63%. ზონის საზოგადოებრივი მეურნეობის ცხვრის 74,2% კონცენტრირებულია კოლმეურნეობებში, 25,8% სახ. მეურნეობაში. ზონაში ცხვრის ძირითად ჯიშად ითვლება თუშური — 97,2%, კავკასიური — 1,9% და მერინოსი — 0,7%. მატყლის ტიპების მიხედვით გავრცელებულია ნახევრად უხეში და უხეშმატყლიანი ცხვარი — 96,9% და 3,1% ნახევრად ნაზმატყლიანი.

ზონის კოლმეურნეობებში და სახელმწიფო მეურნეობებში მეცხვარეობის პროდუქციის რეალიზაციიდან იღებს 75% ფულად შემოსავალს, დარგების რენტაბელობის ნორმა 1 მ-დან 79%-მდეა.

რეგიონის ცხვრისა და თხის სულადობის 51,2% თავმოყრილია დუშეთის რაიონში, 38,2% ყაზბეგის რაიონში. დუშეთის საზოგადოებრივ მეურნეობებში აწარმოებენ რეგიონის ცხვრის და თხის ხორცის (ცოცხ. წ.) 3 48,6%-ს. ყაზბეგის რაიონში 41,4%-ს, თიანეთის რაიონში 10%. მატყლისა — 53,3, 36,4 და 9,3%-ს შესაბამისად.

ცხვრისა და თხის სულადობის შედარებით დიდი მაჩვენებლით გამოირჩევა დუშეთის რაიონის გუდამაყრის და ფასანაურის კოლმეურნეობები — 41,5,

ეროვნული ბიბლიოთეკა

18,3% შესაბამისად (საშუალოდ 1988-1990 წ. წ.). ყაზბეგის რაიონის სიონის უდაბნოს და დაბა ყაზბეგის კოლმეურნეობა — 24,1, 23,1%.

სახელმწიფო მეურნეობიდან შედარებით დიდი ცხვრის სულადობით გამოირჩევა დუშეთის რაიონის ჭართლის და ჭოპორტის მეურნეობები, რომელთა წილი რაიონის მეურნეობებში 37,7; 27,7%-ია შესაბამისად, შედარებით მცირე დუშეთის სახელმწიფო მეურნეობას უჭირავს — 12,2%, თიანეთის მეურნეობიდან თიანეთის სახელმწიფო მეურნეობას უჭირავს 54,4%, შედარებით მცირე ტუშურების მეურნეობას — 11,8%.

რეგიონის კოლმეურნეობების სპეციალიზაციის ძირითად მიმართულებას მეცხვარეობა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხვარეობის პროდუქციას 65% უჭირავს. აქედან დუშეთის რაიონის კოლმეურნეობების სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხვარეობის პროდუქციას 64% უჭირავს, თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეორე დარგად არის წარმოდგენილი — 23,7%; ყაზბეგის რაიონში ძირითად დარგად ითვლება — 72,6%.

სახელმწიფო მეურნეობებიდან დუშეთის რაიონის სპეციალიზაცია მეცხვარეობით განისაზღვრება, სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხვარეობის პროდუქცია წარმოდგენილია 32,8%-ით, თიანეთის რაიონში მეორე დარგად — 23,7%, მსხვილფეხა რქოსანი მეცხოველეობის შემდეგ.

მეცხვარეობის განვითარების დონე, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება ცხვრის სულადობით. ცხვრის სიმჭიდროვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობზე იძლევა შესაძლებლობას ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას დარგის მდგომარეობაზე და განვითარების დონეზე.

რეგიონის მთის მეცხოველეობის ზონის კოლმეურნეობებში საშუალოდ 1988-1989 წლებში 147,5 ათასი სული ცხვარი და თხა ჰყავდათ, სახელმწიფო მეურნეობებში — 49,8 ათასი სული, აქედან დედა პირუტყვი 75,1 და 22,8 ათასი სული, შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხვრისა და თხის საშუალო წლიური სულადობა საანალიზო წლებში ცვალებადობით ხასიათდება 1989 წელს 1988 წელთან შედარებით რეგიონში ცხვრის სულადობა თუ შემცირდა 2,8%-ით, 1990 წლისათვის წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8,2%-ით (კოლმეურნეობებში), სახელმწიფო მეურნეობაში შესაბამისი ტენდენცია 21,5 და 8,7%-ია, ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა გამოზრდაზე და კვებაზე მყოფი პირუტყვის სულადობის ცვალებადობისა. აღნიშნული გარემოება ძირითადად გამოიწვია საკუთრების არსებული ფორმების შენარჩუნების გაუგებრობამ. 1989 წლისათვის ცხვარი საზოგადოებრივი სექტორიდან გადაეცა ძირითადად გლეხურ მეურნეობებს. კერძოდ 1988 წლისათვის დუშეთის რაიონში 7 კოლმეურნეობა აწარმოებდა მეცხვარეობის პროდუქციას, 1989 წლისათვის მხოლოდ 3 კოლმეურნეობა — გუდამაყრის, მლეთის, ფასანაურის კოლმეურნეობები.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგული არათანაბრად არის დატვირთული ცხვრით. კერძოდ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში ყოველ 10 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 49 სული ცხვარი და თხა მოდის, ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში — 83 სული და თიანეთის რაიონში — 46 სული (საშუალოდ 1988-1989 წ.წ ), მთლიანად რეგიონის კოლმეურნეობებში — 62 სული. განსხვავებულია აღნიშნული მაჩვენებელი ზონის სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო მეურნეობებში, დუშეთის რაიონში სიმჭიდროვე 57 სულია, თიანეთის რაიონში 47 სული, სულ ზონაში საშუალოდ 53 სული.

შედარებით მაქსიმალურად გამოიყენეს სავარგული დუშეთის რაიონის მაღაროსკარის, ხადის, გუდამაყრის კოლმეურნეობებმა — 65, 59, 57 სული ცხვარი მოდის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. ყაზბეგის რაიონის გორისციხის კოლმეურნეობაში — 1-4 სული, დუშეთის რაიონის ჭართლის, ჭოპორტის სახელმწიფო მეურნეობაში — 85,63 სული შესაბამისად.

პირუტყვის სულადობის სიმჭიდროვის არსებული მდგომარეობა მისი ეფექტიანობის ერთი მხარეა, შედეგობრივი მაჩვენებელი კი განისაზღვრება იმით, თუ როგორია სულზე პროდუქციის გამოსავალი, ეს კი დამოკიდებულია პირუტყვის პროდუქტიულობაზე; პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად მისი პროდუქტიულობის ზრდა არის დარგის განვითარების მაჩვენებელი ინტენსიფიკაციის გზით.

შესაბამისი შესადარი მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ ცხვრისა და თხის წონამატის წარმოება უკანასკნელი წლისათვის ჩამორჩება სულადობის ზრდას, კერძოდ რეგიონის კოლმეურნეობებში გამოზრდაზე და კვებაზე მყოფი პირუტყვის სულადობა თუ გაიზარდა 21,1%-ით, წონამატის წარმოება გაიზარდა მხოლოდ 3,2%-ით, ამ მხრივ უარყოფითი შედეგია თიანეთის კოლმეურნეობებში, აქ სულადობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 16,8%-ით, წარმოება კი შემცირდა; ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში სულადობა გაიზარდა 19,7%-ით, წონამატების წარმოება შემცირდა 85,9%-მდე; რაც შეეხება მატყლის წარმოებას, შეიძლება ითქვას სასურველი შედეგია. რეგიონში 1990 წლისათვის ცხვრისა და თხის საერთო სულადობა გაიზარდა 8,2%-ით, მატყლის წარმოება გაიზარდა 17,4%-ით, შედარებით უკეთესი შედეგი მიიღეს დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში, პირუტყვის სულადობა გაიზარდა 16,6%-ით, მატყლის წარმოება—36,4%-ით, თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებში პირიქით, სულადობა გაიზარდა 17,9%-ით, მატყლის წარმოება გაიზარდა 11,1%-ით. სახელმწიფო მეურნეობებში სულადობა გაიზარდა 8,7%-ით მთლიანად ზონაში მატყლის წარმოება კი გაიზარდა უმნიშვნელოდ 1,1%-ით.

უკანასკნელ წლებში მეცხვარეობის დარგის განვითარებაში შედარებით მაღალ შედეგს მიაღწია დუშეთის რაიონის ჭოპორტის და ჭართლის სახელმწიფო მეურნეობამ. ყაზბეგის რაიონის დაბა ყაზბეგის, გორისციხის, სნოს კოლმეურნეობებმა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა ზონის საზოგადოებრივ მეურნეობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი დედა პირუტყვის ბერწიანობას, ყოველ 100 სულზე ნამატის მიღება რჩება დაბალი, ხდება ნამატის დანაკარგები, რაც წარმოადგენს ძირითად მიზეზს პირუტყვის სულადობის ნელი ზრდისა. ზონის კოლმეურნეობებში 1988-1990 წლებში საშუალოდ ერთ მოზარდზე მიღებული წონამატი არ აღემატება 19 კგ-ს, მატყლის ნაპარსი სულზე 2,3 კგ-ს და 100 ნერბზე მიღებული ბატკნების რაოდენობა 84 სულს. 1990 წლისათვის 26,3, 2,5 და 86-ს შესაბამისად. რაიონების კოლმეურნეობებიდან წონამატების შედარებით მაღალი გამოსავლით გამოირჩევა ყაზბეგის კოლმეურნეობები — 22 კგ. საშუალოდ საანალიზო წლებში. 1990 წლისათვის 30 კგ. სულზე მატყლის ნაპარსი დუშეთის კოლმეურნეობებში 2,7 კგ. 1990 წლისათვის 3,13 კგ. 100 ნერბზე მიღებული ბატკნების სულადობის სიდიდის მიხედვით გამოირჩევა კვლავ დუშეთის კოლმეურნეობები — 88,93 სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზონის სახელმწიფო მეურნეობებში საშუალოდ საანალიზო წლებში მიღებულია 18 კგ წონამატი, 2,4 კგ მატყლის ნაპარსი, 88 სული ბატკანი 100 ნერბზე. 1990 წლისათვის — 22,6, 2, 6, 87 შესაბამისად.

ზონის კოლმეურნეობებიდან გამოზრდაზე და კვებაზე მყოფი პირუტყვის შედარებით მაღალი პროდუქტიულობის დონით გამოირჩევა დუშეთის რაიონის გუდამაყრის, ფხოვის კოლმეურნეობები — 39,28 კგ წონამატი სულზე, ყაზბეგის რაიონის გორისციხის, სნოს, სიონის, უდაბნოს კოლმეურნეობები — —33, 35, 28 კგ. შესაბამისად. სახელმწიფო მეურნეობიდან 1990 წლისათვის გამოირჩევა დუშეთის რაიონის ჭართლის, ბულაჩაურის მეურნეობები — 28, 4,25,2 კგ.

მატყლის შედარებით მაღალი ნაპარსია მიღებული დუშეთის რაიონის გუდამაყრის, ფხოვის, მთიულეთის კოლმეურნეობებში — 3, 5, 3, 1, 2, 8 კგ; ყაზბეგის რაიონის გორისციხის, სნოს კოლმეურნეობებში — 2,4, 2,3 კგ. დუშეთის რაიონის ჭოპორტის სახელმწიფო მეურნეობაში — 3,2 კგ.

100 ნერბზე მიღებული ბატკნების საშუალო მაჩვენებლებზე შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა დუშეთის რაიონის მაღაროსკარის, ფხოვის, ფასანაურის კოლმეურნეობები — 103, 93, 89 ბატკანი; საშუალოზე მცირე მაჩვენებელი მიიღეს დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობამ — 87 ბატკანი, ყაზბეგის რაიონის გორისციხის კოლმეურნეობამ — 85 ბატკანი, დუშეთის რაიონის ჭართლის, ჭოპორტის სახელმწიფო მეურნეობამ — 93, 91, 90 ბატკანი, თიანეთის რაიონის ტუშურების სახელმწიფო მეურნეობამ — 101 ბატკანი.

მეცხვარეობაში სულადობის ზრდა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ნახირის სტრუქტურაზე, რომელშიც ძირითად როლს ნერბებისა და სარემონტო მოზარდის სულადობა თამაშობს.

რეგიონის მეურნეობებში ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეურნეობები, სადაც მაღალია ნერბების ხვედრითი წილი, ჯოგში, იქ მაღალია შედარებით მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები. კერძოდ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც ნერბების ხვედრი წილი ჯოგში 50%-ზე მეტია — ასეთებია ფასანაურის, ხადის კოლმეურნეობა მაღალია სხვა დაბალ ჯგუფთან შედარებით პროდუქციის გამოსავალი 100 სტრუქტურულ ცხვარზე, დახარჯულ კაც-საათზე, ყოველ გადახარჯულ მანეთზე.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებიდან ნერბების მაღალი ხვედრითი წილით ჯოგში გამოირჩევა სნოს კოლმეურნეობა — 57%, გორისციხის, სიონის და დაბა ყაზბეგის კოლმეურნეობაში 52%-ია.

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ნერბების ხვედრითი წილის ზრდა ჯოგში მეურნეობებს უყენებს შედარებით მაღალ მოთხოვნებს, კერძოდ დოლის დროს იზრდება შრომითი დანახარჯები, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება ბატკნების დაავადებებისა და დაცემის საწინააღმდეგოდ — თბილი ბინების აგება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, საკვების წარმოების გაფართოება და ა. შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად დანახარჯების ზრდისა, ზემოთ აღნიშნულმა მეურნეობებმა მიაღწიეს შესაბამისად ცხვრის ცოცხალი წონისა და ნაპარსის ზრდას.

ზონის მეურნეობები მეცხვარეობას მისდევენ ძირითადად სასაქონლო პროდუქციის მისაღებად, ამიტომ ჩვენი შეხედულებით მიზანშეწონილად მი–

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაჩნია ჯოგში ნერბების ხვედრითი წილი გაიზარდოს დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში 70%-მდე, თიანეთის რაიონის სახელმწიფო მეურნეობებში 65%-მდე და ყაზბეგის რაიონის მეურნეობებში 65%-მდე.

ჩვენი გაანგარიშებით, ჯოგში ნერბების ხვედრითი წილის 70%-მდე გაზრდა დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში გაზრდის ცხვრისა და თხის სულადობას 21,0%-ით, ცხვრის ხორცის წარმოებას 20,6%-ით, მატყლის წარმოება გაიზარდა 22,3%-ით, 1 სულ ცხვარზე მოგება გაიზრდება 5,1%-ით რენტაბელობა დარგში გაიზრდება 4,2%-ით.

პროდუქციის წარმოების ზრდაზე მეცხვარეობაში გარკვეულ გავლენას ახდენს ცხვრის დაცემის ლიკვიდაცია. 1988 წლისათვის დუშეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობაში დაეცა ყველა ასაკის ცხვარი და თხა 4168 სული, თიანეთის რაიონში 2200 სული, ყაზბეგის რაიონში 6100 სული, სულ ზონაში დაცემულია 12520 სული, რაც მთლიანი სულადობის 10,4% შეადგენს. 1989 წლისათვის დაცემული პირუტყვის სულადობა შემცირდა, მაგრამ მაინც დიდი რაოდენობითაა — 9540 სული ანუ სულადობის 5,5%. მეურნეობებიდან ზონის კოლმეურნეობებში დაცემულია — 72,3%, სახელმწიფო მეურნეობებში — 26,5%. რაიონებიდან დუშეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში — 46,3%, თიანეთის რაიონში — 12,4%, ყაზბეგის რაიონში — 41,3%, რამაც შეამცირა მეურნეობებში ცხვრის სულადობა და შესაბამისად პროდუქციის წარმოება შემცირდა 57,6% ტონით, მატყლის წარმოება 15,1 ტონით, სახელმწიფო მეურნეობებში შემცირდა 45,0 და 5,8 ტონით.

პირუტყვის სულადობისა და მისი სახორცე პროდუქტიულობის ზრდის დიდ რეზერვს წარმოადგენს გამოზრდა-გამოკვების სწორი ორგანიზაცია, მეცხვარეობაში, რომელსაც ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა. რეგიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან თითქმის 46-48% ბარდება სახელმწიფოს საშუალოზე დაბალი და ჯანდაგი შეხორცების პირუტყვი. დუშეთის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საშუალოზე დაბალი და ჯანდაგი პირუტყვის რეალიზაციით 1989 წელს შემოსავლებს დააკლეს 104,4 ათასი მანეთი, და ყაზბეგის რაიონმა — 30,4 ათასი მანეთი. განსაკუთრებით დიდი დანაკლისი განიცადა დუშეთის რაიონმა, აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 74,0 ათასი მანეთი, სახელმწიფო მეურნეობებზე 33,6 ათასი მანეთი.

დღეისათვის მეცხოველეობის განვითარების ძირითად პრობლემას წარმოადგენს პირუტყვის უზრუნველყოფა სრულფასოვანი საკვებით, რამდენადაც უმრავლეს მეურნეობებში საკვები ბაზა ჩამორჩება დარგის მოთხოვნებს და აფერხებს მის შემდგომ განვითარებას.

საკვები ბაზა აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონაში წარმოდგენილია ბუნებრივი სათიბებით და საძოვრებით, რომელიც 80%-ზე მეტია თითქმის ყველა მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტრუქტურაში. ძირითადად ჭარბობს საძოვრული საკვები, მისი ხვედრითი წილი მეცხვარეობის საკვების საერთო ხარჯვაში 1988-1990 წლებში საშუალოდ 80%-ზე მეტია. ეს კი განსაზღვრავს საძოვრული საკვების როლს და მნიშვნელობას, როგორც საკვების ძირითად წყაროს მეცხვარეობაში.

რეგიონის საზოგადოებრივი მეურნეობების საძოვრების მოსავლიანობა არ აღემატება 4-6 ცენტნერს ჰექტარზე, განსაკუთრებით დაბალია მოსავლიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზამთრო საძოვრებზე — 2-3 ცენტნერი ჰექტარზე. დღეისათვის საზაფხულო საძოვრები იძლევა კვებითი მასის დაბალ მოსავალს. უსისტემო გამოყენებამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიგვიყვანა იქამდე, რომ ეს საძოვრები მწვანე მასის მაღალი მოსავლიანობის შემთხვევაში იძლევა კვებითი მასის დაბალ რეზერვს. კვებითი მასის წილზე მოდის მხოლოდ ბალახის 10—20%, დიდი ნაწილი მაღალმთიანი საძოვრებისა ყოველწლიურად აწარმოებს 80-90% არაკვებითი ღირებულების მასას. მიუხედავად საძოვრების დიდი ხვედრითი წილისა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მისი დაბალი მოსავლიანობის გამო, როგორც საზაფხულო ისე საზამთრო საძოვრებისა, საკვებტევადობა მათი არასაკმარისია, გარდა ამისა საზოგადოებრივი მეურნეობების საძოვრებზე კვებავენ კერძო სექტორის ცხვარს და სხვა პირუტყვს. ამიტომ რეგიონის საძოვრები იქმნება არა მარტო საზოგადოებრივი მეცხვარეობის საკვებ რეზერვად, არამედ ყველა სახის მეურნეობის და ყველა სახის მეცხოველეობის დარგების რეზერვად.

ბუნებრივი საძოვრების გარდა საკვლევ რეგიონში ცხვრის საკვებად გამოიყენება ბუნებრივი სათიბების თივა. აქაც აუცილებელია ზომების მიღება მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის. დღეისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში ბუნებრივი სათიბებიდან თივის პროდუქტიულობა ცვალებადობს 8-დან 15 ცენტნერამდე 1 ჰექტარზე. 1988-1990 წლებში საშუალოდ თივის მოსავლიანობამ შეადგინა 11 ცენტნერი.

საკვების დამზადების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, დამზადებული საკვების არასაკმარისი კვებითი დონე მნიშვნელოვნად ცვალებადობს. ცხვარი ვერ ღებულობს მნიშვნელოვან რაოდენობას უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებისა, მაშინ, როდესაც ზოოტექნიკური ნორმით ცხვრის რაციონში კონცენტრირებული საკვების ხვედრითი წილი 8% უნდა იყოს, საშუალოდ 1988-1990 წლებში მან 4,5% შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტიულობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია კვებაზე. აკადემიკოსი მ. ფ. ივანოვი წერს: „ცხოველის ორგანიზმზე საკვები და კვება ახდენს ორჯერ მეტ გავლენას, ვიდრე ჯიში და ჯილაგი".

ჩვენი გაანგარიშებით, რეგიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, კვების რაციონის პროტეინით დაუბალანსებლობის გამო, ყოველწლიურად ვერ ღებულობს 15 ათას ცენტნერ ხორცს (ცხვრის), ბევრ მატყლს და რძეს. რომ გაიზარდოს კვების რაციონში პროტეინის შემცველობა, ზონის მეურნეობათა ნათესი ფართობების სტრუქტურაში თავთავიანი კულტურების ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს 13-15%-მდე. ცხვრის პროდუქტიულობა და სულადობის შენარჩუნება ბევრადაა დამოკიდებული თუ როგორ არის პირუტყვი უზრუნველყოფილი საჭირო შენობა-ნაგებობებით და მისი ტექნიკური მდგომარეობით, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. საგაზაფხულო დოლისათვის 1 დედა ცხვარზე უნდა მოდიოდეს 1 მ² ფართი, საზამთრო დოლისათვის 1,8 მ², მოზარდებისათვის 1 წლამდე 0,7 მ², საჯიშე ცხვრისათვის ჯგუფური შენახვის პირობებში 1,5 მ². ტიპიური პროექტით სადგომებს უნდა ჰქონდეთ სამშობიარო ვანყოფილება ახლადდაბადებული ბატკნებისათვის ზამთრის პერიოდში. შენობა ყოველთვის უნდა იყოს მშრალი, სუფთა, სასურველია დაცული იყოს ცივი ქარებისა და ნამქრებისგან. ცხვრის ვეტერინარულ-სანიტარული დამუშავებისათვის ფერმებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური აბაზანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში ზონის მეურნეობებს არ აქვთ სათანადო პირობები შექმნილი, არის პრიმიტიული ფარეხები, ყოველგვარი მექანიზაციის გარეშე, კარგ ამინდში სუფთა ჰაერზე ყოფნა ცხოველის ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა. მაგრამ ცუდ ამინდში სულადობის დაახლოებით 30% იღუპება, მეურნეობებში არ აქვთ სპეციალური შენობები ცხვრის საპარსად, პარსვა ხდება პირდაპირ მოედნებზე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის გარეშე, ნაგვიანდება მატყლი, და ადგილი აქვს დანაკარგებს.

მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სპეციალიზაციამ. გაღრმავებული სპეციალიზაცია მეცხენარეობის და მეცხოველეობის დარგების რაციონალური შეთანაწყობა, ფერმების რაციონალური სიდიდე, კონცენტრაციის გარკვეული დონე მეცხვარეობის ეფექტიანობის გაძლიერების საწინდარია.

მცირე ზომის ფერმები მოითხოვს მართვაზე მეტ დანახარჯებს, ამავე დროს დიდი ზომის ფერმები ძნელია სამართავად. მეურნეობებში, სადაც ცხვრისა და თხის კონცენტრაციის ოპტიმალური სიდიდე 17300-დან 21200 სულამდეა შედარებით ნაკლებია საწარმოო და შრომითი დანახარჯები ერთეულ სულ პროდუქციაზე, დაბალია ცენტნერი პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება და შედარებით მაღალია რენტაბელობა. ასეთ პირობებშია ყაზბეგის რაიონის კობის და დაბა ყაზბეგის კოლმეურნეობები. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ცხვრის სულადობის გაზრდა უნდა მოხდეს არა ყველა მეურნეობაში, არამედ იმ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ ამის სათანადო პირობები. კვლევა გვიჩვენებს, რომ რეგიონის კოლმეურნეობებიდან შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ მეურნეობებს, სადაც სულადობა 21200 სულამდეა, მეურნეობის ნომინალური სიდიდე შეიძლება იყოს 4-5 ათასი სული.

რამდენადაც ფერმები მთელი წლის განმავლობაში იმყოფებიან საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე, ისინი დაცილებული არიან შორი მანძილით ცენტრალურ ადგილებს, მწყემსებს არ შეუძლიათ ფარა დატოვონ საძოვრებზე და თვითონ გათიბონ ან გააკულტურონ საძოვრები, ეფექტიანად გამოიყენონ არსებული ტექნიკა. ამიტომ კარგი იქნება მეცხვარეობის მეურნეობებთან შეიქმნას მეცხვარეობის საკვებდამამზადებელი ბრიგადები, ეს ბრიგადები უნდა იყოს მათ სამეურნეო დაქვემდებარებაში, კონკრეტულ პირობებში ეს ბრიგადები 2-3 ფერმას შეიძლება დაექვემდებაროს, დაახლოებით 15-20 ათას სულიან ფერმას.

მეცხვარეობაში ეკონომიკური ეფექტიანობა დიდად არის დაკავშირებული მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებაზე. პირადი მატერიალური დაინტერესება უნდა მოხდეს ანაზღაურებით პროდუქციის რაოდენობისა და შრომის ხარისხის მიხედვით.

მატერიალური დაინტერესების მიზნით, მუშაკები, რომლებიც გაზრდიან მეცხვარეობის პროდუქციას, მიზანშეწონილად მიმაჩნია მწყემსთა ბრიგადას მიეცეს დამატებითი ნატურალური ანაზღაურება:

— ზრდასრული და მოზარდი სულადობის ნახევარი, რომელიც შეინარჩუნა ბრიგადამ წლის განმავლობაში 95%-ზე ზევით.

— მიეცეს ყოველი მეათე ბატკანი 100 დედაზე 100 ბატკანზე მეტის მიღების და გამოზრდის შემთხვევაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მეცხვარეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რადგან დარგის წარმატებები დამოკიდებულია უპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველის ყოველისა ხალხზე. საკვლევ რეგიონში აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. მუშაკები უნდა მარაგდებოდნენ სათანადო ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, ქურქებით, ბამბის შარვლებით, პიჯაკებით, სისტემატურად უნდა მიეწოდოთ გაზეთები. ზაფხულობით კარვები, ცუდია სატრანსპორტო გზები, რასაც უახლოეს მომავალში უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, თორემ მწყემსი ნამდვილად საძებარი გაგვიხდება.

გარდამავალ პერიოდში მეურნეობათა ეფექტიან საქმიანობაზე გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ფასწარმოქმნის მოხერხებული სისტემის გამოყენებამ. ფასები უფრო სწორად ასახავენ მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოო დანახარჯებს, ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ტენდენცია ფასები დაუახლოვდეს ღირებულებას — საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. ეკონომიკურად დასაბუთებული ფასები მეცხვარეობის პროდუქციაზე უკეთეს პირობებს შეუქმნის მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას. თავისუფალი საბაზრო ფასები გაზრდის მეურნეობათა მატერიალურ დაინტერესებას, უნდა გამოირიცხოს დანახარჯების პრინციპით ფასების ფორმირება. ფასები უნდა დაემყაროს წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების დაფარვას და მოთხოვნის მიწოდების კანონების საფუძველზე — პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულებას, მის საზოგადოებრივ სარგებლიანობას.

ფაქტიურად მოქმედი ფასები მეცხვარეობის პროდუქციაზე არ შეესაბამება დარგის მოთხოვნებს და, ჩვენი აზრით, სახელშეკრულებო ფასები უნდა განისაზღვროს მეურნეობათა ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთა რეგულირება უნდა მოხდეს მატერიალურ ფასეულობათა გადაფასების შესაბამისად. ჩვენი აზრით, მაღალი ფასები მეცხვარეობის პროდუქციაზე უნდა იყოს დროებითი, გარდამავალ პერიოდში, სანამ არ შეიქმნება მყარი საკვები ბაზა, სანამ არ მოხდება საძოვრების ძირეული გაუმჯობესება, რომელიც დიდ დანახარჯებს მოითხოვს, ამის შემდეგ ფასები შეიძლება შემცირდეს.

აღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკაში გატარება შესაძლებლობას მისცემს მეურნეობებს მეცხვარეობა რეგიონში მაღალრენტაბელური დარგი გახდეს.

**Г. Г. ГЕЛАШВИЛИ**

## ОВЦЕВОДСТВО В ГОРНОМ ЗЕМЛЕДЕЛИИ В ВОСТОЧНОМ КАВКАСИОНИ

Резюме

В работе дан анализ современного состояния традиционной отрасли — овцеводства в горной зоне Восточного Кавкасиони.

Установлено, что показатель экономической эффективности овцеводства низок, а уровень производства продукции не удовлетворяет потребности населения республики. Целесообразно проведение следующих мероприятий: совершенствование структуры стада, внедрение передового опыта, укрепление кормовой базы, совершенствование систем ценообразования, улучшение материальных и социальных условий жизни чабанов.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის აგრონომიულმა განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აგდი გერიძე

# სამუშაო ძალის მოძრაობა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე

ეკონომიკურ (წარმოებით) ურთიერთობათა სისტემა, როგორც ასეთი, მეტნაკლებად სრულყოფილი ფორმით გვევლინება კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. იგი საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად, საკუთრების ფორმათა სტრუქტურის ცვლილების შესაბამისად, გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის. ამ თვალსაზრისით, „სოციალისტური ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის“ შექმნა სხვა არა იყო რა, თუ არა კაპიტალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის რადიკალური რეორგანიზაციის მცდელობა, საკუთრების ერთი გაბატონებული ფორმის (კერძო საკუთრების) მეორეთი (სახელმწიფო საკუთრებით) ძალდატანებითი შეცვლის გზით, ისე, რომ მხედველობაში არ მიიღებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაწარმომქნელი მეორე ძირითადი ელემენტის, საწარმოო ძალების განვითარების დონე და რაც მთავარია, ადამიანში გენეტიკურად დაპროგრამებული ისეთი თვისება, როგორიცაა მისწრაფება პირადი საკუთრების გავლით კერძო მესაკუთრეობისადმი.

პოლიტეკონომიის. ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის დამახასიათებელ კატეგორიათა და კანონთა შემსწავლელი მეცნიერების, კვლევის საგანი ხასიათდება ქვედა და ზედა საზღვრებით. ქვედა საზღვარს წარმოადგენს საწარმოო ძალები, ზედა საზღვარს — საკუთრების ფორმები. პოლიტეკონომიას აინტერესებს საწარმოო ძალები და საკუთრების ფორმები იმ დონით, რა დონითაც ისინი შეხებაში იმყოფებიან ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემასთან.

საწარმოო ძალების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია სამუშაო ძალა. აქ იგულისხმება ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ადამიანი, და რომელიც მოქმედებაში მოდის რაიმე სახმარი ღირებულების წარმოებისას. პოლიტეკონომიას აინტერესებს სამუშაო ძალა, არა, როგორც საწარმოო ძალების ობიექტი (სახმარი ღირებულება — შრომის უნარი), ან როგორც საკუთრების ურთიეთობათა ობიექტი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა ობიექტი, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის დამახასიათებელი კატეგორია.

სამუშაო ძალის კატეგორია წარმოდგება ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ამა თუ იმ მხარის ამსახველი ეკონომიკური ფორმების სახით. სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმები არ არსებობენ თვით სამუშაო ძალის, როგორც საწარმოო ძალისა და სამუშაო ძალაზე საკუთრების ფორმის გარეშე, ისე, როგორც მთლიანად ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა არ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობს საწარმოო ძალებისა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების გაბატონებული ფორმების გარეშე. საერთოდ, პოლიტეკონომია სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმების კანონზომიერებათ კვლევისას ვერ იქნება გულგრილი სამუშაო ძალის, როგორც საზღაური ღირებულების მიმართ, ისე მასთან დაკავშირებული საკუთრების ურთიერთობათა მიმართ.

სამუშაო ძალა, ანუ შრომის უნარი, როგორც საწარმოო ძალა ან, როგორც საკუთრების ობიექტი, თავისთავად, არ არის ეკონომიკურ ურთიერთობათა მატარებელი, არ წარმოადგენს სამუშაო ძალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსებობის პირობას.

სამუშაო ძალა, როგორც შრომის უნარი (საწარმოო ძალა) არსებობს ყველა საზოგადოებრივ — ეკონომიკურ ფორმაციაში, ხოლო როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოიშობა განსაზღვრულ პირობებში:

1. სამუშაო ძალის მატარებელი ადამიანი უნდა იყოს იურიდიულად თავისუფალი, თავისი ფიზიკური და სულიერი უნარის სრულუფლებიანი მესაკუთრე;

2. იგი თავისუფალი უნდა იყოს ასევე წარმოების საშუალებებისაგან, არ უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო ძალის გამოყენებით შექმნილი პროდუქტის გაყიდვის უფლება;

3. მისი ძირითადი საარსებო წყარო უნდა იყოს თავისი სამუშაო ძალის, როგორც საქონლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

ეს პირობები კაპიტალისტური წარმოებისა და მისი შემადგენელი რგოლის სამუშაო ძალის ბაზრის ამოსავალი პირობებია. კაპიტალისტური წარმოების ისტორიული პირობები, სასაქონლო და ფულად მიმოქცევასთან ერთად მოიცავს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევის პირობებსაც.

სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები საყოველთაო ხასიათს იძენენ, რითაც საფუძველი ეყრება ეკონომიკურ ურთიერთობათა, მეტ-ნაკლებად, სრულყოფილ სისტემას, რომელიც მუდმივ მოძრაობა-განვითარების პროცესშია. სამუშაო ძალის ეკონომიკურ ფორმად ჩამოყალიბდა ისტორიულად და ლოგიკურად დაკავშირებულია მარტივი სასაქონლო წარმოების განვითარებასთან.

განვიხილოთ ის წინაისტორიული, უფრო ზუსტად, ის წინაეკონომიკური საფეხურები, რომლებმაც მოამზადეს სოციალური და ეკონომიკური პირობები სამუშაო ძალის სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ობიექტად გადაქცევისათვის და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის დამახასიათებელ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა ორბიტაში მოქცევისათვის.

პირველყოფილ ადამიანთა ერთობა — თემი წარმოადგენს საზოგადოების ჩამოყალიბების საწყის საფეხურს. თემი სოციალურად და ეკონომიკურად არ არის დიფერენცირებული. ჯერ კიდევ, ინდივიდი, პიროვნება, როგორც ასეთი არ არსებობს. თემის ყოველი წევრი, მასში ბუნებრივად პერსონიფიცირებული სამუშაო ძალითურთ, თემის საერთო კუთვნილებაა. თემი, როგორც სოციუმი თემის წევრთა მბრძანებელია.

საზოგადოების ჩამოყალიბების პირველყოფილ-თემურ სტადიაზე, თემის წევრების შრომის უნარი, შრომის იარაღებთან ერთად, იმთავითვე თემის ერთობლივი საწარმოო ძალის ორგანული ნაწილია. სამუშაო ძალის გამო თემსა და მის წევრებს შორის რაიმე გაშუალებული ურთიერთობები არ მყარდება. საარსებო საშუალებათა მოპოვების პროცესში სამუშაო ძალის შეერთება შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის იარაღებთან უშუალო ინსტიქტური ხასიათისაა. რაც გამოიხატება თემის წევრთა მიერ ბუნებისაგან მზამზარეულად ბოძებული შრომის პრიმიტიული იარაღების და საარსებო საშუალებების უშუალო მითვისებით.

საარსებო საშუალებათა მოპოვება — განაწილების თემური წესი განპირობებულია საწარმოო ძალების პრიმიტიულობით და მეურნეობის გაძღოლის ნატურალური ფორმით, რაც თავის მხრივ, საკუთრების ურთიერთობათა არარსებობის შედეგია.

საწარმოო ძალების ხანგრძლივი ევოლუციური განვითარებისა და საკუთრების ურთიერთობათა აღმოცენებით დასაბამი ეძლევა სასქონლო-ფულად ურთიერთობებს. თემის უარყოფა ხდება, სოციალურად დიფერენცირებული, მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფოთი. ამით, მთავრდება ადამიანებზე ბუნების ძალებისა და თემის მბრძანებლობის ერა და იწყება თვით ადამიანთა ერთი ნაწილის მეორეზე მბრძანებლობის ერა. ერთ მხარეს, იმყოფება მესაკუთრე, თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო მეორე მხარეს — საკუთრების უფლებას და პიროვნულობას მოკლებული მონობა. ამ დროს, ძირითადია მონათმფლობელსა და მონას შორის ურთიერთობა, რომელიც ნატურალური ხასიათისაა და ემყარება დაკანონებულ ფიზიკურ იძულებას. მონა, მასში ბუნებრივად პერსონიფიცირებული სამუშაო ძალითურთ ისევე როგორც წარმოების საშუალებები მონათმფლობელის კერძო (პირადი) საკუთრებაა.

საზოგადოების ჩამოყალიბების მონათმფლობელურ სტადიაზე, სამუშაო ძალა — შრომის უნარი მისი მატარებლის (მონის) მფლობელობაში არ არის, სამუშაო ძალის შეერთება წარმოების საშუალებებთან ძალმომრეობითი ხასიათისაა, რაც გამოიხატება მონის წარმოებაში იძულებითი ჩართვით. მონის სამუშაო ძალის ყიდვა — გაყიდვა ხორციელდება არა მისი მატარებლის მიერ, არამედ მონათმფლობელთა შორის ურთიერთობის გზით, ძირითადი წარმოებითი ურთიერთობის მიღმა.

საზოგადოების ფეოდალურ სტადიაზე ძირითადია ფეოდალსა და ყმა-გლეხს შორის ურთიერთობა, რომელიც ეყრდნობა ნაწილობრივ ფიზიკურ იძულებას — ფეოდალის მიმართ ყმის პირად დამოკიდებულებას და ნაწილობრივ ეკონომიკურ იძულებას. ყმა გლეხი თავის სამუშაო ძალითურთ ფეოდალის არასრული კერძო საკუთრებაა. მისი გაყიდვა, გაჩუქება ისევე როგორც მონისა არ შეიძლება. ყმას უფლება ეძლევა შექმნას ოჯახი, ჰქონდეს წარმოების საშუალებებზე წვრილი კერძო საკუთრება, რაც მას გარკვეულ დამოუკიდებლობას ანიჭებს. სამუშაო ძალა, ნაწილობრივ, ყმის კერძო (პირადი) საკუთრება ხდება. ამიტომაც წარმოების საშუალებებთან მათი შეერთების ფიზიკური იძულების წესი, ნაწილობრივ ეკონომიკური იძულებით იცვლება. ყმის ფეოდალზე ეკონომიკური დამოკიდებულება განპირობებულია წარმოების ძირითად საშუალებაზე — მიწაზე ფეოდალური საკუთრებით.

ფეოდალსა და ყმა-გლეხს შორის ურთიერთობის ორადი ბუნების გამო წარმოების საშუალებებთან ყმის სამუშაო ძალის შეერთება ორადი ხასიათის მატარებელია. ყმის ფეოდალზე პირადი დამოკიდებულების გამო, სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან შეერთება ძალდატანებითი ხასიათისაა, ხოლო მიწაზე ფეოდალური საკუთრების გამო — ეკონომიკური ხასიათის, ყმას და ფეოდალს შორის სამუშაო ძალის გამო დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობა ყიდვა-გაყიდვის ფორმას არ ღებულობს, რამეთუ ყმა ფეოდალის მიმართ პირად დამოკიდებულებაში რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე ძირითადია კაპიტალისტსა და მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკური ხასიათისაა და ემყარება სამუშაო ძალის ბაზარზე სამუშაო ძალის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას.

მუშაკი იურიდიულად თავისუფალია, ყოველგვარი გარეშე ეკონომიკური იძულება (ფიზიკური იძულება, პირადი დამოკიდებულება) წარსულს ბარდება. მუშაკი თავისი სამუშაო ძალის სრულუფლებიანი მესაკუთრე, ეკონომიკური სუბიექტი ხდება. ამასთან, იგი მოკლებულია წარმოების საშუალებებზე საკუთრებას, არ არის ეკონომიკურად თავისუფალი, რის გამოც, უხილავი ძაფებით ეჯაჭვება კაპიტალს. სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან შეერთება მუშაკის მიერ მისი გაყიდვით ხდება. სამუშაო ძალის გამო კაპიტალისტსა და მუშაკს შორის დამყარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უთავსდება ძირითად წარმოებით ურთიერთობას, ამიტომაც სამუშაო ძალა ვლინდება ისეთი ეკონომიკური ფორმით, როგორიცაა სასაქონლო ფორმა.

სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოიშობა სასაქონლო წარმოების განვითარების გარკვეულ სტადიაზე, რასაც საზოგადოების კაპიტალისტური სტადია ჰქვია და გაბატონებული, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის არსს გამოხატავს. სამუშაო ძალა, როგორც მოვლენა კაპიტალიზმამდელ სტადიებზეც არსებობდა, მაგრამ მისი, როგორც ეკონომიკური მოვლენის განვითარების კანონზომიერებათა დადგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობების დამახასიათებელი სამუშაო ძალის კატეგორიის ანალიზით და თავისებურებით ახსნით. სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის განვითარების დახასიათება ეს იგივე კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების განვითარების დახასიათებაა.

სამუშო ძალის სასაქონლო ფორმა უწინარეს ყოვლისა ასახავს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ სასაქონლო მიმოქცევას, სამუშაო ძალის საბაზრო გაცვლას. სამუშაო ძალის საბაზრო, ანუ თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა არაფრით არ განსხვავდება ყოველი სხვა სახის საქონლის ყიდვა-გაყიდვისაგან. სამუშაო ძალის სასაქონლო მიმოქცევა წარმოდგენილი უნდა იქნას, არა ს. ძ.-ფ-ს ფორმულის სახით, არამედ შემდეგნაირად: ს. ძ—(ფ—მ. ს.) — ს. ძ'. სადაც ს. ძ — სამუშაო ძალაა; ფ — ფულია; მ. ს. — სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საჭირო მოხმარების საგნები. ს. ძ'. — გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებული სამუშაო ძალაა.

ისტორიულად სამუშაო ძალის, როგორც საწარმოო ძალის, მიმოქცევა წარმოიშვა მარტივი სასაქონლო წარმოების გაჩენასთან ერთად. იგი საზოგადოების განვითარების კაპიტალიზმამდელ სტადიებზეც არსებობდა მონათა და გარკვეულწილად ყმათა გაყიდვის სახით. ამ დროს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდებოდა არა საკუთრივ სამუშაო ძალა არამედ მისი მატარებელი ადამიანი. სამუშაო ძალა არ ღებულობდა სასაქონლო ფორმას, რადგან მისი გაყიდვა ხდებოდა ძირითადი ურთიერთობის მიღმა, „მესამე პირის“ მიერ. სასაქონლო ფორმას ღებულობდა თვით სამუშაო ძალის მატარებელი ადამიანი. ადამიანის საქონლად გადაქცევით ხდებოდა სამუშაო ძალის სასაქონლო ნიშნების არაპირდაპირი რეალიზაცია. ამას ადასტურებს ის, რომ მონათა თუ ყმათა მყიდველის საბოლოო მიზანი სამუშაო ძალის, როგორც სახმარი ღირებულების, შეძენა იყო. სამუშაო ძალის მოძრაობის ასეთი თავისებურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმის კანონზომიერებათა კვლევა წმინდა (აშკარა) სასაქონლო ნიშნების მიხედვით არასაკმარისია.

სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების კაპიტალისტური შეერთების საბაზრო სტადიაზე სამუშაო ძალისა და ფულის მფლობელების სახით ჩნდებიან ინდივიდუალური კაპიტალისტისა და თავისუფალი მუშაკის ფიგურები. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც სრულუფლებიანი საქონელმფლობელები. სამუშაო ძალის მყიდველია ფულის მფლობელი, ხოლო სამუშაო ძალის გამყიდველი — თავისუფალი მუშაკი.

სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა მიუთითებს კაპიტალიზმის ძირითად წარმოებით ურთიერთობასთან მის კავშირზე. სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა არის ძირითადი წარმოებითი ურთიერთობის განხორციელების წესი, მისი აუცილებელი ფორმა. სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა, იმდენად უშუალო კავშირშია ძირითად ეკონომიკურ ფორმასთან, რომ სამუშაო ძალის საქონლურობით შეიძლება მსჯელობა კაპიტალისტური ურთიერთობების შესახებ. კაპიტალიზმის ძირითადი წარმოებითი ურთიერთობა ხორციელდება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ფორმით.

სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, ახასიათებს სამუშაო ძალას მეურნეობის გაძღოლის სასაქონლო ფორმის შიგნით ფუნქციონირების თვალსაზრისით, ხოლო სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმის განხილვა, როგორც კაპიტალის ან დაქირავებულის ახასიათებს სამუშაო ძალას, მეურნეობის სასაქონლო ფორმის შიგნით ჩამოყალიბებულ, ძირითად წარმოებით ურთიერთობასთან კავშირის თვალსაზრისით. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი არ არსებობს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ანუ სასაქონლო წარმოების საყოველთაობის გარეშე, ხოლო სამუშაო ძალა, როგორც დაქირავებული, გულისხმობს კაპიტალიზმის ძირითად წარმოებით ურთიერთობას. სამუშაო ძალა, როგორც ეკონომიკური კატეგორია გვევლინება არა ორი ეკონომიკური ფორმით (სასაქონლო და დაქირავების), არამედ ერთი ეკნომიკური ფორმის ორი მხარით. ამ ორი მხარის ერთმანეთთან დაპირისპირება, როგორც სამუშაო ძალის სასაქონლო და დაქირავების ფორმებისა არ შეიძლება. სამუშაო ძალის სასაქონლო და დაქირავების მხარეთა ერთმანეთისაგან გამოცალკევება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაგებული იქნას სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმის დამახასიათებელ, მთლიანობაში მის განმსაზღვრელ, ძირითად თვისებათა შორის კავშირი.

ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის (კაპიტალისტურ ურთიერთობათა ერთობლიობის) არსის გამომხატველი სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმის სასაქონლო და დაქირავების ნიშნები ჩნდება სასაქონლო წარმოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე. სამუშაო ძალის სასაქონლო ნიშანი ჩანასახობრივად არსებობს, ჯერ კიდევ, მონათმფლობელურ წყობილებაში და ვლინდება ფარულად, შემოვლითი გზით — მონათა ყიდვა-გაყიდვის სახით. სამუშაო ძალის დაქირავების ნიშანი დაკავშირებულია უშუალო მწარმოებლის მიერ ნაწილობრივად პირადი თავისუფლების მოპოვებასთან და ისახება, ჯერ კიდევ, ფეოდალურ წყობილებაში. ეს ნიშნები აშკარა სახით ვლინდებიან მხოლოდ კაპიტალისტურ წყობილებაში, როდესაც წარმოების პიროვნული ფაქტორი სრულ პირად თავისუფლებას აღწევს. ე. ი. სამუშაო ძალის სასაქონლო ნიშანი ისტორიულად უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე დაქირავების ნიშანი, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ლოგიკურად კაპიტალისტურ ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის შიგნით მოძრაობის თვალსაზრისით, ისინი ერთიმეორეს გარეშე არ არსებობენ, იგიურნი არიან. ამასთან, იგიურობა არ ნიშნავს ტოლობას. სამუშაო ძალა, როგორც საქონელი და სამუშაო ძალა, როგორც დაქირავებული, სამუშაო ძალის, როგორც ეკონომიკური მოვლენის ორი მხარეა. ისინი ახასიათებენ მას სხვადასხვა თვალსაზრისით.

კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია თავისუფალი საბაზრო მექანიზმის მოშლასთან (და არა, საერთოდ სასაქონლო წარმოების მოშლასთან, როგორც თვლიდა ვ. ი. ლენინი), რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სამუშაო ძალის სასაქონლო მოძრაობაზე, მის სასაქონლო ფორმაზე. ეს ზეგავლენა გამოიხატება იმით, რომ საქონლის წარმოება-გასაღების სფეროში მონოპოლიების გაბატონება სამუშაო ძალის თავისუფალი საბაზრო მიმოქცევის სფეროს ზღუდავს, სამუშაო ძალის საქონელგაცვლის სუბიექტთა წრე ვიწროვდება. სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მოქმედების სფეროს შეზღუდვა იწვევს სამუშაო ძალის სასაქონლო ნიშნის გეგმაზომიერების ნიშნით შეცვლას. კერძოდ, მონოპოლიები სამუშაო ძალის დაქირავების სტიქიურ პროცესს მოწესრიგებულ, გეგმაზომიერ ხასიათს ანიჭებენ. ამ დროს, სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა შენარჩუნებულია, მაგრამ იგი კარგავს მისი გამოვლენის საბაზრო, სტიქიურ ნიშანს. მონოპოლიების შიგნით კი, სამუშაო ძალის მოძრაობა მისი ყიდვა-გაყიდვის გარეშე ხდება.

ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიაზე გეგმაზომიერების ჩარჩოებში ექცევა, როგორც ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის ნაწილის დაქირავება, წარმოების საშუალებებთან მათი შეერთება, ისე კაპიტალად ქცეული სამუშაო ძალის მოძრაობა, მონოპოლიების შიგნით.

მონოპოლიების მიერ სამუშაო ძალის ბაზრის ნაწილის გეგმაზომიერი რეგულირება, ჯერ კიდევ, არ ნიშნავს, რომ იგი იქცა სამუშაო ძალის მოძრაობის საყოველთაო ფორმად. გეგმაზომიერება არ გულისხმობს ეკონომიკური (სტიქიური) კანონების გაქრობას. გეგმაზომიერების მიღმა რჩება სტიქიური, უცნობი ბაზარი და შესაბამისად ეკონომიკური კანონების მოქმედების სფეროც. მართალია, მონოპოლისტურ სტადიაზე სამუშაო ძალა კარგავს საქონლურობას, მაგრამ მისი მოძრაობის მთავარ რეგულატორად მაინც რჩება ძირითადი ეკონომიკური კანონი და სამუშაო ძალის ღირებულების კანონი. ეს ნიშნავს, რომ სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან შეერთება ინარჩუნებს დაქირავების ნიშანს.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი წარმოადგენს კლასიკური კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა პირდაპირ გაგრძელებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წარმოების კონცენტრაციასთან ერთად, სულ უფრო გაფართოებული მასშტაბით ერთმანეთს უპირისპირდება ერთობლივი კაპიტალისტი და ერთობლივი სამუშაო ძალა. ინდივიდუალური სამუშაო ძალის ერთობლივ სამუშაო ძალად გადაქცევის, თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ფორმის ადგილს, სულ უფრო, იჭერს კაპიტალიზმის მიერ უშუალო მწარმოებელთა პირდაპირი დამორჩილების, გარეშე ეკონომიკური იძულების ფორმა. ერთობლივი სამუშაო ძალა კაპიტალის ფუნქცია ხდება.

ნათელია, რომ სამუშაო ძალის გეგმაზომიერი მოძრაობა, გარკვეულწილად, ცვლის რა სამუშაო ძალის სასაქონლო მოძრაობას, კაპიტალიზმის ძირითადი ურთიერთობის განხორციელების სამსახურში დგება. კაპიტალიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



განვითარების მონოპოლისტურ სტადიაზე სამუშაო ძალის საზოგადოებრივი ფორმის სასაქონლო ნიშნის შეცვლა გეგმაზომიერების ნიშნით არ ეხება კაპიტალიზმის ძირითად წარმოებით ურთიერთობას. სწორედ, ამიტომ ხდება სამუშაო ძალის გეგმაზომიერი ფუნქციონირების ნიშნების დამკვიდრება მონოპოლიების შიგნით.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში არამონოპოლიზირებული კაპიტალისტური და წვრილსასაქონლო სექტორების არსებობა, სახელმწიფოს მიერ ანტიმონოპოლისტური კანონების მიღება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მონოპოლიების შიგნით არსებული გეგმაზომიერი, უშუალო-საზოგადოებრივი ურთიერთობები იქცნენ ეკონომიკის, კერძოდ, სამუშაო ძალის მოძრაობის საყოველთაო ფორმად. ფაქტობრივად, ეს შეუძლებელიცაა, რამეთუ მონოპოლიზაცია სრულებით არ გულისხმობს სამუშაო ძალის, როგორც საქონლის გაქრობას. მონოპოლიების გაბატონების შედეგად სამუშაო ძალის მყიდველის როლში კაპიტალისტთა მცირე ჯგუფის გამოსვლა არ იწვევს სამუშაო ძალის სასაქონლო მიმოქცევის შინაარსის რადიკალურ ცვლილებას.

მართალია, მონოპოლიებში გეგმაზომიერი ურთიერთობების გაჩენით ვიწროვდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვრცობადობის სფერო, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათი როლის შევიწროებას. თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკაში ეკონომიკური ფორმები გეგმაზომიერების ნიშნებს იძენენ. ეს ნიშნები ორგანულად არიან დაკავშირებული ეკონომიკურ ფორმებთან და ძირითადი ურთიერთობის განხორციელებას ემსახურებიან. კაპიტალისტური წარმოების წიაღში გეგმაზომიერების ნიშნების გაჩენა ობიექტური აუცილებლობაა. იგი წარმოიშობა, როგორც რეაქცია ბაზრის სტიქიის მიმართ, როგორც ძირითადი ეკონომიკური კანონის ეფექტიანი განხორციელების ფორმა. მას უკუზეგავლენის მოხდენაც შეუძლია ძირითადი ეკონომიკური კანონის მიმართ, მაგრამ მხოლოდ, იმ დონით, რომ საფრთხე არ შეუქმნას კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონების რეალიზაციის მექანიზმს — კონკურენციას, რომელსაც სახელმწიფო იცავს.

გეგმაზომიერებას თავისი ბუნებრივი, ევოლუციური განვითარების გზით კაპიტალიზმის პირობებში არ ძალუძს იქცეს საყოველთაო, გაბატონებულ ურთიერთობად, თუმცა ამის ტენდენცია სულ უფრო მძლავრობს. გეგმაზომიერების სფეროს გაფართოება კაპიტალიზმის პირობებში არ გულისხმობს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა როლის უარყოფას. გეგმაზომიერება არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ბაზრის სტიქია და მისი დამახასიათებელი კანონები, გეგმაზმიერება უნდა განვიხილოთ, როგორც კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაზე ბაზრის დამახასიათებელი ერთ-ერთი ეკონომიკური (სტიქიური) კანონ-ტენდენცია.

ოქტომბრის რევოლუციამ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობით და სახელმწიფოს, როგორც ერთობლივი კაპიტალისტის ხელში მათი მონოპოლისტური ცენტრალიზაციით, დასაბამი მისცა საზოგადოებრივი სამუშაო ძალის დირექტიულ მოძრაობას და, აქედან გამომდინარე, დირექტიულ-საგეგმო ურთიერთობათა საყოველთაობას. კონკურენცია, როგორც ეკონომიკურ კანონთა რეალიზაციის მექანიზმი ქრება. მის ადგილს იჭერს ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმი. ეკონომიკა არსებითად ფუნქციონირებს ცენტრალიზებული გეგმების მიხედვით. ბაზრის სტიქიური კანონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტიული გეგმების ჩარჩოებში არის მოქცეული, სასაქონლო ფულადი ურთიერთობების მოქმედების სფერო უაღრესად შეზღუდულია.

გეგმაზომიერებას, როგორც ეკონომიკურ კანონს აქ იგივე ადგილი უჭირავს, რაც ბაზრის სხვა სტიქიურ კანონებს. ამიტომ მცდარია შეხედულება, თითქოს სახელმწიფო ეკონომიკაში სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმა გეგმაზომიერი ფორმით იცვლებოდეს და გეგმაზომიერება ეკონომიკის მოძრაობის საყოველთაო ფორმას წარმოადგენდეს.

სამუშაო ძალის სასაქონლო და გეგმაზომიერი ფორმები წარმოადგენენ სასაქონლო წარმოების საყოველთაობისა და გეგმაზომიერი წარმოების საყოველთაობის მაჩვენებელს. სამუშაო ძალის გეგმაზომიერი ფორმა სასაქონლო ფორმის უარყოფაა და ამდენად, მათი თანაარსებობა შეუძლებელია, მაშინ, რა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს სამუშაო ძალა სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში?

სახელმწიფო ეკონომიკა არის დეფორმირებული საზოგადოების ეკონომიკა და მისი დამახასიათებელი ეკონომიკური კატეგორიებიც შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმების სახით.

სახელმწიფო ეკონომიკის დეფორმირებულ ხასიათზე მიუთითებს, უწინარეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი წარმოებითი ურთიერთობა, მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ურთიერთობის მოდიფიცირებული ვარიანტია. სახელმწიფო ეკონომიკა წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა განვრცობას მთელ საზოგადოებრივ წარმოებაზე, იმ განსხვავებით, რომ ერთობლივი კაპიტალისტისა და ერთობლივი სამუშაო ძალის ნაცვლად აქ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფო, როგორც ერთადერთი კაპიტალისტი და მთელი საზოგადოებრივი სამუშაო ძალა. ინდივიდუალური სამუშაო ძალის საზოგადოებრივ სამუშაო ძალად გადაქცევა დირექტიულად ხდება, წინასწარ ფიქსირებული საგეგმო ფასების მიხედვით. სამუშაო ძალის დაქირავების სახელმწიფო სისტემის ბატონობით ადამიანი კარგავს თავის სამუშაო ძალაზე საკუთრების უფლების თავისუფალი ეკონომიკური რეალიზაციის შესაძლებლობას და სახელმწიფოს მიმართ პირად დამოკიდებულებაში ექცევა. ექსპლუატაციის ურთიერთობა აქ არ იფარება სამუშაო ძალის საქონელმიმოქცევის ფორმით. იგი გამოდის სახელმწიფოს მიერ მთელი საზოგადოებრივი სამუშაო ძალის აშკარა, პირდაპირი დამორჩილების დირექტიული ფორმით. სამუშაო ძალის დირექტიული მოძრაობა ცვლის სამუშაო ძალის სასაქონლო მოძრაობას და სახელმწიფო ეკონომიკის ძირითადი ურთიერთობის განხორციელების ფორმა ხდება.

მეურნეობის განხორციელების თვალსაზრისით, სახელმწიფო მეურნეობა არის, არა სასაქონლო (საბაზრო) ან კიდევ გეგმაზომიერი, არამედ დირექტიული. იგი მოვლენათა ზედაპირზე სამეურნეოანგარიშებრივი ფორმით ვლინდება. სამეურნეოანგარიშიანობა არის სახელმწიფო მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკური ფორმა და ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: სახელმწიფოებრივი დაგეგმვა; სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმი; მთელი სახალხო მეურნეობის დამოჩილება სახელმწიფო ინტერესებისადმი და სხვ. სამეურნეოანგარიშიანობა თავის სპეციფიკურობასთან ერთად გარკვეული ზოგადობითაც ხასიათდება. კერძოდ იგი გულისხმობს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამომხატველ კატეგორიებს: ფასი, მოგება, კრედიტი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში ეს კატეგორიები მოკლებულნი არიან თავიანთ რეალურ შინაარსს, რამეთუ განცალკევებული საქონელმწარმოებლების ნაცვლად ერთი გიგანტი „საქონელმწარმოებლის“ გაჩენით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მოქმედების სფერო იზღუდება. ეკონომიკის ადგილს დირექტონომიკა იჭერს, მართვის ბიუროკრატიული მექანიზმითურთ. ასეთ პირობებში, სამეურნეოანგარიშიანობა გვევლინება, როგორც დირექტიული ურთიერთობების ეკონომიკური გარსით წარმოდგენა.

სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალა გვევლინება. არა სასაქონლო ან გეგმაზომიერი ფორმით, არამედ დირექტიული ფორმით, რომლის ეკონომიკურ გარსს სამეურნეოანგარიშიანობა წარმოადგენს. სამუშაო ძალის დირექტიული ანუ სამეურნეოანგარიშებრივი ფორმით წარმოდგენა სამეურნეოანგარიშიანობის საყოველთაობად, გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობად გადაქცევას გულისხმობს. სამეურნეოანგარიშიანობა სახელმწიფო ეკონომიკის მოძრაობის საყოველთაო ფორმა ხდება.

სამუშაო ძალის სამეურნეო ანგარიშობრივი ფორმა ასახავს ურთიერთობას რომელიც დირექტიულად მყარდება წარმოების საშუალებათა ერთადერთ მესაკუთრე სახელმწიფოსა და მუშაკს შორის. თავისი სამუშაო ძალის გამოყენების უფლების რეალიზაციის გამო სამუშაო ძალის სამეურნეო ანგარებრივი ფორმა მოიცავს სამუშაო ძალის, როგორც სასაქონლო და დაქირავების ნიშნებს, ისე გეგმაზომიერების ნიშნებს. სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში დირექტიულობა ასრულებს იგივე ფუნქციებს, რასაც ასრულებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღირებულების კანონი და მონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიაზე გეგმაზომიერება.

სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან შეერთება ხდება არა სამუშაო ძალის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის გზით, არა ღირებულების კანონის მოქმედებით ან კიდევ გეგმაზომიერების კანონის მოქმედებით (მათი მოქმედებისათვის აქ არ არსებობს შესაბამისი პირობები, ბაზრის სტიქია), არამედ — დირექტიულად. დირექტიულობა, სამეურნეოანგარიშიანობა, სახელმწიფო ეკონომიკის ამოსავალი წარმოებითი ურთიერთობა და ამავე დროს საყოველთაობაა. დირექტიულობა საყოველთაობისაგან უნდა გავარჩიოთ მისი სიმწიფის ხარისხით. დირექტიულობის საყოველთაობა განპირობებულია სამუშაო ძალის დირექტიული ფორმით, ხოლო მისი სიმწიფის ხარისხი — დირექტიულობასთან ერთად იმ სასაქონლო და გეგმაზომიერების კავშირების არსებობით, რომლებიც უკუზეგავლენას ახდენენ თვით დირექტიულობაზე. დირექტიულობის შევსება გეგმაზომიერებითა და საქონლურობით კი არ ეხება სახელმწიფო ეკონომიკის ძირითადი ურთიერთობის დირექტიულობას, არამედ მისი განხორციელების სამსახურში მოქცევას გულისხმობს. ამასთან, ეს არ გულისხმობს იმას, რომ სამუშაო ძალა დირექტიულ ფორმასთან ერთად შეიძლება გამოვლინდეს სასაქონლო ან გეგმაზომიერების ფორმით. სამუშაო ძალის დირექტიული მოძრაობის გაშუალება გეგმაზომიერების ან საქონლურობის ნიშნებით ისევე, როგორც დირექტიულობის ნიშნების არსებობა სასაქონლო ფორმაში, არ ნიშნავს სამუშაო ძალის ნახევრად სასაქონლო, ან ნახევრად დირექტიული ფორმების არსებობას.

სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის გადაქცევა დირექტიულ (სამეურნეო-ანგარიშებრივი ურთიერთობების ამსახველ) ფორმად არ ნიშნავს ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ეკონომიკური ფორმის წარმოშობას. იგი მხოლოდ მოდიფიცირებული არასრულყოფილი ფორმაა.

სამუშაო ძალის კაპიტალისტური ფორმა სასაქონლო ნიშნის გარდა მოიცავს დაქირავების ნიშანსაც. სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის ეკონომიკური ფორმის ეს ნიშანიც გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის. იგი გვევლინება საზოგადოებრივი სამუშაო ძალის სახელმწიფოებრივი დაქირავების სახით და სახელმწიფო ეკონომიკის ძირითად ურთიერთობას გულისხმობს.

სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში დაქირავებული შრომის სისტემა წარმოგვიდგება, როგორც შეთანხმება წარმოების საშუალებათა მონოპოლისტურ მესაკუთრე სახელმწიფოსა და საკუთრების უფლებას მოკლებულ მუშაკს შორის. სამუშაო ძალის ბაზარზე მონოპოლიური ბატონობის გამო სახელმწიფო აიძულებს მუშაკებს კაბალურ პირობებზე დათანხმდნენ. ხელშეკრულება, რომელიც იდება შრომითი ურთიერთობების გამო სამუშაო ძალის გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის არ არის ურთიერთხელსაყრელი. იგი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ სამუშაო ძალის ექსპლუატაციის დაკანონება.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალა ვლინდება დირექტიული ფორმით, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ერთი მხრივ, მოდიფიცირებული სასაქონლო (სამეურნეო ანგარიშებრივი) და დაქირავების ნიშნები, მეორე მხრივ — გეგმაზომიერების ნიშნები.

ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკიდან თავისუფალ-საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სამუშაო ძალის მოძრაობის დირექტიული (სამეურნეოანგარიშებრივი) ფორმა საყოველთაო ხასიათს თანდათან კარგავს. სამეურნეო ცხოვრებაში რეალური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის დამკვიდრებასთან ერთად, სასაქონლო ნიშნის მიხედვით, სამუშაო ძალის მოძრაობის სფერო, სულ უფრო, ფართოვდება. სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს მონოპოლიური მდგომარეობის რღვევასთან ერთად სამუშაო ძალის მოძრაობის დირექტიული ფორმა სასაქონლო ფორმით იცვლება.

**А. БЕРИДЗЕ**

## ДВИЖЕНИЕ РАБОЧЕЙ СИЛЫ НА РАЗНЫХ ЭТАПАХ ОБЩЕСТВЕННОГО РАЗВИТИЯ

Резюме

В статье освещены методологические вопросы исследования закономерностей экономической формы рабочей силы. Охарактеризованы исторические ступени превращения рабочей силы в объект товарно-денежных (экономических) отношений. Показаны особенности проявления экономической формы рабочей силы в условиях домонополистического капитализма, монополистической стадии капитализма и бюрократизма (государственной экономики).

Сделан вывод, что в условиях государственной экономики рабочая сила принимает не товарную или планомерную, а директивную форму, для которой характерны как товарные, так и планомерные элементы.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართალი

ზურაბ ნაჭყებია

## დანაშაულისა და სასჯელის ცნებათა თანაფარდობის პრობლემა და სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი

სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა აზრი, რომ დანაშაული და სასჯელი სისხლის სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს[1]. იგივე აზრი ბატონობდა ყოფილ საბჭოთა კავშირშიც[2]. მხოლოდ ამ საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან ჩნდება შეხედულება, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის აგებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებანი[3]. ეს მოსაზრება საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სისხლის სამართლის მეცნიერება სისხლის სამართლის კანონშემოქმედებას გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დებულება სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ჯერ ერთი, განსაზღვრული კანონზომიერება მოქმედებს მეცნიერების საგანში, მაგრამ მეცნიერების საგანი ამ საგანში მოქმედ კანონებზე თუ კანონზომიერებაზე არ დაიყვანება. მსოფლიო მიზიდულობის კანონი მოქმედებს ფიზიკის, როგორც მეცნიერების, საგანში, მაგრამ ფიზიკის საგანი ფიზიკის კანონებზე არ დაიყვანება. მეორეც, მეცნიერების საგანი არ შეიძლება კავშირში არ იყოს მეცნიერების ცნებათა სისტემასთან, განსაკუთრებით მეცნიერების პირველად, ამოსავალ, ძირითად ცნებასთან, რომელიც ლოგიკურად უნდა მიუთითებდეს მეცნიერების საგანზე. მართლაც, ცნობილია, რომ ცნება არის აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, რომელიც საგანს არსებითი ნიშნების მიხედვით გამოთქვამს. ცნება, ერთი მხრივ, არის სინამდვილის შემეცნების შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, — სინამდვილის შემეცნების საშუალება. მით უმეტეს, რომ მეცნიერება მხოლოდ ცნებითი და კატეგორიალური აზროვნების დონეზეა შესაძლებელი. მაგრამ რომელი ცნებაა სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველადი, ამოსავალი ცნება, რათა ამ ცნების მიხედვით ვიმსჯელოთ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანზე.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართალში ორი უძირითადესი ცნება არსებობს — დანაშაულის ცნება და სასჯელის ცნება. რომელი ცნებაა აქ პირველადი, ამოსავალი ცნება — დანაშაულის ცნება თუ სასჯელის ცნება? მეორენაირად, რომელი ცნების პირველადობის პრინციპით უნდა აიგოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა? ერთი შეხედვით, ამგვარი კითხვის და-

---

[1] Сергиевский Н. Преступление и наказание как предмет юридической науки, «Юридический вестник московского юр. общества, 1879, № 2.

[2] Советское уголовное право, часть общая, М., 1952, с. 14.

[3] Ковалев М. И., Кудрявцев В. Н., Комплексные криминолого-правовые исследования, «Советское государство и право», 1975, № 1, с. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმა უსაზრისო ჩანს, ვინაიდან სალი პრაქტიკული აზრიც კი მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ დანაშაული უნდა იქნეს ჩადენილი, რათა მის მიმართ სასჯელის გამოყენებაზე ვილაპარაკოთ. ამ სალი, პრაქტიკული თვალსაზრისით, პირველადი ცნება უნდა იყოს დანაშაულის ცნება და არა სასჯელის ცნება. სასჯელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოებრივი ზომაა და, მაშასადამე, გაპირობებულია დანაშაულის ჩადენით, წინააღმდეგ იმ მოსაზრებისა, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა უნდა აიგოს სასჯელის ცნების პირველადობის პრინციპით, ლიტერატურაში ითქვა, რომ ამ მოსაზრების ლოგიკით, ჯერ უნდა გამოვიგონოთ წამალი, რომლის სამკურნალო ავადმყოფობა არ არსებობს. მაშასადამე, ჯერ უნდა ვიცოდეთ დანაშაულის არსი, მისი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, რათა შემდეგ შევარჩიოთ მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, მათ შორის — სასჯელიც. მაშასადამე, სისხლის სამართალში პირველადი, ამოსავალი ცნება უნდა იყოს დანაშაულის ცნება, ხოლო სასჯელის ცნება — მეორადი, რომელიც გაპირობებულია დანაშაულის ცნებით. ასე წყდებოდა ეს საკითხი ყოფილ საბჭოთა კავშირში. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კანონმდებლობაში ჯერ განმარტებულია დანაშაულის ცნება, ხოლო შემდეგ — სასჯელის ცნება. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ყველა სახელმძღვანელო აგებულია დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა უნდა აიგოს დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით. მაგალითად, ნ. დურმანოვი აკრიტიკებდა მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა სასჯელის პირველადობის პრინციპით უნდა აიგოს. მისი აზრით, ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომელნიც სისხლის სამართალში სასჯელის პირველადობაზე ლაპარაკობენ, ამოდიან იქიდან, რომ სასჯელი სისხლის სამართლის სპეციფიკური ატრიბუტია, რომლითაც სისხლის სამართალი სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავდება[4]. ცხადია, სასჯელი და ნასამართლობა სისხლის სამართლის ერთ-ერთ სპეციფიკას შეადგენს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სისხლის სამართალში სასჯელის პირველადობის მოთხოვნას სულ სხვა საფუძველი აქვს, თუმცა ეს საფუძველი იშვიათად თუ ყოფილა გაცნობიერებული.

ა. სახაროვი წერდა: „სისხლის სამართლის ცენტრალურ ცნებას დანაშაულის ცნება წარმოადგენს. სისხლის სამართლის მთელი შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები განუყრელად უკავშირდებიან ამ ცნებას...“[5] ა. ტრაინინი წერდა, რომ „ფაქტობრივადაც და ლოგიკურადაც დანაშაული წინ უსწრებს სასჯელს: ვიდრე სასჯელის საკითხი დადგება, ჩადენილი უნდა იქნეს დანაშაული. სასჯელის სისტემა არსებითად ასრულებს დამხმარე როლს ჩადენილ დანაშაულობასთან ბრძოლის ზომების სახით“[6]. ე. ჯებეკაევი დანაშაულისა და სასჯელის ერთდროულობიდან ამოდის და ამტკიცებს, რომ „შეუძლებელია

---

[4] Дурманов Н. Д., Понятие преступления, М.—Л., 1948, с. 8.

[5] Сахаров А. Б., Понятие преступления по советскому уголовному праву, М., 1973, с. 6.

[6] Трайнин А. Н., Состав преступления по советскому уголовному праву, 1951, с. 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დანაშაულის ცნების არსებობა სასჯელის გარეშე და სისხლისსამართლებრივი სასჯელისა დანაშაულის გარეშე“[7].

ამრიგად, საბჭოურ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემა დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით იყო აგებული და თეორიულადაც ეს აზრი ბატონობდა. სისხლის სამართალში სასჯელის პირველადობის პრინციპი არამეცნიერულად მიაჩნდათ.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ კაპიტალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში? უნდა ითქვას, რომ აზრთა ერთიანობა ამ საკითხში არც ყოფილა. რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში იყვნენ კრიმინალისტები, რომელნიც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემას იწყებდნენ დანაშაულის ცნების პირველადობის პრინციპით, ხოლო ნაწილი კრიმინალისტებისა — სასჯელის პირველადობის პრინციპით. მაგალითად, ნ. ტაგანცევი თავდაპირველად განიხილავს დანაშაულის ცნებას, ხოლო შემდეგ — სასჯელის ცნებას[8]. იგივე გზას ირჩევდა ნ. სერგიევსკიც[9], ლ. ვლადიმიროვიც![10]. საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა ა. კისტიაკოვსკი. მისი აზრით, სისხლის სამართალში „პირველადი ადგილი უეჭველად ეკუთვნის სასჯელს. მასში გამოიხატება სისხლის სამართლის სული, იდეა“[11]. ა. ჟიჟილენკო ამტკიცებდა, რომ „სასჯელის საკითხი — ეს მთელი სისხლის სამართლის ძირითადი საკითხია. სასჯელით ხასიათდება თვით დანაშაულებრივი ქმედებაც, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დასჯადი, აკრძალული ქმედობა“[12]. ავტორის დასკვნით, „სასჯელის ცნების, როგორც ძირითადი საკითხის, ანალიზით უნდა დაიწყოს თვით სისხლის სამართლის მეცნიერების განხილვა“[13].

ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც. მაგალითად, ე. შმიდჰოიზერი საერთოდ არ ეხება სადავო საკითხს დანაშაულის ცნებისა და სასჯელის ცნების თანაფარდობის საკითხს, მაგრამ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემას სასჯელის ცნების პირველადობით იწყებს[14]. თვით ფინალურ თეორიაშიც კი ველცელი დანაშაულის ცნებიდან ამოდის[15], ხოლო მაურახი — სასჯელის ცნებიდან[16].

ლიტერატურის ანალიზი ამ თვალსაზრისით შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ უკვე მიმოხილული ლიტერატურიდან ჩანს, რომ დანაშაულისა და სასჯელის ცნებათა თანაფარდობის პრობლემა ბოლომდე გაურკვეველია. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ დღემდე სათანადოდ არ არის გარკვეული სისხლის სამართლის მეცნიერების ბუნება და საზღვრები. მართლაც, დავას არ

---

7 Джекебаев У. С., Цели уголовного наказания и их значение для криминологии, «Криминологические и уголовно-правовые проблемы наказания», Алма-Ата, 1983, с. 7.

8 Таганцев Н., Русское уголовное право, часть общая, С.-Петербург, 1902.

9 Русское уголовное право, Пособие к лекциям Н. Д. Сергиевского, часть общая.

10 Владимиров Л. Е., Учебник русского уголовного права, общая часть, Харьков, 1889.

11 Кистяковский А. Ф., Элементарный учебник русского уголовного права..., часть общая, Киев, 1982, с. 764.

12 Жижиленко А. А., Наказание, его понятие и отличие от других правоохранительных средств, Петроград, 1914, с. 4.

13 Schmidhäuser, Strafrecht Allg. Teil, 1970.

14 H. Welzel, Das Deutsche Strafrecht, 1958.

15 R. Maurach, Deutches Strafrecht, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც კერძო იურიდიული მეცნიერება, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ამოცანებითაა გამოწვეული. კერძო მეცნიერებას კი თავისი ბუნება და საზღვრები აქვს. ამ თვალსაზრისით, ცხადი უნდა იყოს, რომ კერძო მეცნიერებას ლოგიკურადაც არ შეუძლია თავის სისტემაში განიხილოს ისეთი საკითხი, როგორიცაა სასჯელზე სახელმწიფოს უფლება. მართლაც, ცნობილია, რომ „სასჯელზე სახელმწიფოს უფლება“ გაცხარებული დისკუსიების საგანი იყო. ფილოსოფოსები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, პუბლიცისტები და სპეციალისტები (კრიმინალისტები) განუწყვეტლივ კამათობდნენ იმის შესახებ, აქვს თუ არა სახელმწიფოს იმის უფლება, რომ დააკანონოს განსაზღვრული ტიპის ქმედობათა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა? ამ საკითხზე უზარმაზარი ლიტერატურაა შექმნილი. იყვნენ ავტორები, რომელნიც ამა თუ იმ არგუმენტებით ამართლებდნენ სასჯელზე სახელმწიფოს უფლებას. მაგრამ ამ უფლების უარმყოფლებიც არ იყვნენ ცოტანი. მაგალითად, სერნო სოლოვიოვიჩი ამტკიცებდა, რომ არც ერთ ხალხში არც ერთ სასჯელს დღემდე არც ერთი დანაშაული არ აღუკვეთია. მატერიალური მდგომარეობა და განათლება უფრო მტკიცე ზღუდეა დანაშაულის წინააღმდეგ, ვიდრე სასჯელი. ამიტომ სცდებიან ის კრიმინალისტები, რომელნიც სასჯელის გამართლებას ცდილობენ. პირიქით, კეთილსინდისიერი და ღრმა მკვლევარი აუცილებლობით უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ „*სასჯელს თავისი არსით არა აქვს არავითარი მართლზომიერი საფუძველი, ხოლო თავისი შედეგებით იგი ნავარაუდევ მიზანს ვერ აღწევს. ის საერთო ცხოვრების აუცილებელი ელემენტი არ არის; ის ბოროტებაა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა არანორმალურობითა და უმეცრების გამოისობითაა გაპირობებული*“[16] (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ.).

ამრიგად, ავტორი უარყოფს სასჯელის ცნებას, მის არსს, რადგან სასჯელი, მისი აზრით, ბოროტება ყოფილა. მაშასადამე, სახელმწიფოს დასჯით უფლებას გამართლება არ ჰქონია. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ავტორი აქ დგას ფილოსოფიურ პოზიციაზე, ვინაიდან მისი მსჯელობის შინაარსი ვერც ერთ კერძო მეცნიერებაში ვერ თავსდება. ამდენად, ამგვარი მსჯელობა სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც კერძო მეცნიერების, პოზიციიდან შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ ავტორი აკრიტიკებს იმ ფილოსოფიურ საწყისებს, რომელთა სასჯელის გასამართლებლად იყენენებდნენ. მისი აზრით, „სისხლისსამართლებრივი მეცნიერების ფუნდამენტად მიჩნეულია რამოდენიმე მეტაფიზიკური დებულება, ხოლო მეტაფიზიკას არც ერთი დასაბუთებული დებულება არ გააჩნია, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მეცნიერება მათ იღებს როგორც დასაბუთებულ, უდავო დებულებებს და მათზე თავის დასკვნებს ამყარებს“[17].

ცხადი ხდება, რომ „მეტაფიზიკა“ აქ ნიშნავს „ფილოსოფიას“, რომელსაც თურმე არც ერთი დასაბუთებული დებულება არ გააჩნია. მაგრამ აქ ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ ფილოსოფიის კრიტიკა ფილოსოფიის პოზიციიდან ხდება შესაძლებელი. ფილოსოფიის კრიტიკა ისევე ფილოსოფიაა, რადგან ზოგადზე რეფლექსია მხოლოდ ზოგადს შეუძლია. მაშასადამე, სასჯელზე სახელმწიფოს

---

[16] Примечание Н. А. Серно-Соловьевича, К «Деонтологии..,» Бентама. «Вопросы философии, 1984, № 7, с. 140—141.

[17] იქვე, გვ. 141

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლების პრობლემა თავისი არსით ფილოსოფიური პრობლემაა, რომელიც, ცხადია, ფილოსოფიის პოზიციიდან გადაწყდება. აქედან გამომდინარეობს, რომ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემად ვერ ჩაითვლება. შემთხვევითი არ არის, რომ სასჯელის ცნობილი თეორიები შესატყვისი ფილოსოფიური სისტემების შედეგებს წარმოადგენენ. მაგალითად, სასჯელის აბსოლუტური თეორიები კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური სისტემებიდან არის შემუშავებული. მაგრამ, სამწუხაროდ, სასჯელის ცნობილი თეორიები, როგორც წესი, სისხლის სამართლის მეცნიერების შინაარსში შეჰქონდათ. მაგალითად, ა. ბერნერი საკმაოდ განიხილავს სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემას, ეხება სასჯელის თეორიებს, ხოლო თვითონ, როგორც ეს ჩანს, აბსოლუტური თეორიის წარმომადგენელია. მაგრამ ყოველივე ამ საკითხს ავტორი სისხლის სამართლის მეცნიერების შინაარსში ათავსებს[18]. ცხადია, ეს ავტორის შეცდომაა, რადგან სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც კერძო მეცნიერება, სრულიადაც არაა ამგვარი უსაზღვრო და გაურკვეველი, რომ მასში მექანიკურად „ვყაროთ" სხვადასხვა მეცნიერების საკითხები. ასევე გაურკვეველია სისხლის სამართლის მეცნიერების ბუნება ს. პოზნიშევის ნაშრომშიც. ავტორი ამტკიცებს, რომ იმის გამოკვლევა, თუ როგორი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება, როგორც იდეალი, შეადგენს სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანას[19]. მისი აზრით, არა უბრალოდ იმის აღწერა, რაც იყო და არის, არამედ მითითება იმაზე, რაც უნდა იყოს შესასწავლ სფეროში და არსებულის კრიტიკული შეფასება, — აი, რა ქმნის სისხლის სამართლის მეცნიერების მთავარ შინაარსს[20]. ცხადია, ამ ლოგიკით სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ავტორი ამტკიცებს, რომ „საკითხი სისხლისსამართლებრივი სასჯელის საფუძვლების, გამართლების შესახებ მთავარი, ყველაზე უფრო კაპიტალური საკითხია სისხლის სამართლის მეცნიერებისა, ამავე დროს ყველაზე უფრო რთული და ძნელი"[21]. მაგრამ ავტორი წინააღმდეგობაშივარდება, როდესაც სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემას სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემად აცხადებს, მაგრამ ამავე დროს ეხება სისხლის სამართლის მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს და ცდილობს პოზიტივისტური მეთოდით გავიდეს ფონს, საერთოდ უარყოს ფილოსოფია. მისი აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერებაში არავითარი მეტაფიზიკური პრინციპები არ უნდა მივიღოთ. კრიმინალისტმა თავიდან უნდა მოიშოროს მეტაფიზიკით ყოველგვარი გატაცება და მთლიანად მიიღოს პოზიტიური მეთოდი[22]. მაგრამ ავტორი ლოგიკურ წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი. ჯერ ერთი, ლოგიკურადაც შეუძლებელია უარყოფა მეტაფიზიკისა, როგორც ფილოსოფიისა, ვინაიდან ფილოსოფიის უარყოფა კვლავ ფილოსოფიას მოითხოვს, ხოლო ეს ფილოსოფიის აღიარებაა. მეორეც, სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემა არ არის, ვინაიდან მისი ფილო-

---

19 Бернер А. Ф., Учебник уголовного права, часть общая, С.-Петербург, 1865, с. 5—6.

20 Познишев С. В., Основные начала науки уголовного права, 1912, с. 2.

20 იქვე, გვ. 2.

21 იქვე, გვ. 40,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიური ხასიათის გამო იგი ფილოსოფიაში უნდა დაისვას და გადაწყდეს. უფრო სწორად, უნდა გაცნობიერდეს, რომ „სასჯელზე სახელმწიფოს უფლება“ არის კატეგორია, რომელიც თავისი არსით ფილოსოფიურია. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემის ბუნება საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც არ ყოფილა გაცნობიერებული, ვინაიდან თავად სისხლის სამართლის მეცნიერების ცნება, ბუნება და საზღვრები არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. მაგალითად, ა. ტრაინინი იმ დიდ ყურადღებას, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნებში სასჯელის დასაბუთებას უთმობდნენ, მათ შორის „სასჯელზე სახელმწიფოს უფლებას“, ყალბ მეცნიერულ მიმართულებას უწოდებს[23]. სინამდვილეში არაფერი ყალბი იმაში არ არის, თუ სპეციალურად დაისმის საკითხი სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთებისა ან უარყოფისა, რადგან ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს საკითხი ემსახურება სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში სახელმწიფოს თვითნებობის აღკვეთის ამოცანებს და მასში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის მოთხოვნას. მაგრამ საბჭოთა იმპერიულ სახელმწიფოში აღნიშნული საკითხი არავის დაუსვამს, რადგან მისი დასმა იდეოლოგიურადაც შეუძლებელი იქნებოდა. თუ „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავდა“, როგორც ამას ერთხმად ამტკიცებდნენ, მაშინ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა იმთავითვე გადაწყვეტილი იყო და მისი დასმა უაზრობა იქნებოდა, თუმცა ამ საკითხის დასმას ვერც ვერავინ გაბედავდა. მაგრამ დღეს, როდესაც მსოფლიოს ვპირდებით, რომ საქართველოში აშენდება დემოკრატიული სახელმწიფო, „სასჯელზე სახელმწიფოს უფლების“ პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას. სხვა საკითხია ამ პრობლემის გადაჭრის ხასიათი, მთავარია, რომ ეს საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერების საკითხი არ არის. ამ მეცნიერებას არც მისი დასმა შეუძლია და არც მისი გადაჭრა. კრიტიკა, რომელსაც შეიძლება მკვლევარმა მიმართოს სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთება-უარყოფის დროს, თავისი არსით ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ა, რადგან ფილოსოფია არის ეპოქის კრიტიკა[24], რაც, ცხადია, არც ერთ კერძო მეცნიერებას არ ხელეწიფება. ცხადია, ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ კერძო მეცნიერება დოგმატურია და მისთვის კრიტიკული პათოსი უცხოა, მაგრამ კერძო-მეცნიერული კრიტიკა თავად კერძო მეცნიერების ბუნებითა და ამოცანებითაა განსაზღვრული, მაშინ როდესაც ფილოსოფიური კრიტიკა ეხება თვითონ ფილოსოფიასაც და არა მარტო ადამიანისა და სამყაროს მიმართებას. რაკი ფილოსოფია მოწოდებულია დაასაბუთოს ყველაფერი, რასაც თავის შინაარსში შემოიტანს. მაშასადამე, ფილოსოფიას შეუძლია დაასაბუთოს ან უარყოს სასჯელზე სახელმწიფოს უფლება, ან შეზღუდოს ეს უფლება გონივრული პრინციპით, რათა სასჯელთა სისტემა იყოს რაციონალური და აკმაყოფილებდეს სამართლიანობის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეებს.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა ფილოსოფიური პრობლემაა. ლიტერატურაშიც იყო ზოგიერთი გამოკვლევა, რომელიც სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთების მცდელობას „სისხლის სამართლის ფილოსოფიას“ უწოდებდა. მაგალითად, ა. ფრანკი თავის გამოკვლევას, რომელიც სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასა-

22 ს. პ ო ზ ნ ი შ ე ვ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ, 40,

23 ა. ტ რ ა ი ნ ი ნ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ, 10,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუთებას ეძღვნება, „სისხლის სამართლის ფილოსოფიას“ უწოდებს.. ავტორი ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის ფილოსოფია შემდეგი სამი საკითხის გადაჭრაში მდგომარეობს: 1). რომელი საწყისებიდან მომდინარეობს და რა საწყისებს ემყარება სასჯელზე სახელმწიფოს უფლება? 2). რომელი ქმედობა უნდა იყოს დასჯადი? 3). რა თვისებისა უნდა იყოს სასჯელი? ამ სამი საკითხიდან, — მსჯელობს ავტორი, — ყველაზე მთავარი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, არის პირველი საკითხი, რომელიც ფილოსოფოსებისა და კანონმდებლების სერიოზულ ყურადღებას იქცევს[25].

ამრიგად, ის საკითხი, თუ რა საწყისებს ემყარება სასჯელი, ფილოსოფიური საკითხია. ამიტომ ბუნებრივია, თუ სასჯელის ცნება, თუ ის სასჯელზე სახელმწიფოს უფლების თვალსაზრისით იქნება განხილული, სისხლის სამართლის მეცნიერების პირველადი, ამოსავალი ცნება ვერ იქნება. სისხლის სამართლის მეცნიერების პირველადი ამოსავალი ცნება არის დანაშაულის ცნება. ამ თვალსაზრისით, სასჯელის ცნება, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემაში, არის მეორადი, მაგრამ ამავე დროს სასჯელის ცნება გამოხატავს იმას, რასაც სასჯელი წარმოადგენს. დებულება, რომ სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ზომა, რომელიც სახელმწიფოს სახელით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ეკისრება დანაშაულის ჩამდენ პირს, სრულიად საკმარისია სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის.

მაგრამ სასჯელის ცნება პირველადია იმ თეორიაში, რომელშიც სასჯელზე სახელმწიფოს უფლების დასაბუთების ან უარყოფის შედეგებია გადმოცემული. ამ თვალსაზრისით, ჯერ გამართლებული უნდა იქნეს სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ზომა, ხოლო შემდეგ დადგენილი უნდა იქნეს წრე იმ ქმედებისა, რომელიც სასჯელის გამოყენების ღირსად ჩაითვლება. მაშასადამე, სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პოზიციიდან სასჯელის ცნება პირველადია, ხოლო დანაშაული განიხილება, როგორც სასჯელის გამოყენების საფუძველი, როგორც მეორადი ცნება.

ისმის კითხვა: სასჯელზე სახელმწიფოს უფლება ფილოსოფიურ დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ არაა ამ მიმართულებით შესაძლებელი „სისხლის სამართლის ფილოსოფია“. როგორც ფილოსოფიის ნაწილი, ან სამართლის ფილოსოფიის ნაწილი? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი დღემდე ნათლად არაა გაცემული. მართალია, სამართლის ფილოსოფიაზე საზღვარგარეთ ბევრი რამაა დაწერილი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს, რომ სამართლის ფილოსოფია უკვე დაფუძნებულია. ამიტომ ჩვენ ამჯერად ამ საკითხზე ვერ ვიმსჯელებთ. დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის თქმით, რომ სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა ფილოსოფიური პრობლემაა, მიუხედავად იმისა, ლაპარაკია თუ არა აქ ფილოსოფიაზე ზოგადად თუ „სისხლის სამართლის ფილოსოფიაზე“. ჩვენთვის ამჯერად მთავარი იმის გამართლებაა, რომ სასჯელის ცნბის პირველადობის პრინციპი სრულიადაც არ არის უაზრო ან ანტიმეც-

---

24 ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერების ურთიერთობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. ცინცაძე, ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა ურთიერთობის შესახებ, თბილისი, 1973,

25 Философия уголовного права в популярном изложении Ад. Франка, 1867, с. 13—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერული, როგორც ეს საბჭოურ კრიმინალისტებსა მიაჩნდათ. დანაშაულის ცნებისა და სასჯელის ცნების თანაფარდობის პრობლემა იმის მიხედვით უნდ გადაწყდეს, თუ რომელი თეორიული სისტემა გვაქვს მხედველობაში. თუ მხედველობაში გვაქვს სისხლის სამართლის მეცნიერება, მაშინ პირველადია დანაშაულის ცნება. თუ მხედველობაშია სასჯელზე სახელმწიფოს უფლება, მაშინ პირველადია სასჯელის ცნება, რადგან ამ ლოგიკით თავდაპირველად უნდა გამართლდეს საზოგადოდ სასჯელის გამოყენება და შემდეგ უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობათა წრე.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც კერძო მეცნიერების, თვალსაზრისით, პირველადი, ამოსავალი ცნება არის დანაშაულის ცნება. ამ დებულებიდან, თავის მხრივ, გამომდინარეობს დასკვნა, რომ სწორედ დანაშაულის ცნებამ, როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების პირველადმა, ამოსავალმა ცნებამ, უნდა გვიჩვენოს ამ მეცნიერების საგანი, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ამგვარი პირველადი, ამოსავალი ცნება შემთხვევით არ ჩნდება და არ შეიძლება სისხლის სამართლის მეცნიერების საგანთან არ იყოს დაკავშირებული. უფრო სწორად, დანაშაულის ცნება ამჯერად არის სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის შემეცნების საშუალება, ვინაიდან ამ ცნებიდან შესაძლებელია გაკეთდეს უკუდასკვნა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, დანაშაულის საკანონმდებლო, ნორმატული ცნება აგებულია ისეთ ნიშნებზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო დანაშაულის ცნებისათვის თავისთავად, არამედ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის დასადგენადაც. სახელდობრ, ცნობილია, რომ დანაშაული ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროებით, მართლწინააღმდეგობით და ბრალეულობით, აგრეთვე დასჯადობითა და ამორალურობით. მაგრამ ამჯერად მთაუფრო მართებულად იქნეს გაგებული, თავადპირველად შევეხებით მართლწინააღმდეგობების ცნებებს. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება აუფრო მართებულად იქნეს გაგებული. თავდაპირველად შევეხებით მართლწინააღმდეგობის ცნებას. დადგენილია, რომ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობა არის საზოგადოებრივად საშიში ქმედობის უარყოფითი სახელმწიფოებრივი შეფასება. მართებულად აღნიშნავს ო. გამყრელიძე, რომ „მართლწინააღმდეგობა შეფასებაა, იგი ქმედობის უარყოფითი შეფასებაა"[26]. ცხადი უნდა იყოს, რომ მართლწინააღმდეგობა, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის უარყოფითი სახელმწიფოებრივი შეფასება, მიუთითებს სახელმწიფოზე, როგორც სუბიექტზე, რომელიც სისხლის სამართლის ნორმაში საზოგადოებრივად საშიში ქმედობის უარყოფით სახელმწიფოებრივ შეფასებას გამოხატავს. მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის ცნება, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, სახელმწიფოზე მიუთითებს, რადგან სისხლის სამართლის დარგში კანონმდებელი მხოლოდ სახელმწიფოა (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო).

[26] ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამომდინარე იქიდან, რომ მართლწინააღმდეგობის ცნება შეფასებითი ცნებაა, საზოგადოებრივი საშიშროების ცნებაც უნდა იყოს შეფასებითი, რადგან, მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით, შეფასების საგანია საზოგადოებრივად საშიში ქმედება. ქმედება, რომელიც საზოგადოებრივად საშიში არ არის, მცირემნიშვნელოვანია, მართლსაწინააღმდეგოდ ვერ ჩაითვლება. სისხლის სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობისადმი ქმედობის ფორმალური შესაბამისობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ქმედობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით მაგრამ სისხლის სამართლის კანონით ქმედობის გათვალისწინება და მართლწინააღმდეგობა ერთი და იგივე არ არის, ისევე როგორც ერთი და იგივე არ არის დანაშაულის შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა. მეორე მხრივ, თუ ქმედობა თავისი ბუნებით ვერ შეფასდება, მაშინ ის ვერც მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდება. მაშასადამე, ქმედობა შეფასებას უნდა ჰგუებდეს, რომ ის მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდეს. მაშასადამე, მართლწინააღმდეგობიათვის, როგორც შეფასებითი ცნებისათვის, საჭიროა, რომ საზოგადოებრივი საშიშროება იყოს შეფასებითი ცნება. სხვანაირად საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ლოგიკურ-აქსიოლოგიური კავშირი შეუძლებელია. მაგრამ ვინ არის ის სუბიექტი, რომელიც ქმედობას საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით აფასებს? ეს სუბიექტი არის სწორედ საზოგადოება, რომელიც ღირებულებათა განსაზღვრული წესრიგის (იერარქიის) მატარებელია და ამ პოზიციიდან აძლევს განსაზღვრულ შეფასებას ადამიანის საქციელსაც. საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად კი ფასდება ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აყენებს მატერიალურ თუ მორალურ-პოლიტიკურ ზიანს ან ამ ზიანის მიყენებით ემუქრება მას.

ამრიგად, დანაშულის ცნებაში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა ფაქტია, მაგრამ ეს ერთიანობა ამავე დროს მიუთითებს *საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანობაზე*. რომელ ერთიანობაზეა აქ ლაპარაკი? ცხადია, აქ იგულისხმება სისხლის სამართლის კანონშემოქმედება, ე. ი. განსაზღვრული ტიპის ქმედებათა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის დაწესება, რომელიც სახელმწიფოს პრეროგატივაა, მაგრამ სახელმწიფო მისი დემოკრატიულობის კვალობაზე გვერდს ვერ აუვლის საზოგადოებას, როგორც სუბიექტს, რომელსაც განსაზღვრული ზომით ქმედების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის საქმე უნდა ეკითხებოდეს. საზოგადოება საზოგადოებრივი საშიშროების ცნებაში გამოხატავს თავის დამოკიდებულებას განსაზღვრული ტიპის ქმედობებისადმი და ამით სახელმწიფოსაგან მოითხოვს მათ გამოცხადებას დანაშაულად. მაშასადამე, სახელმწიფო, მიუხედავად მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სპეციფიკისა, საზოგადოების ამ მოთხოვნას გვერდს ვერ აუვლის, რადგან სახელმწიფო საზოგადოების წინაშე სრულიადაც არ არის აბსოლუტურად თავისუფალი თავისი განსაზღვრული ანგარიშვალდებულებებისაგან კრიმინალური პოლიტიკის რაობისა და ფარგლების გამო. თავად საბჭოთა იმპერიული სახელმწიფოც კი იძულებული იყო საზოგადოების სახელით ელაპარაკა, რათა შეენიღბა აპარატული, ჩინოვნიკური სულისკვეთებით მიღება კანონებისა, რომელნიც მილიონობით ადამიანთა ბედ-იღბალს ეხებოდა.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ დანაშაულის ნორმატული, საკანონმდებლო ცნებაში თავის გამოხატულებას პოულობს საზოგადოებისა და სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფოს ის ურთიერთობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონშემოქმედების გამო ყალიბდება. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პირველსავე მუხლში განსაზღვრულია მისი ამოცანები, სახელდობრ, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა, ხოლო ამ მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი „განსაზღვრავს, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ". მაშასადამე, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, ხოლო სისხლის სამართლის კანონის მიღება ხდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს განსაზღვრული ურთიერთობით, რომელიც ყოველ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ობიექტური თანაფარდობით განისაზღვრება. ბუნებრივია, თუ სისხლის სამართლის კანონშემოქმედებითი ურთიერთობა ღირსია მეცნიერული, თეორიული შესწავლისა, ისიც ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობას სისხლის სამართლის მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების საგანია სისხლისსამართლებრივი კანონშემოქმედება, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განსაზღვრულ თანაფარდობაში ვლინდება. ყოველ შემთხვევაში დანაშაულის ნორმატიული, საკანონმდებლო ცნება, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების პოზიციიდან პირველადი, ამოსავალი ცნებაა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ამ კანონშემოქმედებით ურთიერთობას გამოხატავს. ამჯერად მხოლოდ ამ საკითხის წარმოჩინება გვაინტერესებდა.

**Г. И. НАЧКЕБИЯ**

## ПРОБЛЕМА СООТНОШЕНИЯ ПОНЯТИЙ ПРЕСТУПЛЕНИЯ И НАКАЗАНИЯ И ПРЕДМЕТ НАУКИ УГОЛОВНОГО ПРАВА

Резюме

В статье обосновывается положение о том, что с точки зрения науки уголовного права как частнонаучной системы знания исходным, первоначальным понятием должно быть понятие преступления, а с точки зрения философского обоснования «права государства на наказание» первичным, исходным понятием должно быть понятие наказания. Такая постановка вопроса логически приводит к выводу, что преступление как основное, исходное, первоначальное понятие науки уголовного права является средством познания предмета этой науки. Действительно, в понятии преступления признаки общественной опасности и противоправности выражают соотношения общества и государства в процессе уголовного законотворчества. Общественная опасность — это общественная оценка определенных деяний, а противоправность есть их государственная оценка. Уголовный закон, устанавливая преступность и наказуемость определенных общественно опасных деяний, принимается в определенном соотношении между обще-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ством и государство, ибо государство не может быть абсолютно свободным перед обществом в вопросе криминализации и декриминализации общественно опасных деяний. Соотношение между обществом и государством в процессе уголовного законотворчества должно быть особым предметом теоретического исследования, в первую очередь — предметом науки уголовного права.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და პროცესის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛЕ ВАН КАМ

# О ПРЕСТУПЛЕНИЯХ ПРОТИВ ЛИЧНОСТИ, ПРАВ, СВОБОД И СОБСТВЕННОСТИ ГРАЖДАН ПО ВЬЕТНАМСКОМУ УГОЛОВНОМУ ПРАВУ ДО КОДИФИКАЦИИ (1945—1985 гг.)

Изучая юридическую (включая и уголовно-правовую) защиту прав человека, прежде всего следует отметить, что, являясь естественными, неотъемлемыми и абсолютно независимыми от какого-либо государства, основные права человека «вытекают из человеческой природы, а не даруются государством, законом, политикой. Богом или традицией»[1]. Эти основные права человека **уже 45 лет тому назад** были провозглашены и закреплены Всеобщей декларацией прав человека ООН от 10 декабря 1948г., а затем двумя Международными пактами о правах человека от 19 декабря 1966 г.[2] Поэтому никакие интересы политических организаций или общественных движений, государства либо правящей группы не могут быть поставлены выше интересов человека. Ведь человек со всеми благами его личности — жизнь, здоровье, личная свобода, достоинство и честь — **высшая ценность общества.** Отсюда следует, что юридическая, в том числе и **уголовно-правовая защита прав человека,** означает охрану его личности, прав и свобод и законных интересов[3].

Данная статья посвящена изучению уголовно-правовой охраны личности, прав, свобод и собственности граждан во Вьетнаме до принятия первого УК единого государства. Такое изучение, на наш взгляд, должно быть тесно связано со следующей схемой:

А) Исследуемые преступления по вьетнамскому уголовному праву первого этапа — после Августовской революции до полного запрещения применения старых законов (1945—1955 гг.).

Б) Исследуемые преступления по вьетнамскому уголовному праву второго этапа — после полного запрещения применения старых законов до кодификации (1955—1985 гг.).

## А.

I. **Преступления против личности,** как известно, это все преступления против самих ее благ, соответственно пяти **непосредственным** объектам — жизни, здоровью, личной свободе, достоинству и чести. Некоторым видам упомянутых преступлений во вьетнамском уголовном праве первого этапа (1945—1955 гг.) были посвящены положения Декрета № 27 от 28 февраля 1946 г. «Об уголовной ответственности

---

[1] Джек Доннелли и Рода Хауард. Права человека в современном мире. «Америка», 1911, № 421, с. 25.

[2] Подробно об этих актах см.: Международная защита прав и свобод человека. Сборник документов, М., 1990, с. 14—53.

[3] См.: Ле Ван Кам. Совершенствование норм об уголовной ответственности — основное и важнейшее условие уголовно-правовой защиты прав человека — «Народный суд», 1990, № 2, с. 10 (на вьет. яз.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



за похищение человека, вымогательство денег и убийство»[4] (ст. 1) и Циркуляра Правительства № 442 от 19 января 1955 г. «Об уголовной ответственности за некоторые преступления против личности»[5] (ст. 3—4). Анализ этих положений позволяет отметить следующие основные черты:

1) **Преступления против жизни** личности содержали два вида убийства с пятью составами (два основных, два отягчающих и один смягчающий): а) умышленное убийство или то же действие при смягчающих обстоятельствах, либо то же действие, совершенное с заранее обдуманным намерением; б) неосторожное убийство или то же деяние, повлекшее за собой гибель многих лиц и значительный ущерб имущества населения.

2) **Преступления против здоровья** личности содержали два вида телесного повреждения с тремя составами (два основных и один отягчающий): а) умышленное телесное повреждение или то же действие, совершенное организованной группой лиц, или повлекшее за собой инвалидность либо смерть потерпевшего; б) неосторожное телесное повреждение.

3) **Преступление против личной свободы** содержало только один основной состав — похищение человека.

4) **Высшая** мера наказания за вышеуказанные преступления — смертная казнь, предусмотренная за: а) умышленное убийство, совершенное с заранее обдуманным намерением, или б) неосторожное убийство, повлекшее за собой гибель многих лиц и значительный ущерб имуществу населения, или в) похищение человека; а **низшая** — 3-месячное лишение свободы, предусмотренное за умышленное или неосторожное телесное повреждение.

5) Таким образом, вышеизложенные нормы Особенной части вьетнамского уголовного права еще не были посвящены ответственности за ряд преступлений против личности (например, доведение до самоубийства, **все виды преступлений против достоинства и чести** граждан — половые преступления, клевета, оскорбление и т. д.).

II. **Преступления против прав и свобод граждан.** Как известно, первая Конституция ДРВ (1946 г.) торжественно провозглашала и закрепляла ряд основных прав и свобод человека, например: равноправие всех граждан Вьетнама в политической, экономической и культурной областях (ст. 6); равенство всех граждан перед законом (ст. 7); равноправие женщин с мужчинами (ст. 9); права граждан на свободу слова, печати, организаций, собраний, вероисповедания, избрания местожительства, передвижения по стране и выезда за границу (ст. 10) и др.[6]. Однако несмотря на это, большинство упомянутых конституционных прав и свобод граждан не стало непосредственными объектами охраны по вьетнамскому уголовному праву данного этапа. Кроме того, хотя Закон от 12 марта 1947 г. «О труде»[7] провозглашал и закреплял право трудящихся на свободу объединений и забастовок (ч. 1, ст. 174), к сожалению, за нарушение этого важного права граждан не была установлена никакая административная или уголовная от-

---

4 Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1946, № 10, с. 141 (на вьет. яз.). В дальнейшем — Ведомости ДРВ.

5 Там же, 1955, № 12, с. 170.

6 Демократическая Республика Вьетнам. Конституция, законодательные акты, документы. М., 1955, с. 18—20, 25 т и 32. В дальнейшем — ДРВ. Конституция...

7 ДРВ. Конституция..., с. 291.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ветственность в действовавшем законодательстве страны. Все это имело различные причины, одной из которых было влияние первой войны Сопротивления иноземным колонизаторам (1946—1954 гг.), в связи с которым многие положения Конституции ДРВ 1946 г. не были введены в действие[8]. Как справедливо писали ученые — юристы Джек Доннелли и Рода Хауард, «многие нарушения прав граждан проистекают из осуществления государством его законных функций. Так, например, государство обязано защитить свой народ и территорию от внешней агрессии, но при этом оно часто попирает целый ряд прав человека»[9].

Ведь после принятия Конституции ДРВ 1946 г. был издан всего лишь один акт, **специально** направленный на уголовно-правовую охрану **одного** из конституционных прав граждан — права на неприкосновенность переписки (ч. 2, ст. 11). Этим актом был Декрет № 128 от 17 июня 1950 г. «Об уголовной ответственности за незаконное вскрытие, кражу или уничтожение документов Правительства либо корреспондентов частных лиц»[10] (ст. 2), каравший виновного лишением свободы на срок от 3 месяцев до 1 года и штрафом от 500 до 5000 донгов или одним из двух указанных наказаний за незаконное вскрытие, кражу или уничтожение корреспонденции частных лиц.

Таким образом, во вьетнамском уголовном праве исследуемого этапа еще отсутствовало очень много составов преступлений против прав и свобод граждан, некоторые из них восполнились только впоследствии на втором этапе (1955—1985 гг.).

III. **Преступления против собственности граждан.** Некоторым видам этих преступлений были посвящены положения упомянутого Декрета № 27 от 28 февраля 1946 г. (ст. 1), двух Циркуляров Правительства: № 26 от 9 мая 1949 г.[11] (ст. 6) и упомянутого № 442 от 19 января 1955 г. (ст. 1—2). Анализ этих положений позволяет отметить следующие основные черты:

1) Закон создавал шесть основных составов исследуемых преступлений: а) кража; б) грабеж; в) разбой; г) мошенничество; д) вымогательство денег и е) присвоение найденного или случайно оказавшегося у виновного чужого имущества.

2) **Высшая** мера наказания за указанные преступления — смертная казнь, предусмотренная за вымогательство денег или разбой, соединенный с убийством; а **низшая** — штраф, предусмотренный за последнее из шести вышеуказанных видов преступлений. Но здесь же никакой конкретный размер штрафа не был определен законом, что создавало благоприятные условия судебному произволу при назначении наказания в виде штрафа.

3) Таким образом, кроме шести вышеуказанных корыстных преступлений против собственности граждан, закон еще не знал таких преступлений против собственности граждан, как умышленное уничтожение или повреждение личного имущества граждан, неосторожное причинение существенного вреда личному имуществу граждан, укрывательство или сбыт заведомо добытого преступным путем личного имущества граждан, злоупотребление властью или служебным положением с целью завладения личным имуществом граждан и попусти-

---

[8] См.: Подкопаев И. Я. Очерки борьбы вьетнамского народа за независимость и единство своей Родины. М., 1957, с. 42.

[9] Джек Доннелли и Рода Хауард. Указ. раб., с. 28.

[10] Ведомости ДРВ, 1950, № 9, с. 194.

[11] Ведомости ДРВ, 1949, № 5, с. 20.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

тельство заведомо виновных в преступлениях против личной собственности граждан, которые стали известны лишь впоследствии вьетнамскому уголовному праву второго этапа.

IV. Кстати, **в условиях военного времени** определенные недостатки уголовно-правовой охраны личности и имущества граждан также существовали в Советской России периода до принятия УК 1922 г. Об этом писали юристы бывшего СССР: «Социалистическое уголовное законодательство периода гражданской войны уделило сравнительно **небольшое внимание** вопросам борьбы с преступлениями против личности и имущества граждан»[12]. (подчеркнуто нами. — Л. В. К.).

Б.

1. **Преступления против личности** по вьетнамскому уголовному праву второго этапа (1955—1985 гг.) отличаются от первого этапа тем, что они не только предусматривались в законодательстве, но и решались судебной практикой страны. Характеризуя эти преступления, мы должны классифицировать их по **непосредственным объектам** посягательства соответственно **благам личности.**

1) **Преступлениям против жизни** личности были посвящены положения Декрета № 63 от 15 марта 1976 г. «О преступлениях и наказаниях»[13] ( п. «а» ст. 5), Циркуляра Минюста № 03 от 15 апреля 1976 г. «О применении Декрета № 03»[14] (п. 2 раздела «Б» части II) и трех **основных** постановлений Верховного Суда: № 425 от 10 августа 1970 г. «О судебной практике по умышленным убийствам»[15], № 24 от 25 ноября 1974 г. «О судебной практике по делам о неосторожном убийстве или неосторожном тяжком телесном повреждении при охоте»[16], № 07 от 22 декабря 1983 г. «О судебной практике по преступлениям против жизни или здоровья личности при превышении пределов необходимой обороны либо при выполнении служебного долга»[17]. Анализ этих положений позволяет отметить следующие основные черты:

а) **Законом** предусматривались два вида убийства с четырьмя составами (два основных, один смягчающий и один отягчающий) — умышленное убийство или то же действие при смягчающих обстоятельствах; неосторожное убийство или то же деяние, повлекшее за собой особо тяжкие последствия.

б) Вместе с тем, **в судебной практике** выделялись четыре состава убийства — умышленное убийство при **особо** отягчающих обстоятельствах или при **особо** смягчающих обстоятельствах; убийство при превышении пределов необходимой обороны или при выполнении служебного долга. Кроме того, судебной практике было известно и доведение до самоубийства.

в) Если **смягчающие** обстоятельства умышленного убийства **прямо не определялись законом** в качестве обязательных признаков соответствующего состава преступления, то **особо отягчающие** и **особо смягчающие** обстоятельства умышленного убийства **прямо включались судебной практикой** в упомянутом качестве.

---

[12] История советского уголовного права. М., 1948, с. 235.

[13] Сборник систематизированных норм уголовного права, т. 2 (1975—1978). Ханой, 1979, т. 2, с. 234 (на вьет. яз.). В дальнейшем — Сборник СНУП.

[14] Сборник СНУП, т. 2, с. 238.

[15] Там же, т. I (1945—1975), Ханой, 1975, с. 326.

[16] Там же, т. 2, с. 202.

[17] Бюллетень Верховного Суда СРВ, 1984, № 1, с. 8 (на вьет. яз.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



г) **Высшая мера** наказания за вышеуказанные преступления против жизни личности — смертная казнь, предусмотренная за умышленное убийство (в законе) или за то же деяние при особо отягчающих обстоятельствах (в судебной практике), и низшая — 3-месячное лишение свободы, предусмотренное за убийство при превышении пределов необходимой обороны.

2) **Преступлениям против здоровья** личности были посвящены положения четырех упомянутых актов — Декрета № 03 от 15 марта 1976 г. (п. «б» ст. 5), Циркуляра Минюста № 03 от 15 апреля 1976 г. (п. 2 раздела «Б» части II) и двух постановлений Верховного Суда: № 24 от 25 ноября 1974 г. № 07 от 22 декабря 1983 г. Анализ этих положений позволяет отметить следующие основные черты:

а) **Закон** предусматривал два вида телесного повреждения с четырьмя составами (два основных и два отягчающих) — умышленное телесное повреждение или то же действие при тяжких обстоятельствах; неосторожное тяжкое телесное повреждение или то же деяние при тяжких обстоятельствах.

б) **Судебной практике** были известны еще два состава преступлений против здоровья личности — умышленное телесное повреждение или причинение вреда здоровью при превышении пределов необходимой обороны; телесное повреждение или причинение вреда здоровью при выполнении служебного долга.

в) **Высшая** мера наказания за вышеуказанные преступления против здоровья личности — 20-летнее лишение свободы — предусмотрена **законом** за умышленное телесное повреждение при тяжких обстоятельствах; а **низшая** — 3-месячное лишение свободы, предусмотрена **законом** за неосторожное тяжкое телесное повреждение и также **судебной практикой** за одно из четырех вышеизвестных ей преступлений.

3) **Преступлениям против достоинства** личности были посвящены положения двух упомянутых актов — Декрета № 03 от 15 марта 1976 г. (п. «в» ст. 5) и Циркуляра Минюста № 03 от 15 апреля 1976 г. (п. 2 раздела «Б» части II), а также Постановления Верховного Суда № 329 от 11 мая 1967 г. «О судебной политике в отношении половых преступлений»[18]. Анализ этих положений позволяет отметить следующие основные черты:

а) **Закон** устанавливал только один вид половых преступлений с основным, отягчающим и особо отягчающим составами — изнасилование, изнасилование несовершеннолетней и изнасилование при особо тяжких обстоятельствах.

б) **Судебная практика,** кроме изнасилования, создавала еще три других вида половых преступлений — принуждение женщины к вступлению в половую связь; половое сношение с лицом, не достигшим 16-летнего возраста; развратные действия.

в) **Высшая** мера наказания за вышеуказанные половые преступления — смертная казнь, предусмотрена и законом, и судебной практикой за изнасилование при тяжких обстоятельствах; а **низшая** — выговор, предусмотрен судебной практикой за развратные действия в отношении совершеннолетнего лица.

г) Согласно руководящим положениям о половых преступлениях, **те же самые квалифицирующие обстоятельства — обязательные признаки** соответствующих составов всех половых преступлений признавались также **отягчающими,** что дало судам право дважды оценивать одно и то же обстоятельство при назначении наказания. Это положе-

[18] Сборник СНУП, т. I, с. 389.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ние судебной практики является неприемлемым с точки зрения гуманизма уголовного права, ибо нельзя рассматривать «в качестве смягчающих и отягчающих ответственность обстоятельств такие обстоятельства, которые являются признаками соответствующего состава преступления»[19].

д) Одними руководящими положениями упомянутого Постановления были установлены максимальные пределы основной, отягчающей и особо отягчающей рамок наказания за каждый из трех последних вышеуказанных видов половых преступлений. Но одновременно другими руководящими положениями **того же акта** допускалось назначение и размеров наказания выше **максимальных пределов** обобщенных рамок наказания «в отдельных исключительных случаях или при особо тяжких обстоятельствах»[20]. Тем самым, **с одной стороны,** судебная практика создавала рамки наказания, а **с другой,** допускала превышение и высших пределов тех же рамок наказания. Разумеется, это является неприемлемым с точки зрения законности уголовного права, ибо такое свободное, ничем не ограниченное судебное усмотрение означает настоящий произвол[21].

4) **Преступление против чести** личности предусматривалось лишь в одном составе — воспользование правом подавать жалобы и заявление в целях опорочивания другого лица, наказуемое лишением свободы на срок от 3 месяцев до 3 лет (в соответствии с положением ст. 34 Указа от 27 ноября 1981 г. «О порядке рассмотрения решения жалоб и заявлений граждан»[22]).

5) **Преступление против личной свободы** предусматривалось только в одном составе — похищение ребенка, которое наказывалось лишением свободы на срок от 3 лет до 15 лет (согласно руководящим положениям судебной практики в Отчетном докладе Верховного Суда «О деятельности народных судов за 1964 г.»[23].

6) **Кроме вышерассматриваемых составов** преступлений против личности, законодательным положением — п. «г» ст. 5 упомянутого Декрета № 03 от 15 марта 1976 г. — было установлено, что **«иные преступления против личности** наказываются лишением свободы на срок от 3 месяцев до 5 лет»[24]. Таким образом, эта общая норма вьетнамского уголовного права о преступлениях против личности представляла представителям власти возможность **по своему личному усмотрению** объявить всякое деяние» преступлением против личности», что было грубейшим посягательством на законность, личность, права и свободы граждан Южного Вьетнама в первые годы после объединения страны. Справедливая критика этих беззаконий, нанесших большой ущерб делу укрепления законности и уголовно-правовой защите прав человека давалась в Отчетном докладе Верховного Суда «О деятельности народных судов за 1977 г.», прямо указавшем на **очень тяжкие нарушения демократических прав народа** на Юге страны, иг-

---

[19] Ткешелиадзе Г. Т. Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, с. 135.

[20] Сборник СНУП, т. I, с. 392—397.

[21] См.: Ткешелиадзе Г. Т. Некоторые вопросы регламентации судебного усмотрения в уголовном праве. — В кн.: Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса (Второй советско-западногерманский коллоквиум), Тбилиси, 1986, с. 106.

[22] Газета «Народ», 2.12.1981 (на вьет. яз.).

[23] Сборник СНУП, т. I, с. 475.

[24] Там же, т. 2, с. 236.

ეროვნული ბიბლიოთეკა

норирование жизни граждан, закона и общественного мнения отдельными кадровыми работниками, которые **произвольно застрелили** невиновных лиц при выполнении служебного долга или без него...[25].

II. **Преступления против прав и свобод граждан.** Некоторым видам этих преступлений были посвящены положения трех законов от 24 января 1957 г. «О свободе собраний»[26] (ст. 7), «О свободе объединений»[27] (ст. 6) и «О свободе личности и неприкосновенности жилища, вещей и тайны переписки граждан»[28] (ст. 16), а также Закона № 14 от 31 декабря 1959 г. «О выборах депутатов Национального Собрания ДРВ»[29] (ст. 56—58), Закона от 20 декабря 1980 г. «О выборах депутатов Национального Собрания СРВ»[30] (ст. 71—74), Указа от 18 января 1961 г. «О выборах депутатов местных Народных Советов»[31] (ст. 61—63) и упомянутый Указ от 27 ноября 1981 г. (ст. 32—33). Анализ этих **законодательных** положений позволяет отметить следующие их основные черты:

1) Закон предусматривал только пять основных составов преступлений против **политических** прав и свобод граждан: а) воспрепятствование осуществлению гражданином права избирать и быть избранным; б) подлог избирательных документов или неправильный подсчет голосов; в) нарушение права подавать жалобы и заявления; г) нарушение права на свободу собраний; д) нарушение права на свободу объединений или вступление в ассоциаций и выхода из них.

2) Из деяний против **личных** прав и свобод граждан закон предусматривал только **один основной состав** — заведомо незаконный арест, заключение под стражу или обыск личности, жилища, вещей и корреспонденции граждан.

3) **Высшая** мера наказаний за вышеуказанные преступления — 6-летнее лишение свободы, предусмотренное за нарушение права подавать жалобы и заявления в форме совершения акта мести; а **низшая** — административное взыскание, предусмотренное за вышеуказанное единственное преступление против **личных** прав и свобод граждан.

III. **Преступление против собственности граждан** предусматривалось главным образом в Указе от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против личной собственности граждан»[32]. Этот указ характеризуется следующими основными чертами:

1) Указ предусматривал 13 основных составов преступлений — разбой (ст. 3); грабеж (ст. 4); умышленное уничтожение или повреждение личного имущества граждан (ст. 5); кража (ст. 6); вымогательство (ст. 7); мошенничество (ст. 9); обман покупателей (ст. 10); злоупотребление доверием с целью завладения личным имуществом граждан (ст. 11); незаконное присвоение личного имущества граждан (ст. 12); укрывательство или сбыт заведомо добытого преступным путем личного имущества граждан (ст. 13), неосторожное причинение существенного вреда личному имуществу граждан (14), злоупотребление властью и служебным положением с целью завладения личным

[25] Там же, с. 194.

[26] Ведомости ДРВ, 1957, № 26, с. 459.

[27] Там же, с. 460.

[28] Там же, № 29, с. 500.

[29] Ведомости ДРВ, 1960, № 4, с. 57.

[30] Газета «Народ», 24.12.1980.

[31] Ведомости ДРВ, 1961, № 3, с. 29.

[32] Ведомости ДРВ, 1970, № 17, с. 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

имуществом граждан (ст. 8) и попустительство заведомо виновных в преступлениях против личной собственности граждан (ст. 15).

2) Специальным субъектом **двух последних** вышеуказанных преступлений (ст. 18 и 15) могло быть только должностное лицо.

3). Кроме квалифицирующих обстоятельств — обязательных признаков отдельных осответствующих составов преступлений (ст. 3—11, 13—14), Указ специально устанавливал также исчерпывающий перечень отягчающих (ст. 18) и смягчающих или освобождающих от наказания обстоятельств (ст. 19).

4) **Высшая** мера наказаний за вышеуказанные преступления — смертная казнь, предусмотренная за разбой при квалифицирующих обстоятельствах (ч. 2 ст. 3); а **низшая** — 3-месячное лишение свободы, предусмотренное в десяти случаях (ч. 1 ст. 4, 6—7, 9—11, 13—14, а также ст. 12 и 15).

IV. Таким образом, анализ преступлений против личности, прав, свобод и собственности граждан по вьетнамскому уголовному праву второго этапа (1955—1985 гг.) показывает следующий главный недостаток борьбы с преступными посягательствами в исследуемой области — отсутствие законодательно прямого регулирования ответственности за ряд преступлений (например, оставление в опасности, истязание, клевета, оскорбление, незаконное увольнение трудящегося с работы, нарушение равноправия женщин, нарушение права на свободу совести, нарушение авторских и изобретательских прав[33] и т. д.), что восполнилось лишь впоследствии ныне действующим УК 1985 г. Именно все это убедительно свидетельствует о том, что уголовно-правовой защите прав человека не уделялось надлежащее внимание властей. Вот почему **даже и после кодификации** уголовного законодательства СРВ высшее политическое руководство страны все еще требовало: «Наше государство должно гарантировать **подлинно** демократические права трудового труда, так же решительно карать нарушителей тех прав»[34]. (подчеркнуто нами — Л. В. К.).

წარმოადგნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებამ

---

[33] Напомним, что **еще в 1980 г.** третья действовавшая Конституция страны, торжественно провозгласив «Государство гарантирует права граждан» (ч. 3, ст. 54), закрепила ряд упомянутых прав вьетнамскхи граждан — право на труд (ч. 2, ст. 55), равноправие женщин с мужчиной (ч. 1, ст. 63), право на свободу совести (ч. 1, ст. 68) и гарантированное законом право авторов, избирателей и рационализаторов (ч. 3, ст. 72). — См.: СРВ. Конституция и законодательные акты, М., 1988, с. 46—59.

[34] См.: Документы VI съезда Коммунистической партии Вьетнама. Ханой, 1987, с. 117 (на вьет. яз.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თენგიზ ხოშტარიას ხსოვნას

დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში **თენგიზ სიმონის ძე ხოშტარიას.**

თენგიზ ხოშტარიამ არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ნათელი ცხოვრებით იცხოვრა. იგი გაიზარდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის სიმონ ხოშტარიას ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში მიიღო.

1956 წელს თენგიზ ხოშტარია მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის, ხოლო 1959 წლიდან კი ინსტიტუტის სწავლული მდივნის თანამდებობაზე, სადაც მან 1965 წლამდე დაჰყო. ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც მეცნიერის, ასევე საქმისადმი უაღრესად პუნქტუალური დამოკიდებულების მქონე უკეთილშობილესი ადამიანის თვისებები. ამიტომ არის რომ ინსტიტუტის თანამშრომლები, ასპირანტები, თუ თავიანთი საქმიანობით ინსტიტუტთან დაკავშირებული ადამიანები განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენიებენ ბატონ თენგიზს.

თენგიზ ხოშტარიას სამეცნიერო საქმიანობის კონკრეტულ სფეროს ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის განვითარების საკითხები წარმოადგენდა. 1966 წელს გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „მრეწველობის განვითარების საკითხები ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში" აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავეთა მიერ ერთ-ერთ სერიოზულ გამოკვლევად არის მიჩნეული. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომი, თავის მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, გაჟღენთილია ამიერკავკასიის ხალხების თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თენგიზ ხოშტარიას ყოველ ნაშრომში იგრძნობა მეცნიერული კეთილსინდისიერება და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ადამიანური სითბო.

თ. ხოშტარია სისტემატურად თანამშრომლობდა რესპუბლიკის გარეთ გამომცემლობებში, 1959—1975 წლებში ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ ენებზე ცალკე შრომებად და ენციკლოპედიურ წელიწდეულებში მისი ავტორობით იბეჭდება საქართველოს ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევები.

თ. ხოშტარიას თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით სისტემატურად ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები რესპუბლიკის რეგიონებში. ამგვარი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო ექსპედიციების მოწყობით იმ ძირითად საქმიანობასთან ერთად, რომელიც, ბუნებრივია, მეცნიერულ ხასიათს ატარებდა, ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის ყალიბდებოდა ურთიერთპატივისცემისა და საქმიანი დამოკიდებულების ატმოსფერო, რაც ასე აუცილებელია ჯანსაღი სამეცნიერო ორგანიზმის შექმნისათვის.

1966 წელს თენგიზ ხოშტარია ინიშნება ახლად ჩამოყალიბებული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალურ სამეცნიერო რედაქციაში ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების გამგედ, ხოლო 1967 წლიდან მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად. ეს ის პერიოდია, როდესაც ახლად შექმნილ რედაქციას საკუთარი შენობა არ გააჩნია და ამიტომ განყოფილებები სხვადასხვა დაწესებულებებშია შეხიზნული. ადვილად წარმოსადგენია იმ პირობებში თუ რამდენი შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო ასეთი დიდი ეროვნული საქმის განსახორციელებლად.

ქართული ენციკლოპედიის სპეციალურ რედაქციაში მუშაობის დროს განსაკუთრებული ნიადაგი შეექმნა თენგიზ ხოშტარიას პიროვნულ თვისებებს, აზრის დახვეწილობასა და ლაკონიურობას, მის ერუდიციას და მეცნიერულ კეთილსინდისიერებას.

საქართველოში ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის ჩამოყალიბება ქართველი ერის მიერ სავსებით სამართლიანად აღქმული იქნა დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმედ, რამაც განაპირობა რედაქციის გარეშე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შემოკრება.

1972 წელს თენგიზ ხოშტარია გადაჰყავთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილედ. და თუ დღეს ჩვენც გვაქვს საკუთარი ენციკლოპედია, ამ საქმეში არც თუ მცირე წვლილი თენგიზ ხოშტარიასაც მიუძღვის.

1975 წელს თენგიზ ხოშტარია გადაჰყავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატში — სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1976 წელს თენგიზ ხოშტარია დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და მისთვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით ჩაება ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში, ქართული მეცნიერების განვითარების კარდინალური საკითხებისადმი მიძღვნილი თავყრილობის წინაშე იგი აყენებს საკითხს კვლევის ტემპების დაჩქარების, მისი ქმედითუნარიანობის ამაღლებისა და პრაქტიკასთან უფრო მეტად დაახლოების შესახებ. ამისათვის კი მიზანშეწონილად თვლის ქ. თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნას.

თ. ხოშტარიამ მტკიცედ დაიცვა საქართველოს მრეწველობის რაციონალური დარგობრივი სტრუქტურის მისეული სქემა, რომელიც შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში საქართველოს რესპუბლიკის ტრადიციულ ბუნებრივ-მეურნეობრივ თავისებურებათა გათვალისწინებას ეყრდნობოდა. გმობდა იმ დროისათვის დამკვიდრებულ პრინციპს, რომელიც მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების საშუალო-საკავშირო დონეზე რესპუბლიკის ეკონომიკის აყვანას ითვალისწინებდა. ამგვარი „ინდუსტრიული მაქსიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიზმის პრინციპი, ხელს უწყობდა რა საკავშირო დონეზე ეკონომიკური ნიველირების პროცესს, არ ითვალისწინებდა საწარმოო ტრადიციას და კულტურას, კვალიფიციური კადრების, სანედლეულო და გასაღების ბაზრის არსებობას, უგულვებელყოფდა ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზღვრიანობის თეორიას.

სწორედ ამ რიგის პრობლემებით დაინტერესების გამო, ინსტიტუტში, დირექტორის მოადგილედ მისვლისთანავე, თ. ხოშტარია თავად ჩაუდგა სათავეში ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებას. სამუშაოდ შეარჩია რესპუბლიკისათვის მეტად აქტუალური პრობლემები, როგორიცაა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და ქ. თბილისის გარემოს დაცვის საკითხები. ამით, პირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკურ პრობლემათა ეკოლოგიურ ჭრილში კვლევის საქმიანობას.

მაგრამ ამ პრობლემებზე მუშაობა მას არ დასცალდა.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონი თენგიზ ხოშტარია ჩვენთან არ არის. ამ პერიოდმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა თუ როგორ სჭირდება ამგვარი ადამიანები თავისუფლების გზაზე დამდგარ საქართველოს.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი.**
**ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქცია.**

ხ 29/63

ფასი 2 მან.

ინდექსი 76196

ეროვნული ბიბლიოთეკა